

၁၁၂၄၁၂၃၆၇၈ ၁၄၃၃၅၅၉၀ ၁၁၂၄၁၂၃၆၇၈



K 37.039/3



დაწყება

1959



କମ୍ପୁସିନ୍ଡ

ବେଳେଶାଳୀ କବିତା

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ଲାଙ୍ଘଣି

କର୍ମଚାରୀ ପଦ୍ମପଦ୍ମନାଭ

K 37.039
3



ସାହଚରତା ଏତ୍ତାଙ୍ଗାଙ୍ଗ
19 ଠରିଲ୍ଲିଲ୍ଲିଲ୍ଲି 51

„რამაიანას“ ქართული თარგმანისათვის

საუკუნეზე შეცია, რაც აღმოსაფლურ სიბრძნითა და შისი ერთი დარგით — შაირობით — დაინტერესებული გულტურული გაცობრითა იცნობს „რამაიანას“.

საქმარისია აღვნიშნოთ, რომ წარსული საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც შეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი პ. მარქსი ინდოეთი დაინტერესდა და დიდი ყურადღებით სწავლობდა მის აღრინდელი ისტორიას უმთავრესად და ფინანსის წიგნის მიხედვით (Elphinstone „The History of India“), მას ყურადღებიდან არ გამორჩა „რამაიანა“ და თავის „ქრონილოგიურ ამონაწერებში“ შემდეგი სტრიქონები უძღვნა.

„რამაიანა“ ქება-ღიღებით იხსენიებს აუდას შბრძანებლის რამას დაწყლს; იგი თითქოს ცხოვრობდა 1400 წლის ახლო ჩვენს ერამდე; პოემის მიხედვით იგი წარუქმდა ინდოელებს დევანისა და ცეილონის დასაცერობად... *

* К. Маркс, Хронологические выписки по истории Индии. Огиз. Госполитиздат, 1947 г., стр. 52. (В „Рамаяне“ прославляются подвиги Рамы, властителя Ауда; он якобы жил около 1400 л. до н. э.; судя по поэме, водил индусов на завоевание Декана и Цейлона.)

ନେତ୍ରକୁଣ୍ଡଳ ଦ୍ୱାରାଶ୍ଵରିଲୋକାନ୍ଧେ ନେତ୍ରକୁଣ୍ଡଳକୁ ପରିଚାରିତ ହେଲାଏଥାବେ
ଶ୍ଵରିଲୋକାନ୍ଧେ ଉତ୍ତରାଂଶୀର୍ଥରେ ମୁଖ୍ୟମୁଖ୍ୟ ପରିଚାରିତ ହେଲାଏଥାବେ
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ქართულად გაღმონაშენი და შედარებით მცირე ხანში რამდენ-
ჯერმე გამოცემული მსოფლიო ლიტერატურის ეს უშესანი უნავესი
პოეტური ძეგლი ამის ერთ-ერთი საწინააღმდეგო.

გაეცნოთ ახლო ამ ძეგლს: რა სახელი აქვს მას სამშობლო-
ში და როგორ მიიღო იგი დასაკლეთმა მე-19 საუკუნის გარეკ-
ანტიტ?

ინდური გაღმოცემით, „რამაკანა“ დაიშვერა ინდოეთის პირ-
ველმა მითიურმა პოეტმა გაღმიკი მ. ამგვარად, „რამაკანა“
პირველი მხატვრული ქმნილებაა — „გაგია“ (როგორც ინდოეთი
უწოდებენ), იგი ინდური ეროვნული ეპოსია — ლექსად გადანაშ-
ლერი.

„რამაინა“-ს უქახებ არსებულ ეგროპულ გრიფებული აზროვნების დასკვნით, ეპიური ქანრის ეს ღიღი ეპოპეა წარმოშობილია III თუ IV საუკუნეები ჩვენს ერამდე.

შაშასადამე, ეს ღამის გვირებით 24 საუკუნის მხატვრული ძეგლია, რომელიც ამასთანავე 24 ათას შაღალ მხატვრული ინდური ულო-კით (წყვილი სტრიქონით) არის უეტხული.

თვით სანსკრიტული (ძველი ინდური) სახელწოდება „რამაკან-
და“ ისტოგასიტყვით „რამას ცხოვრებას“ ნიშნავს. მართლაც, მთელს
„რამაკანა“-ში მსაზღვრულად ასახულია რამას ცხოვრება-თავგადას-
ვალი დაბადებიდან ნახევარ ლვთოებად გარდაცვალებაშიც.

ცხადია, მხრივოდ ხალხის ღიღ სიუკარულს შეეძლო ამ ძეგლის 24 საუკუნის მანძილზე ზეპირ და წერილობით შენახვა. მართლაც, აღმოსავლეთის ქმნილებათა შორის ხალხში სახელმოსკეფილობით და გაგრცელება-ცნობილობით „რამათას“ არც ერთი მხატვრული ძეგლი არ შეიძლება.

ინდური თქმულებით, რომელსაც „რამაკანას“ შესავალშივე
ვეცნობით, ვაღმი იკის, ინდოეთის „მ-ჰაგავის“ (ღიღ პოეტი,
კლასიკოსის) ღვთავება ბრაჟერშ უძრბანა ღვეუსად თქმა რამას გმირო-
ბისა და თანაც აღითქვა, რომ

გილერემის დგანან მოქინი შაღლები,
გილერე მიწაზე მდინარის ღიან,
ამჟევუნად რამას გმირობის ამბავს
კაცთა მოღმანი მარად იტევიან.

24 საუკუნის შემდეგ, გალმიკის საღმი შიცემული ეს წინასწარმეტყველური დაპირება, მის პოემაზე ესოდენ აცხადებული, კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს ჭრილი პოეტის რა უდენ გვეტაძის მიერ ტებილ ქართულით ამღერებულ რამას საღიღებელ ჭრიმნებში.

იმის წარმოსაღენად, თუ დღესაც რაოდენ მოწიწებითა და სიუგარულით ეცერობიან ამ საგმირო პოემას თავის სამშობლოში, საკმარისია გაფიხსენოთ მა ჭატმა განდის (1869—1948) მოგონება თავის ურმობისას „რამაინა“-თი განცდილ ღრმა გრძნობებზე.

თავის აფობიონგრაფიაში, რომელსაც იგი უწოდებს „ჩემი ცდების ისტორია ქეშმარიტების ძიებაში“ — განდი მოგვითხრობს, რომ ბავშვობისას, „მოჩევენებათა და მავნე სულების“ შიშით უცყრობილი, იგი უშიშარ გმირად იქცა თავის აღმზრდელის რჩევით — იკითხოს „რამაინა“, რომელსაც იგი თითქმის იზეპირებს.

13 წლის ყმაწვილზე წარუხოცელი შთაბეჭდილება დაუტოვებია ამ პოემას. თურმე მამის სახერძლივი ავაღმურფობის ღრმა შასთან დაირჩეოდა „რამაინას“ სახელგანთქმული მკითხველი და თაყვანისმცემელი ლადა მა ჭარა ჯა. იგი უკითხავდა „რამაინა“-ს სარცელზე მწოდნარ აგაღმურფოვს გართობისა და შეურნალობის მიზნით. თვით ამ ლადას შესახებ ხალხში, თურმე, ამბად დაღიოდა, რომ იგი ქეთრისაგან განიკურნა წამალუკარებელი, შხოლოდ ღვთავა მა ჭადევა განდი (ღვთავა შიგასაღი) შიძღნილ ბილვის ფოთლებს იღებდა მტკიცნეულ აღგრძებზე და უოველდღე დაუცდენდა და იმეორებდა „რამაინას“. „ასე იყო, თუ ისე, — დასძებს განდი — ჩეენ ეს გვწამდა. უოველ შემთხვევაში, მამას რომ ლადა „რამაინას“ უკითხავდა, მას ქეთრი აღარ სჭირდა, მას სასიამოგნო ხმა ჭერნდა. იგი წაიმღერდა ღოხებისა და ჩაუპაიებს (სტრიქონთა წყვილსა და უეგრებს) და განმარტავდა მათ; აცესდა გამარს და მსმენელებს აფუვევებდა. მაშინ მე 13 წელს გიყავ მიღწეული,

მაგრამ შახსოვს, რომ მთლიად გამიტაცა შისმა კითხვაშ. დან იწყება ჩემი თავდანისცემა „რამაინასაღი“. *

„რამაინა“ რომ ხალხს გატაცებით უუფარს, ეს შესანიშნავად აქვს ასახული აგრძოვე ცნობილ გერმანელ ინდოლოგს ღრ. მ. ვინ-ტერნიც ს თავის ინდურ ლიტერატურის ისტორიაში. იგი ანიშნავს, რომ რა მას ისტორია ცოცხლობს ინდურ ხალხს უველა ფენასა და კლასში, მაღალი და მღაბალი, თავადი და გლეხი, მიწის მუშა, ისევე როგორც ვაჭარი და სელოსანი, მეფისწული, ასელი და მწყემს ქალი საუკეთესოდ იცნობენ დიდი ეპონის სახეებსა და ამბებს. გაცებს ამაღლებთ ღიღებული საქმინი რამასი და სცებებიან რამას ბრძნელი სიცუცებით; ქალებს უფარო და აღიღებენ სიცს, როგორც ცოლური ერთგულების იდეას, რაც ქალის უმაღლესი საონება... ხალხური გამოთქმანი და ანდაზები მოწმობენ იმ ნილ-ბას, რომელიც ხალხსა აქვს „რამაინა“-საღი. ასევე მასწავლებლები და სხვადასხვა სარწმუნოებრივ საზოგადოების მოძღვარნ ემ-ყარებიან „რამაინას“ და ესესებიან მას, როცა მათ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ მოძღვრების გადრცელება სურთ ხალხში. **

ერთი სიცუცით, ერწმუნებით, რომ რუსთაველის მსგავსად, თეიმურაზთან გაბასებისას, ვალმიკის შეეძლო ეთქა:

„ინდოეთი სავსე არის, ჩემი წიგნი უველგან გაჰქის, ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისაც უწუს, მხიარულად წაიგითხვენ, მასზე თვალნი არის უწუს...“

„რამაინას“ ამ ღიდ პოპულარობას საუკუნეთა შანბილზე ხელი უწუშო აგრძოვე იმ გარემოებამ, რომ არ დარჩენილა უმდეგი დროის არც ერთი სახელგანთქმული მწერალი შესანიშნავი ინდური.

* ნახეთ: Махандас Карамчанд Ганди. Моя жизнь. Перевод с английского с предисловием Р. Ульяновского. Под редакцией И. М. Рейнсера, 1934. Огиз—Соэксиз, 83. 71.

** ნახეთ: Geschichte der indischen Litteratur von Dr. M. Winternitz a. ö. Professor an der deutschen Universität in Prag. Erster Band. Einleitung—Der Veda—bie volkstümlichen Epen und bie Purānas. Zweite Ausgabe. Leipzig C. F. Ammanns Verlag. 1909 83. 405.


 ღრამის „შაკუნტალას“ უკვდავი აფტორით, ინდოეთის ქეშმარიტი 369-ით
 პოეტია შორის უდიდესი კალიდასათი დაწყებული, ნაკლებად
 ცნობილ ღრამატურგ ბჟაგაბქეტურით გათავებული, რომ არ დასეს-
 ხებოდნენ „რამაიანას“ და მისი ეპიზოდები ხელახლა არ გადაემ-
 დერ-გადაემუშავებინოთ. შე-12 საუკუნის დასაწყისშივე გვხვდება ამ
 ეპოსის თარგმანი ტამილურ ენაზე, რომელიც ითვლება ინდოეთის
 უმეტესად განვითარებულ თანამედროვე ლიტერატურულ ენად. იგი
 გავრცელებულია ინდოეთის უკიდურეს სამხრეთსა და კუნძულ ცე-
 ლონზე, სადაც მოლაპარაგეა 20 მილიონი მოსახლეობა. „რამაი-
 ანას“ ტამილურ ენაზე თარგმანს მალევე მოჰვევა ჩრდილო და სამ-
 ხრეთ ინდოეთის ხალხურ ენებზე გაჩენილი გადანაშლერ-ნათარგმნე-
 ბი. ხოლო შე-17 საუკუნეში, სახელმისამართი 1631 წ., სახელვან-
 თქმულმა მწერალმა ფულ სი და სმა ჭინდის ენაზე შექმნა „რა-
 მაიანას“ ახალი, რელიგიურ-ფილოსოფიური პოემა, — „რამ-ჩარიტ-
 მანას“ სახელით ცნობილი, რომელსაც დღესაც მღერიან მილიონ-
 ები. თანამედროვე ინდოეთში-კი ჭინდის ენაზე 100 მილიონზე
 მეტი ხალხი ლაპარაკობს. იგი გავრცელებულია ინდოეთის ე. წ.
 „შეკრობულ პროექტებსა“ და მის სამხრეთით.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ჩრდილოეთ ინდოეთში, მაგ. ლაჭორაში, ყოველ წლივ, რელიგიურ დღესასწაულების დროს, იდ-
 გმება ღრამატიულად გადამუშავებული რამას ისტორია, რომელიც
 უამრავ მნახველს იზიდავს. ამასევე გხვდებით ინდოეთის დანარჩენ
 ქალაქებშია და სოფლებში. სამართლიანად შენიშვნას ინგლისელი
 ინდოელოზი ე. ჭორვიცი თავის „ინდოეთის ლიტერატურის მოქ-
 ლე ისტორიაში“, რომ „რამაიანა“ იყო და დღემდის არის დაუშ-
 რეტელი წეარი ინდური თეატრისათვის ათას წელზე მეტი ღროის
 განმავლობაში. *

საუკუნეთა მანებილზე ხალხის ოდალში ბედნიერებით მორქმული
 რამა ღვთაება გიშენეს აგათარას (განხორციელებას) ეღირსა თავის
 პიროვნებაში და ნახევარ ღვთაების, კაც-ღმერთის კვარცლბევზე
 აფილა უკვდავ გმირის შარავანდით მოსილი.

* ნახეთ: A short history of Indian literature by E. Horowitz with an introduction by prof. T. W. Rhys Davids. London. 1907, გვ. 31.



საკვირველი არ არის, თუ ამ კაც-ღმერთად ქცეულ რამას შემოგენერირები ეპონის წმინდა წაგნის სახელს იხვეჭს.

საკვირველი არ არის, რომ ინდური შეძახილი „ჰე, რამა“ — მითიური გმირის რამასაღმი მიმართული, მორწმუნე ინდოს შემცნებაში დღეს უკვე „ო, ღმერთო“, „ო, უფალო“-ს უძრის, რადგან რამა უკვე მისი რწმენით, ერთ-ერთ ღმერთად არის ქცეული. ეს ნათლად შეინიშნება ვალ მიკის შემდევ „რამაინასაღმი“ ღამა-ტყბულ ნაწლებში. ამიცომ არის, რომ შესავლის პირველ სიმღერაშივე იკითხება:

„გინც ამ წმინდა, ცოდნათა წარმხოცელ, ღვთაებრივ, ვეღას სადარო, რამას ამბავს წაიკითხავს, უკველა ცოდნისაგან განიწმინდება...“

ბრაჟმანი, რომელიც მას წაიკითხავს, სიცევაძლიერი შეიქმნება, მეფე ქვეუანაზე ბატონობას განიმტკიცებს, ვაჭარი ბეღნიერად წარმართავს თავის სავაჭრო საქმებს და ოვით შედრა ღიღებას მიაღწევს“.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა თქმულება ქაშმირის ერთ მეფეზე, რომელიც, ზეგარებით ძალის მიერ დაწყევლილი, გვიღად იქცა და მანამდის აღარ დაჭრუნებია მას ქაცური სახე, სანამ ერთ დღეს მოელი „რამაინა“ არ მოასმენინს.

„რამაინას“ ასეთი ბეჭი საუკუნეთა მანძილზე გახდა ერთგანი მიზეზი იმისა, რომ მან შეორე ინდურ უღიღეს ეპონის „მაჭაბჟარაცას“ („დიდ ფარაცანის“) მსგავსად, ჩვენამდის პირვანდელ სახით არ მოუღწევია. იგი ლამატებითა და ცელილებებით გაიზარდა და, უმეტეს შემთხვევაში, მრავალ ვერსიას შეიცავს. ამ ვერსიათა უორის უმნიშვნელოვანებია ე. წ. ბომბეის, ლასალური და ბენგალური ვერსიები. „რამაინა“ 7 წიგნად გაყოფილი, — როგორც უკვე აღვნიშნეთ, 24 ათას წყველ სტრიქონის შემცელი, უკანასკნელად (1937 წ.) გამოცემულ, გაზრდილ „ვეფხისტეოსანთან“ შედარებითაც — ეკი 7-ჯერ ღიღა.

„რამაინას“ პირველი წიგნი, რომელსაც ძევლი ინდური ენით (სანსკრიტით). „ბალა-კანდა“ ეწოდება, (ე. ი. „ბაგშვილის შესახები ნაკვეპი, კარი“) ეძღვნება ეპონის მთავარ გმირის, რამას დაბადებას, აღზრდას და ვიღეჭას მეფის ასულ სიცასთან ქორწინების შემდგომ, ბეღნიერებით გაფარებული ცხოვრების თხრობას.

ეპოდების ნამდვილი ნასკვი იწყება შეორე წიგნით („აორდ-ჭია-განდა“-თი), სადაც აღწერილია შე. განგის ჩრდილოეთი მდე-ბარე კოშალას ქვეუნის და შარათ მეფის (რამას მამის) სატახ-ტო ქალაქ აიო დჭიათა და მის სამეფო-კარზე მომზარი ამ-ბები.

შესამე წიგნი — („არანია-განდა“) აგვიწერს უღაბურ ტექში განდეგნილ რამას, მისი ერთგულ შეუღლის სიტას და უკულითა-დეს მმის ლაქშმანას ცხოვრებას. აქვე მოთხრობილია სიტას მოტა-ცება ავი სულის რაგანას მიერ.

შეოთხე წიგნი („გისკინდა-განდა“) მოგვითხრობს რამას მეგობრობა-გავშირზე მაიმუნთა მეფე გისკინდასთან იმ მიზნით, რომ მოტაცებული სიტა დაიბრუნოს.

შეხუთე წიგნი („სუნდარა-განდა“) აგვიწერს საუცხოო კუნ-მულ ლიანგას (ახლ. ცეილონს), სიტას მომტაცებელ ბოროტ სულ-თა — რაქშასების — მეფის რაგანას სატახტო ქალაქს, მის უშვენიე-რეს სასახლეს და ქალთა საშეიფოს (ჰარაშრანს), სადაც რაგანას, სხვათა უორის, ცეკვედა ჰყავს სიტაც. წიგნი მოგვითხრობს აგრეთ-ვე იმ დახმარების შესახებ, რომელიც აღმოუჩინეს რამას მაიმუნ-თა მეფემ სუგ რივაშ და მისმა გაზირმა ჰანუ შანშა მაიმუნე-ბის მეუკელი ჯარით რაგანასთან ოშში. წიგნის სანსკრიტული სა-ხელწოდება „სუნდარა-განდა“, რაც „მშვენიერ ნაკვეთს, წიგნს“ — ისუნაგს, მოწმობს მის მაღალ პოეტურ ღირსებას. და გადაჭარ-ბებულ საზღაპრო შინაარსს. „რამაიანას“ ეს შეხუთე წიგნი მოლად, „რომანტიკულია“ და ინდურ გემოგნებისათვის უშვენიე-რესად მიჩნეული.

შეექვე სე წიგნი — („იუდლჭა-განდა“) — „ბრძოლის უქახე-ბი ნაკვეთი“ აგვიწერს იმ ბრძოლას, რომელიც მოუხდა რამას რაგანას რაქშასებთან. ეს წიგნი მოცულობით უყელა წიგნს აღმატება და მასში მხატვრულად აღწერილა რამას თავგადასა-ვალი.

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ინდოლოთა შო-რის არაგინ ეჭვობს, რომ „რამაიანას“ შე უვიდე წიგნი — „უტარა-განდა“ — „უკანასკნელი ნაკვეთი“ — მრავალ თქმულებათა და გაღმოცემათა უქმცელი — უქმდეგი ღროის დანაშატია. ამ წიგნ-

ში წარმოდგენილ საგნებისა და ლეგენდების შეგავსი აშები ფეხულებით გადასახლება „მაპაბჲატაცას“ და ჰინდუიზმის სახელით ცნობილ სარწმუნო ნოებრივ ლიტერატურაში (პურანებში) და მათ არაფერი აქვთ საერთო „რამაიანსთან“. ასევე კარგა სანია დამტკიცებულად ითვლება, რომ „რამაიანს“ პირველ წიგნსაც არავითარი კავშირი არა აქვს ვალმიკის სახელით ცნობილ პირვანდლ, უძველეს თხზულებასთან.

მხოლოდ პირველი და მე უვიდე წიგნი წარმოგვიდგენს რამას ღვთაება გიშნუს ინკარნაციად (განხორციელებად). დანარჩენი წიგნები—შეორით დაწყებული შექვემდე (მის ჩათვლით), ზოგიერთი შცირე, შემდეგი ღროის შენამატის გამოელებით, წარმოადგენს ნამდვილ „რამაიანს“, რომლის გშირი მოკლებულია კაც-ღმერთის ნიშნებს და ღვთაება გიშნუს მიწიერ განხორციელებად არ შიიჩნევა.

მაშასალამე, გვრჩება „რამაიანს“ უძველეს, ძირითად ნაწილის შემდეგი ფასულა: კოშალას შეფისწულ რამას განდენის ის-ტორია; მის ერთგული შეუღლის სიცას მიერ ნებაყოფლობით დევნილების გაზიარება რამისთან ერთად; მათი განდეგილად ცხოვრება უდაბურ ტექში; ბოროტ სულების (რაქშასების) შეფის რაგანას მიერ სიცას მოტაცება; მის ძებნად უდაპნოდან გაჭრილი რამა; მისი კავშირი მაიმუნთა შეფეხთან; რაგანს სამეფოს კუნძულ ლანკას (ცეილონის) გარეშოცა; რამას მაშეველ მაიმუნთა კვარისა და რაგანას რაქშასების ოში, რამას და ცხრათავიან რაგანას მარტო პრძოლა; რაგანას ღმარცხება და სიცას განთავისუფლება; რამას ეჭვი სიცას უმანგოების შებღალვაზე; სიცას უმანგოების დამტკიცება და ქშრისაღმი გაღაცემა; ცეცხლის ღვთაება აგნის მიერ, ბეღნიერ წყვილისა და მათ უერთგულეს მმა-მაზლის ლაქშმანას ლაპრუნბა; დევნილების ვაღის (14 წლის) გასვლის შემდეგ კოშალას დეღალიაქ აორიაში.

უკანასკნელად ფარატას გადადგომა და რამას ასელა სამეფო ტახტზე.

აი მოკლედ გალმიკის უძველესი თხზულების ფასულის მთავარი ხაზები.

„რამაიანს“ წინამდებარე ქართული თარგმანი მხოლოდ ერთი

შეუძლებია ჩვენაში მოღწეულ ძეგლისა და გაძმოგვცემს რამის განდევნის ამაց—მაჟადაშე, მის მხოლოდ მეორე წიგნს ("აიო-ჯკა-განდას").

აღსანიშნავია, რომ ოვით ევროპელი ლიტერატორები მეტად გვიან გაცევენ ამ უშესანიშნავეს ძეგლი ინდურ ეპოსს. პირველი თავისუფალი და შემოკლებული პოეტური გადამუშავება „რამა-ნას“ ამ მეორე წიგნისა გერმანულად მოგვცა ამ ასტუთი წლის წინათ აღოლფ ჭოლც მან მან, * გერმანულად მხოლოდ 1879 წელს გამოიგდა „რამა-ნას“ პირველი წიგნის სრული პროზაული თარგმანი, შესრულებული მენრადის მიერ. **

მეფის რეუმით სულშეხუთული, შეცხრამეტე საუკუნის საქართველოს მოქმინნაულე უცილები, ცხადია, ვერ ახერხებდნენ მოწინავე თავისუფალ, კულტურულ ერებთან გათანასწორებას თარგმნითი ლიტერატურის სარბილოზე. ამისდა მიუხედავად, მაღლობისა და სიამოცხვის გრძნობით უცველია აღნიშნოთ, რომ ქართულ ენაზე „რამა-ნას“ ზემოხსენებული „მეორე წიგნი“ — ევროპულ გულტურას დაწაფებულ, ჩვენი საზოგადო მოღაწის აღვესანდრე სარა ჯიშვილის დაწლით, პროზით თარგმნილი უფრო აღრე გამოქვეყნდა, ვიღრე მეფის რესეტში ი. ა. რომ ენ სკის რუსული თეთრი ლექსითი თარგმანი, დამყარებული პოლცმანის იმავე გერმანულ თარგმაზე, რაც აღ. სარა ჯიშვილმა გამოიყენა. *** სამწუხაროდ, სარა ჯიშვილის ეს პროზაული თარგმანი ამ ნახევარ საუკუნის მანძილზე უცუმნებელი გახდა და მისი არსებობა ოვით ზოგიერთ სპეციალისტსაც არ ახსოვდა. ამიტომ უსათუოდ

* Rama, ein indisches Gedicht nach Walmiki, deutsch von Adolf Holtzmann. Karlsruhe, 1843.

ამ თარგმანს ჭოლც მან საფუძვლად დაუდვა ა. ვ. შლე-გლის მიერ დადგენილი სანსკრიტული ტექსტი.

** „Rainayana. das Lied von König Rama, ein altindisches Heldengedicht des Valmikiusw. Müunhen, 1897.

*** რამას განდევნა პოემიდან „რამა-ნან“ გერმანულიდან აღ. სარა ჯიშვილის მიერ თბილისი, 1897 წ. და რამა-ნა. Индийская эпическая поэма. пер. с нем Ю. А. Роменского СПБ. 1902.

ღირს შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს პოეტ რაედენ გვე-
ფაძის ამ წიგნში წარმოდგენილი ქართული თარგმანი, არსებულ
ლიტერატურულ წეროების გამოყენებაზე ღამეურებული, მსუბუქი
ლექსით ფრთხევეს მოტივი, რომელსაც რამას თავგადასავალი, — ინ-
დური სიბრძნისა და მხატვრული შემოქმედების ეს საუნჯე, უფრო
ადგილად მიაქვს ქართველი მკითხველის გულთან და გონე-
ბასთან.

საქართველოს ახსოვს ისეთი ღრო, როდესაც იგი წმინდა თაფ-
ლის სანთელზე მწირულ საგანდეგილოში, ღამეთა წართვით მო-
მუშავე მამების ღვაწლით, ინდურ გონებრივ საუნჯესაც ეწავებო-
და და აღმოსავლეთის სიბრძნის სხივით აშუქებდა ღასავლეთის
წყვილიანს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „სიბრძნე ბალაგარისა“ —
ეს „სულთარებელი“ სასულიერო რომანი, რომელიც ბუდჰას
ცხოვრების საქართვისანო მოთხრობას წარმოადგენს და რომელიც
ბერძნებმა პირველად ქართული ენით გაიცნეს. „რამაიანას“ ეს
ახალი თარგმანი ასეთსავე ღიღ ლიტერატურულ ღირებულების შოვ-
ლენად გვეჩვენება და ვისურვებით, რომ ინდურ გონებრივ სალა-
როში მოგზაურობა ამ პირველი პოეტური თარგმნით არ ღასრუ-
ლებულიყოს.

ვიყითხოთ ახლა რითაა საურაღებო „რამაიანას“ ის ნაკვე-
თი, რომელსაც ამ წიგნით ცებილი ქართულის სიტყვა-ბერით
ხორცი შეესხა, ინდური მაჯის ცემის შენარჩუნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი, როგორც უჩვევ გოტით,
შცირე ნაწილია ეპოპეისა, იგი თავის შინაარსით და აქ წარმოდ-
გენილ ამბავთა თხრობით, სრულიად ღმოუკიდებელ და ღასრულე-
ბულ მხატვრულ ნაწარმოებად გვევლინება.

გაღმიგის „რამაიანაზე“ შეიძლება გამოირებულ იქნას ჭო-
რაცის სიტყვები „ილიადაზე“ თქმული — „ის წარმოადგენს
აღაშიანის ვნებებისა და მათი სამწუხარო შედეგების ღასრაოე-
ბას“.

„რამაიანას“ ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივია,
მასში ასახულია ინდოთა იღებლური სწრაფვანი, მათი სარწმუნოებ-
რივი განცდანი, მათი შექედულებანი ცხოვრებასა, ბუნებასა და აღა-
შიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე: სიყვარულზე, მეკობრობაზე,



შოთა რუსეთის გრძნობაზე შშობელთა, ნათესავთა და სამშენებლოს მინაშე.

ამავე წიგნით ვეცნობით ინდური ხალხის სახელმწიფო ბრიტანულ და საზოგადოებრივ ცხოვრების სურათს, მის გარემოს, ინდოეთის ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს.

„რამაიანას“ ამ ღასრულებულ ნაწილისადმი შეუჩელებელ ინტერესს ზრდის ის გარემოება, რომ აქ ასახული ინდური ხალხის ბრძნული და ზენობრივი შესრულებანი, უმჯობელად დროითა და გარემობით შეპირობებული, მარტო ისტორიულ ღირებულებისანი არ არიან. ისინი საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულ ღირებულებათა გადაფარებას უძლებენ და ღლესაც რჩებიან ზოგად საკაცობრივ სიბრძნისა და ზენობის ნიმუშად. ეს იმისდა მიუხედავად, რომ მათი აღმარტინებელი ცოცხალი აღამიანები რამას, ლაქშმანას, სიტას და სხვათა სახით, ინდისა და განგის აუზში წარმოიშვნენ და აღამიანის მაღალ დანიშნულებისათვის ბრძლით გახურებულ შეკრდს ჰიმინდაის მწევრებალთა ქარით განიგრიღებდნენ. წიგნის პირველ გადატიხოებისას ოქენეზე წარუხოცველ შთაბეჭდილებას სტოგებს, ღრმა ღრამატიულობის ხეჭვით აღხეჭვილი, თხრობის სისაღავე, და ადგილგასაგებიანობა. ხერმნულ და სხვა დასაგლოური ერების ეპონის გაცნობილი მკითხველი ადგილად დაუთხმება გეორგ ვეგბერის შიერ გამოცანილ განხევას, რომ ინდური ეპონი არ ჩამოუვარდება ხერმნულს არც მაღალ ზენობრივობითა და აზრთა სიღრმით, არც თუ მხატვრულ სრულყოფილობითა და გრძნობათა სინაზით.

მართლაც, და განა შეიძლება ღრმა და წარუხოცველი შთაბეჭდილება არ დასტოვოს მკითხველზე ინდოელ ქალთა იღეალურ განსახიერებაში: ნაზმა, სათნომ და ქმითისადმი უკრთგულეს მორჩილებითა და სიყვარულით ყოველ დაბრკოლებათა გშირულად გადატახველმა — სიტამ, რომელიც რამას განდევნის წინ მტკიცე გადაწყვეტილებით უპასუხებს, რომ

„უშენოდ ცაშიც ვერ გასძლებს გული“...

და შეკრდე შიეგვრის თვალთაგან ცრემლწამინარე...

„რამაიანას“ ქართულ თარგმანისადმი მიძღვნილ ამ მოკლე წინასიცევაბაში ჩვენ ზედმეტად მიგიჩინეთ პოემაში წარმოდგენილ მხატვრულ სახეების ცალკეული დახასიათება, მით უშეცეს,

რომ პოემის გაცნობისას მეითხველიც აღიღად შენიშნავს რეა-
ლურ გმირების მაღალ ადამიანურ ღირსებას, მაგრამ არ შეკიბრ-
ლია განსაკუთრებული ყურადღება ან ვთხოვოთ მეითხველს ტარი-
ელა-ავთანდილურ ძმური სიყვარულით ანთებულ რამასა და ლაქ-
შვანას ბრძნულ საუბრისაღმი. როდესაც ისინი მორჩილებისა და ბე-
ლის შესახებ საუბრობენ, ბელის ურჩი და მათან ბრძოლის უინით
აღატყინებული ლაქშვანა საბოლოოდ ფარ-ხმალს დაჭრის და რგი-
ნად ქცეული მელავების ძვლებიც მოუღუნდება რამას ზემთაგო-
ნებულ სიცუკვების წინაშე:

„საზიზღარია გალს ვინც იფიწყებს,
ეძებს სარგებელს სურვილით მთვრალი.
მოგალეობა ყოველივეზე
მაღალი არის, ვერ შესწევდეს თვალი,
მიცემულ სიცუკვის მეის შესრულება—
ესაა კაცის პირველი გალი.
მე მამის სიცუკვას ვერ გარდაუგალ,
თუმც ვიცი მელის ცხოვრება ბნელი.

მოგალეობის იდეის უებრო რაინდი—რამა აჩავე დროს არის
იღეალური შეილი, მმა და ქმარი. საურადლებოა, რომ იყი, მის
უნებლივით, სასახლისათვის ჩვეულ ინტრიგის მიზეზით, კუზიან
მანთარასა და კეიკეის უინიანობით, ტახტის მომზაცებელ მმას ფა-
რატას ურჩევს:

„ნურც შენ იქნები დედის მგმობელი“-ო,
რაღან

„რაც ყრმაზე დედას ღვაწლი მიუძღვის,
შეილმა ვერ უზღოს მას მაგიერი...“

პოემაში ყურადღებას იქცევს გულით ურწმუნო, ღმერთთა უარ-
შეოფელი, ნიჭილისტურად მოაზროვნე, ამქვეყნიური ბედნიერებისა
და კეთილდღეობის მაძიებელი რამას მამის „გზირი ვაბალი, რო-
მელიც გაეს შესანიშნავი პოემის „გველის მჭამელის“ მოშერნე
ჩალხის გვაგონებს.

არავის ბალუებს რამას აცდენა კეთილი გზიდან, ისე როგორც
ფერვინ შესძლებს ჭიმალაის მთებიღან ყინულის გაქრობას.



ასეთია რამა, ინდურ ზენობრივ საუნჯის ეს უეპრო რაინდობული
შისი ქცევანი და ბრძნული სიტყვები თავის ღროის ინდოთა ღრმა
შოძლებრებითი და აღმზრდელობითი შნიშვნელობისა,— დღეს ჩვენი¹
თარგმნითი ღიატერატურული საგანმურის უძვირფასები შენამატია
და ქართველ მკითხველისათვის, უთუოდ, „რამაინა“ ერთ-ერთ
საუკარელ წიგნად იქცია.

ბოლომონ იღებდანიშვილი

„რამაიანა“ ქართულად

საქართველოს ისტორიულ ქრონიკებსა და ძველ დამწერლობით ძეგლებში მრავალი ცნობაა შემონახული, რომლებიც გადმოგვცემენ საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობათა საფულისხმო ამბებს.

ჩვენი ქვეყნისა და ინდოეთის დაახლოებას, პირველ რიგში, უთუოდ, ხელს უშეობდა ის დიდი საქარავანო გზა, რომელიც გადიოდა საქართველოს ხე. ეს გზა საშუალებას აძლევდა ჩვენს ხალხს იოლად დაკავშირებოდა ინდოეთის სავაჭრო ცენტრებს და იმავედროს ახლო გაცნობოდა მის ცხოვრებას, მის მდიდარ კულტურას.

ადრინდელი ქართველი მწიგნიბრები და მწერლები რომ კარგად იცნობდნენ მაშინდელ ინდოეთს, ინდოთა კულტურას, ამის ნათელ ნიმუშს წარმოადგენს თუნდაც „სიბრძნე ბალავარისა“. ეს პირველი ქართული რომანი, დაწერილი VII საუკუნეში, ეხება ინდოეთის მეფის აბენესის და მისი შვილის იოდასაფის ცხოვრებას. რომანის მთავარი თემაა მამა-შვილს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, რასაც წარმოშობს ის გარემოება, რომ იოდასაფი ხდება ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი და გამავრცელებელი მოხუცი ბრძენის ბალავარის მეობებით.

ეს შესანიშნავი რომანი XI საუკუნეში ქართულიდან უთარგმნიათ ბერძნულად, ბერძნულიდან - ლათინურად, ხოლო ლათინურიდან შემდეგ განვრცობილა ყველა კულტურული ერის ენაზე და მიჩნეული ყოფილა საუკეთესო საკითხავ წიგნად როგორც შუა, ისე ახალი საუკუნეების მთელ მანძილზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ ქართულიდან ბერძნულად გადაუღია ქართველ ქაცს, თავის დროის დიდად გამო-

ჩენილ მწერალსა და მოაზროვნეს ექვთიმე ივერიელს, რომელიც იყო
ათონის ე. ჭ. „ივერიის მონასტრის“ ჭინამძღვარი 1005—1019 წლებ-
ში და ბერძნული ენა ზედმიშვენით ცოდნია.

კიდევ უფრო ნიშანდობლივია ის ამბავი, რომ „ვეფხისტყაო-
სანის“ მთავარ გმირებს რუსთაველი გვიხატას როგორც ინდოე-
ლებს. ეჭვი არაა, რუსთაველი კარგად იცნობდა ინდოთა ძველ ლი-
ტერატურას, პირველ რიგში მათ ბრწყინვალე ეპოსს „რამაიანას“.

ჩევნ გვაქს უფრო გვიანდელი ძევლიც, რომელიც აგვიწერს ინ-
დოთა და ქართველთა ურთიერთობას. ესაა ერქველე მეორის ელჩის
გაბრიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთს“.

ქართველთა ინტერესი ინდოეთისადმი შემდეგ ხანებშიაც არ
შენელებულა.

XIX საუკუნის მიწურულს, სახელდორ 1897 წელს, დაიბეჭდა
ალექსანდრე სარაჯიშვილის მიერ ქართულ ენაზე პროზაულად თარ-
გმილი „რამაიანა“.

სარაჯიშვილს თავისი პროზაული თარგმანი შეუსრულებია ადოლფ
ჰოლცმანისაგან გერმანულ ენაზე გალექსილ „რამაიანას“ მიხედვით.
ჰოლცმანის პოეტურ „რამაიანას“ კი, როგორც ცნობილია, საფუძვე-
ლად უდევს ა. შლეველის მიერ დადგენილი სანსკრიტული ტექსტი.

მშეგიდ, ეკიური ინტონაციით, იმავე დროს დიდი შინაგანი ექს-
პრესითა და მდიდარი პოეტური სალებავებითაა „რამაიანში“ და-
ხატული ინდოთა სწრაფვანი, ზნეობანი, მათი სარწმუნოებრივი გან-
ცდანი, მათი შეხეღულებანი სიცოცხლეზე, ბუნებაზე და ადამიანის
ცხოვრებაზე. ეს პოემა მაღალხმოვანი ჰიმნია, წარმოთქმული სიყვა-
რულსა და მევობრობაზე.

იგი მშობელთა, ნათესავთა და სამშობლოს ჭინაშე ადამიანის
მოვალეობათა ურცელი პოეტური კოდექსია.

2400 წლის ჭინათ სანსკრიტულად შექმნილ „რამაიანას“ ავტო-
რობას მიაწერენ მითიურ პოეტს ვალმიკს. „რამაიანა“, როგორც ეს
სამართლიანადაა აღიარებული მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეო-
ბაში, ოდნავადაც არ ჩამოუვარდება ბერძნულ ეპოსს არც თავის
მაღალ ზნეობრიობითა და აზრთა სიღრმით, არც მხატვრული
სრულყოფილობით.

„რამაიანას“ მე გავეცანი ალექსანდრე სარაჯიშვილის პროზაულ
თარგმანში, რომლის გამოცემის უნიკალური ეგზემპლარი მისახსოვ-
რა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. პირველივე შთაბეჭდილება ისეთი
ძლიერი იყო, რომ გად ვწყვიტე მისი ლექსად თარგმნა.

მოვძებნე ჰოლცმანის გერმანული ტექსტიც. აღმოჩნდა, რომ
რუსულ ენაზეც არსებობს ი. ა. რომანსკის მიერ თეთრი ლექსით
იმავე ჰოლცმანიდან თარგმნილი „რამაიანა“, გამოცემული 1902 წ.
მიემართე სანსკრიტულის მცოდნეს სოლომონ იორდანიშვილს,



რომლის დახმარებითა და კონსულტაციით 1935 წელს შეცუდეს
ქართული ლექსით „რამაიანას“ გაწყობას.

„რამაიანა“ შეიცავს შვიდ წიგნს. მათ შორის კომპონიციურად
ყველაზე უფრო შეკრულია მეორე წიგნი. ამ ქარშია უმთავრესად
კონცენტრირებული მთელი ეპოსის ამბავი და პოეტური ძალა. სწო-
რედ ეს მეორე წიგნია ცნობილი ყველა ენაზე.

შვიდივე წიგნი სულ შეიცავს 24 ათას ინდურ შლოკს (წყვილ
სტრიქონს), მეორე წიგნი ცოტათი თუ აღემატება 1500 შლოკს.

მთელი „რამაიანას“ ინდური დედანი დაწერილია ოცმარცვლო-
ვანი ლექსით.

მეც ეს ზომა ავთრჩიე, ოდნავ განსხვავებით: ორ სტრიქონს მი-
ვუმატე მესამე, ასე, რომ ინდური შლოკი ტერცინად გაქციო. ამას-
თანავე ოცმარცვლოვანი სტრიქონი გავყავი შუაზე. ამრიგად, ქარ-
თული თარგმანი შედგება 6 სტრიქონიანი ხანგბისაგან, რომლებ-
შიაც მეორე სტრიქონი ერითმება მეორთხეს და შემდეგ მეექსეს.

„რამაიანას“ ვთარგმნიდი ხანგამოშვებით, 7 წლის განმავლობაში.
იგი პირველად დაიბეჭდა სამამულო ომის დროს, 1943 წელს.

ვცდილობდი ქართულ „რამაიანას“ ჰქონდა პოეტური ენის
სიმსუბუქე და ორიგინალის მაღალმხატვრული იქრი.

მსჯავრი მკითხველმა დასდოს.

რაჟდენ გვეტაძე



ଓଡିଶାସନ୍ୟା
ଲୋକପରିଚୟ

କରମଧିରନ୍ଦ୍ର



თავი პირველი

აიოდიას ქოშკ-სასახლეში
დაბრძანდა ტახტზე დაზარათ დიდი.
შევიდნენ დარბაზს მთავარნი წყნარად,
ხარისხისამებრ, ჩვეული რიდით,
თავიანთ ალაგს დასხდნენ და მზერა
მიაპყრეს მეფეს ჩუმ მოლოდინით.

მათ მიესალმა მეფე თავაზით,
შემდეგ გაისმა: როგორც დაფდაფის
საზეიმო ხმა, როგორც ქუხილი,
მისი სიტყვები ბრძნული, სადაფის:
„მთავარნო, კარგად თქვენ იცით ყველამ
ამ ჩემს ქალაქთა, სოფელ და დაბის

„როგორი იყვნენ მმართველნი წინათ,
როგორ იცავდნენ ხალხს წინაპრები.
მე მივყვებოდი მათ კვალს, ნაღვაწარს,

მქონდა გაშლილი მუდამ აფრები
 და დაუღლელად, გულით ვცდილობდი
 არ: ჩამქრალიყო ქვეყნად ლამპრები.

„მაგრამ ამჟამად, მუდმივი ზრუნვით,
 მციურ ქოლგის ქვეშ თავსა ვგრძნობ ობლად.
 მე მოვიქანცე სულით და ხორცით,
 პატივი, ძალა დღეს მიღირს ოფლად,
 და ალარ ძალმიძს მეფემ დავიცვა
 ქვეყნის ბარაქა, სიმართლე სოფლად.

„მწადს დავისვენო. ვეძებ სიმშვიდეს.
 ტახტს უნდა ჰყავდეს ჩემმაგიერი.
 ასეთად მივის უფროსი ვაჟი,
 აწ მან იღვაწოს მეფის იერით.
 ამისთვის გიხმეთ ტახტის წინაშე,
 მამცნეთ პასუხი, სჯა გულხმიერი.

„გვირგვინი რამას უფრო შეშვენის,
 მცირ ქველობით ვარ განახარი.
 ვით ინდრა სულით ის ძლიერია,
 ის სიბრძნის ხეა ტოტებ-ნაყარი.
 ჭკუა, სიკეთით უხვად შემკობილს
 აჯვა სილამაზეც, ცით მონაგარი.

„მას, როგორც რჩეულს მამაცთა შორის,
 რომელსაც შესწევს ძალა, უნარი —
 მართოს და იპყრას სამი სამყარო,
 ვისიც სიმხნეა დაუწუნარი,
 უნდა გადავცე ხვალვე ტახტი და
 ჩემი ხარისხი გაუხუნარი.

„ამ არჩევანით შევძლებთ ქვეყანას
 ჰქონდეს სიმშვიდის მცველი ლახვარი.
 მა კი დრო არის, სიბერეში მყოფს,

„შემაშრეს ოფლი შრომით ნაღვარი.
 თქვით, მეფისწული მოგწონთ თუ არა,
 როგორც ხელმწიფე და წინამძღვარი?“

„ვლით თუ არა, გჯერათ თუ არა,
 მისგან გამოვა მხოლოდ კეთილი?
 აწონ-დაწონეთ, იფიქრეთ კარგად,
 შემდეგ გახსენით ბაგე კეტილი
 და გულახდილად, მთავარნო ჩემნო,
 თქვით თქვენი აზრი გამოკვეთილი.“

„და თუ არ მოგწონთ, არ ხართ თანახმა
 ჩემი ნების და ჩემი სურვილის,
 არ აღვუღები წინ თქვენს განაჩენს“. —
 ეტყოდა კრებულს მეფე ურვილი.
 ვით ფარშავანებს ხეატში ახარებს
 ცა გასაწვიმარ ღრუბლით ბურვილი

და მას ყივილით ხვდებიან, ისე
 ხელმწიფის სიტყვას შეხვდა კრებული.
 ერის ყვირილმა მთლად შეარყია
 სისახლის ბჟენი გამაგრებული:
 „გვიკურთხე მეფედ! ამიერიდან
 მფობდეს ჩვენზე რამა ქებული!“





ତାତୀ ମେନ୍ଦର

ଜୀବମା କେଲମିହିତୀର୍ଥ, ମହେବର ସବୀନମା
କେମନ୍ତ ଶୁଭାନ୍ତରା ମାତ୍ରିନ୍ଦ୍ର ଆକଳନ୍ତ,
ଉତ୍କରା: „ଯା ହ୍ୟାରା, ମନମଧ୍ୟରେ ରାମା,
ଫାଯୁମଙ୍ଗନ୍ଧିବଲୀଓ କରେବୁଲ୍ଲା ଏକଳନ୍ତ!“
„ଧ୍ୟ, ଅଗ୍ରେ ଯୁଗିଲ୍ଲା“, — କ୍ଷାରରା ଶୁଭାନ୍ତରାର
ଦା ମିଳ ଯିବ ମିଠାଶ କିରିବ ଶେବନ.

ଅନ୍ତରସାମାଜିକ ପରିବାର-ପାଦାଶାମାଲିକ,
ଶାଶ୍ଵତାନ୍ତରାଧେଲିକ ପ୍ରାଚୀନ ମିହିତାନ
ମୁଖୀ ତ୍ରାକ୍ରିୟା ପରିବାରରେ ମହାବନ୍ଦନ ମହାବନ୍ଦନ,
ପରି ପାରିବାକାମାଲାକାମି, ନାଯକରୁତି ପରିବାନ.
ମହାବନ୍ଦନ ପରିବାରରେ ଅନ୍ତରେତୀର୍ଥ ପରିବାରରେ
ମୁଖୀ ପାରିବାକାମାଲାକାମି ପରିବାରରେ ପରିବାରରେ.

და მონაცირე ტომთა მთავრებსაც
წინ დახვდათ მეფე, ლხინის მდომელი.
მას მორჩილებდნენ ისინი ყველა,
და კვლავ სიკეთე მიუწვდომელი
იგი მათ შორის მოჩანდა ისე,
როგორც ღმერთებში ინდრა მჯდომელი.

ქონგურებიან ბანიდან მეფემ
იხილა შვილი სწორუბოვარი.
თავის სიტურფით წარმტაცი თვალთა,
მბრწყინავი, ღამით როგორც მთოვარი.
რამას იერმა მოხიბლა მამა,
ხანდაზმულობით დანათოვარი.

სპილო — ნაბიჯით, ამაყი, მკვრივი,
ომში — გმირი, და ბრძენი — გონებით,
ის იზიდავდა მოქალაქეებს
ნირით და სუფთა სულის ქონებით.
უჭვრეტდა შვილს და ვერა ძლებოდა
მეფე სიზმარში თავის მგონები.

ასე, მწყურვალი უცქერის ცაზე
შემჩნეულ ღრუბელს, წვიმის სათავეს...
შეჩერდა ეტლი. სუმანტრამ მსახურთ
თეთრი მერნების მისცა სადავე,
და მეფისწული შევიდა პალატს,
ჰქონდა მზიური მას სისადავე.

სუმანტრა, გულზე ხელებნაკრები,
რამას თან შეჰყვა რიდით და ყადრით.
ვით კაილაზი ირგვლივ მთათ შორის
მუდამ ელვარებს ყინულის ჩადრით,
ისე ბრწყინავდა ღიღებულთ შორის
ტახტის მემკვიდრე, ტურფა და ბალრი.

მან მეფეს მდაბლად თავი დაუკრა
 და მოახსენა: „აქ ვარ, მოველი“.
 მეფე მოეჭილ პირმშოს მხურვალედ,
 უჩვენა სკამი — ოქროს მთოველი.
 დაჯდა რამა და პალატში უფრო
 განათდა მისი შუქით ყოველი.

განათდა ისე, როგორც ანათებს
 ლამეს მთოვარი, სხივებ-ფაფუკი.
 და უცქეროდა ამაყად პირმშოს
 მეფე, მნახველი ბევრი ქარბუქის.
 თითქოს უმზერდა სარკეში თვის თავსა.
 კვალად ლამაზი, მხერ და ჭაბუკი.


და ის ალერსით ეტყოდა პირმშოს:
 „ო, ჩემო რამა, ქვეყნად პირველად
 შენ დამებადე პირველ ცოლისგან
 დიდი ღმერთი: ბის მსხვერპლის მწირველად
 თან დაგყვა ჟჰუა, კეთილი ნირი
 ქვეშევრდომების გასაკვირველად.


„ყველა თავადი მზადაა — გიცნოს
 ტახტის მპყრობელად და თვის ხელმწიფედ
 ჩემს მაღალ ხარისხს მიიღებ ხვალვე,
 და თუმც ხარ ბრძენი, გონებით მწიფე,
 მაინც, ვით მშობელს, მსურს დაგარიგო,
 გაგაცნო შენი უფლება მძიმე.

„აშ, მომავალში, ო, შვილო ჩემო,
 ეუფლე ვნებებს, ჰყავ აკრძალული.
 ნუ მიეცემი მრისხანებასაც,
 მაგრამ ეცადე — გქონდეს მალული,
 ხანაც აშკარა ფიქრი: მოიმხრო
 მოქალაქენი, შენგან კრძალული.

„ვინც იცავს ხალხს და არ ფლანგავს დოვლათს
აქვს მზად მახვილი მტრების ამრიდად,
ასეთ ხელმწიფეს მუდამ არტყია
მეგობრების წრე ირგვლივ სამრიგად
და უხარიათ იმის დანახვა,
როგორც ახარებთ ღმერთებს ამრიტა.

„მაშ ასე, შვილო, ცხოვრების გზაზე
დაიცხრე ჟინი, საჯე გონებით.
ახლა ემზადე ზეიმისათვის
და დაიხსომე განაგონები.“
წავიდა რამა თვის სასახლისქენ,
წინ დაუფინეს ვარდის კონები.





თავი მესამე

წაზ კეიქეის მონა მანთარაშ
 უცებ დატოვა თავის ალაგი.
 ავიღა ბანზე. გამოჩნდა სრულად
 აიოდია უცხოდ ანაგი.
 ნახა ანაზდად, რომ უჩვეულოდ
 იყო მორთული მთელი ქალაქი.

ქუჩა-ბალები მოერწყათ ყველა,
 გადმოეკიდათ ბაირალები
 და გვირგვინები, ვარდებით წნული.
 თან აღემართათ გზებზე თალები,
 და ყველგან იდგნენ, ან დადიოდნენ
 მოქალაქენი მხნე და ლალები.



შრწყინავდნენ ვერცხლით სალოცავები;
სამურ ხმებზე უკრავდნენ ჩანგებს.
გაოცებული მონა მანთარა
ყურს არ უგდებდა მომხიბვლელ ჰანგებს.
იქ, ბანზე იდგა რამას გადიაც,
მოსილი თეთრი ქათანით განგებ.

ჰკითხა მანთარამ: „ახ, რამას დედა
ბედს ხომ არ უხმობს, გადანაბირებს,
და ძუნწი წინათ, დღეს ნეტარებით
ხსნის ხალხისათვის სკივრის ნაპირებს?
თქვი, რა ახარებს ხალხს ასე დიდად,
იქნება მეფე ზეიმს აპირებს?“

„ხვალ დილით მეფე ტახტზე სვამს პირმშოს“,
ამცნო გადიამ, სახე-მცინარემ.
მხევალი მყის ქვეშ ჩაიჭრა, ღელვით
უთხრა ქალბატონს, ტკბილად მძინარეს:
„ადექი ჩქარა, რა დროს ძილია,
უნდა გდიოდეს ცრემლის მდინარე.

„შენ კი ნებივრობ მაშინ, როდესაც
მტრებს სურთ დაგლუპონ ფარული ბრძოლით
და ლამის წახდე მათი მზაკვრობით.
გატყუებს ქმარიც, შენს მკლავზე მწოლი,
ვის ალერსითაც თავი მოგქონდა
და გწამდა იყავ რჩეული ცოლი.

„მაგრამ შენდამი მეფის წყალობა
უკვე ამოშრა, როგორც ანკარა
მჩექათრე წყარო მზის მცხუნვარებით.“
როს იჭვმა ბწყალი გულს მიაკარა
დედოფალმა თქვა: „რა მოხდა ნეტავ?“
მხევალმა, ვისაც სწვავდა თაკარა

უთხრა: „ო, ვაგლახ! — მეფეს სწადია —
რამას გადასცეს ტახტი ხვალ დილით.
აშ ამბის მცნობელს მომედვა ცეცხლი,
მოველ, გაშორო უკვდავს სიკვდილი, —
მე შენი ხვედრი საკუთრად მიჩანს,
ჭირსა და ლქინში ვარ შენი ჩრდილი.

„მეფის ცოლებში, გვარით შენ უნდა
გქონდეს პირველი ცოლის იერი.
მაგრამ, ცხადია, რომ კავშიალიას.
დღეს განაცვალებს მეფე ცბიერი.
შენ ვერა ხედავ სხვის ბოროტებას,
თვითონ უმანკო და ცისიერი.

„დაზარათ მხოლოდ სიტყვით გეტქბობა,
ნამდვილად გიხვევს თვალს ცრუ ქადილით
კავშიალიას კი ის საქმით სწყალობს,
მან აასრულა მისი წადილი —
შენი ფარატა გაგზავნა სხვაგან,
რომ არ ჩაშლოდა რამას ხალილი.

„მტერს, გველს შხამიანს, შენ როგორც დედა
ნაზ მზრუნველობით მკერდით ათბობდი.
მეფე კი თურმე, ავი, მუხთალი,
ვისაც ალერსით მუდამ ატქბობდი,
შენ გიმზადებდა მწარე სატანჯველს
ისე მზაკვრულად, თვით ვერ ატყობდი.

„რამა მეფედ სურს, შენ-კი, ბედშავო,
თავშერცხვენილმა იწუხე მარად.
მას გულში უდევს შენი ღალატი,
იჩქარე, ვიდრე გაქცევდეს არად,
იხსენ ფარატა განსაცდელისგან,
ძალასთან ძალა იხმარე ფარად.“

რა გაიგონა ეს კეიქეიმ
დატოვა წამსვე ფარჩის საწოლი,
და მხევალს მისცა ბეჭედი უცხო:
„რაღან ამბავი დღეს მოსაწონი
მამცნე, გიბოძებ ამ ბეჭედს, კიდევ
იმდენს გაჩუქებ, ვერც კი აწონი.

„როგორც ფარატა, მე რამა მიყვარს,
მათთვის ეს გული მაქვს თანაბარი.
შახარებს მეტად, რომ ის იქნება
ყითელი ქოლგით აწ დანაფარი.“
გვიცდა მონა, როს მოისმინა
დედოფლის სიტყვა და დანაბარი.

მყის შორს ისროლა ოქროს ბეჭედი
და თან შესძახა: „ნუთუ შენს ბაგეს
შეშვენის ასეთ სიტყვების როშვა,
ან რა გახარებს ვით სულელ ბალლებს?
დაბრმავებულხარ და ველარ ხედავ
შენს ჩასანთქმელად მძვინვარე ტალლებს.“

„თუმც სული მიწუხს, მაგრამ მაცინებს
შენი გიუური ლხინი და ქცევა.
გონი აღარ გაქვს, თორემ აქ ყოფნას
ამჯობინებდი სხვაგან გაქცევას.
ვინ არის რამა? მისი სვე სხვაში
გამოიწვევდა ხშირ ცრემლთა ქცევას.“

„შენ კი ზეიმობ! თქვი რა გახარებს,
რამას მეტოქე არი ფარატა,
იმათი გზები ტახტოან ერთდება.
ნუთუ პატივი, ძალა მარადი
რამას ფერხთა წინ უნდა დააგდო,
ვით დახეული ძველი ბარათი?“

„ტანში მაჟრუოლებს, როდესაც ვფიქრობ,
რომ წინათ შენგან წყალობის მდომი,
ამიერიდან დაგიწყებს ქირდვას,
მოხერხებული მან იცის ომი.
კადნიერია. უნდა გხხსოვდეს,
მსხვერპლს არ დაინდობს მძვინვარე ლომი.

„რამაზე მარჯვე და ფანდიანი
არ არი ჩვენში სხვა მეომარი.
აშასთანავე ის თვალთმაქცია,
გული აქვს შავი, დაუნდობარი,
ამიტომ, ვშიშობ, ფარატასათვის
იქნება მუდამ ცუდის მდომარი.

„კავზალია-კი არი ნეტარი —
ხვალ მისი პირმშო ბრამანთა ხელით
დაჭდება ტახტზე და უმალ დედას
ნახავს მეფურად თვალგანახელი,
ისიც მიიკრავს საყვარელ შვილს და
დალოცავს უკვდავ ინდრას სახელით.

„მაშინ მის წადილს ვინდა ეურჩოს,
ლაზოიან გულს ვერვინ გაუძღებს.
როგორც მხევალი დადრკები მის წინ,
წყალობის თხოვნას რამას დაუწყებ.
შენს შვილს და შენაც გელით მონობა,
ცხალზე-ცხალია, რასაც გაუწყებ.“

მაგრამ მანთარას ასეთ სიტყვებზე
თქვა დედოფალმა: „რამა მარადის
იყო ხელმწიფის მორჩილი შვილი,
სათნაა, ჰშვენის თან მუზარადი
და მას, ვით პირმშოს, სამეფო ტახტი
უფრო ეკუთვნის, ვიდრე ფარატას.

„იგი იქნება ძმების და მათი
ერთგული ყმების მუდამ დამცველი.
რატომ წინასწარ ეგრე ვშიშობდეთ?
როს დაღლის შრომა და ზრუნვა მწველი,
რამა მეფის ტახტს ჩემს შვილს დაუთმობს,
როგორც წესია მტკიცე და ძველი.

„შვილზე უმეტეს, მე მიყვარს რამა,
მისი დანახვა ჭმუნვას მაცილებს.
ისიც მაფასებს, ვით მშობელ დედას
ახლაც მტერს ჩვენზე არ გააცინებს,
და პატივს, მეფურ ბედნიერებას,
თვის მოყვარულ ძმებს გაუნაწილებს.“

ამ ქების შემდეგ მხევალი დიდხანს
მძიმედ ოხრავდა, ბედის მწუნარი.
ბოლოს ქალბატონს უთხრა: „ვრწმუნდები,
რომ დაინახო არ გაქვს უნარი,
როგორ დაღვრილა უბედურება
შენს ირგვლივ, ვით ზღვა, წამით მდუმარი..

„რამადან ტახტი მის შვილს ეკუთვნის,
ძმაზე მემკვიდრე შვილია უფრო.
სხვა შვილთა შორის, აქვს შნო თუ არა,
წესით მეფობას აძლევენ უფროსს,
რომ სამეფოში არ ატყდეს შფოთი,
მოსპონ მიზეზი მტრის სასაუბრო.

„ო, სამუდამოდ შენი ფარატა
ხეს მეფობისას მოწყდა, იცოდე.
მსურდა უბედურს დაგხმარებოდი,
და როცა დარდით უნდა იწოდე,
შენ მხიარულობ, გონდაკარგულმა
საჩუქარიც კი გამომიწოდე.



ო, დაიგერე, ხელმწიფედ მჯდომელს,
რომ არ შეერყეს ძალა და ბურჭი,
რამა ფარატას სხვაგან გავზავნის,
ანდა ფარულად მოაშთობს, ურჩი.
მაგრამ შენ თვითონ იგი განდევნე,
მის ვერაგობას რომ გადაურჩე.

„იხსენი სპილო, რომელსაც ტყეში
უკვე გლეჭს ლომი და აჩანაგებს.
იხსენ ფარატა რამასგან მალე...
ერთხელ აშორდი მახეს დანაგებს,
დაჩრდილე ბედით შენ კავზალია,
ახლა კი იგი შენს ბედს განაგებს.“

მხევლის სიტყვებმა კეიქეის გულს
მოწყვიტეს ოხვრა. მოედვა ალი.
„დე, აგრე იყოს, მე თანახმა ვარ,
რამასთვის ტახტი ვყო ანაკრძალი
და მეფედ დავსვა ჩემი ფარატა,
მაგრამ მითხარი, როგორ, რა ძალით?“

მან უპასუხა: „ო, დედოფალო,
მზად ვარ, როცა გსურს, სანთლად ამანთე.
დამიგდე ყური, მაგრამ ჯერ მითხარ —
აღარ გახსოვს, თუ ხმარობ ქამანდებს
და ჩემგან გინდა, რომ მოისმინო
ის, რაც შენ ერთხელ თვითონ გამანდე?“

„ცბიერო, გატყობ, გწადს გაიგონო
შენივე ფიქრი ამ ჩემი პირით.
კარგი. გიამბობ. როს აზურებთან
საომრად შეჰქრეს ღმერთებმა პირი,
შენი მეუღლე მწედ იხმო ინდრამ,
ვაგზავნა სამხრეთს, ვით გმირთა-გმირი.“

„ამ დროს სამბარა, აზურთა მეფე,
დანდაკას ტყეში, ბნელის მსახური,
იდგა თვის ქალაქ ვაიჯაიანტს,
დოლაბს უგავდა თავზე სახური,
და მის დროშაზე, პირდაღებული,
იყო ვეშაპი გამოსახული.

„და ერთხელ, როცა ბრძოლების შემდეგ
დალლილ მეომრებს მოედვათ რული,
უცებ დაესხნენ თავზე რაჭშანი,
შეიქნა ჟლეტა, ომი გმირული.
ამ დროს დაზარათ, შენი მეუღლე,
დაეცა ისრით მკერდგანგმირული.

„მაგრამ ხელმწიფე ბრძოლის ველიდან
შენ გაიყვანე, სისხლში ცურვილი.
როდესაც სიკვდილს გადაარჩინე
და კვლავ სიცოცხლის იგრძნო წყურვილი,
მაღლობის ნიშნად მოგცა პირობა,
რომ აგისრულოს ორი სურვილი.

„ამ აღთქმის ძალით ახლა მოსთხოვე
შენი ფარატა მეფედ დასახოს,
რამა კი ხვალვე დანდაკას ტყეში
თოთხმეტ წლის ვადით გადასახლოს.“
მყის დედოფალმა მანთარას რჩევა
სიამით გულთან მიიღო ახლოს:

შენზე ჭკვიანი, ჩემო მანთარა,
ჭვეყნად არ არი სხვა კუზიანი.
შენი საზრუნი იყო ყოველთვის,
რომ მქონებოდა ბე დღე მზიანი
და ბრძნული რჩევით ახლაც, ერთგულო,
გსურს ამაშორო მტრისგან ზიანი.



„კუზიანები უშნოა ყველა,
გულიც ნასი აქვთ, ავის მდევარებს.
შენ კი ლოტოსის ყვავილსა ჰგევხარ,
ოდეს სიოსგან ნაზად მღელვარებს.
და შენი მრგვალი სახე მაგ მხრებზე,
ვით სავსე მთვარე, ისე ელვარებს.

„შენს მაღალ ფეხებს, კოხტად დათლილებს,
აქვთ სიმსუბუქე გაფრენილ ბუზის.
გიბრწყინავს წელზე ვერცხლის ქამარი
და ჩემს სასთუმალს როცა არ უზი,
თეთრ სამოსელში ყარყატას ჰგევხარ,
როგორც ზებუ-ხარს გიხდება კუზიც.

„მაგ კუზში ბუდობს გამჭრიახობა,
გრძნეულებანი სხეადასხვაგვარი.
იგი სამბარას, აზურთა მეფის,
ცბიერი ჭკუის სალარო არი.
დადგება დრო და კუზს დაგიმშვენებს
გვირგვინი, ოქრო და მინანქარი.

„სახესაც მევე ისე შეგიმკობ
ვერ გჯობდეს მთვარე, ცაზე ნაცური.
მოგროთავ, შეგმოსავ ძვირფასი ფარჩით,
გაპკურონ ტანზე ვარდის ნაწური.
მაშინ ყველა მტერს თვალს დაუბრმავებს
შენი იერი და საგანძური.“

მონამ თქვა: „დამშრალ წყალის ალაგას
ხილს არ ააგებს გონზე მყოფელი.
დროზე მოპკიდო, სჯობს, ხელი საქმეს.“
და დედოფალი, ტახტის მპყრობელი,
ადგა, შევიდა მანთარას ხლებით
წყრომის ოთახში, ბედის მგმობელი.


იქ მან მოიხსნა ათასი კეცი
თვეალ-მარგალიტის უცხო ფარდული
და განძარცულმა, მიწას განრთხმულმა
თქვა: „მტკიცედა მაქვს გულს დამარხული:
ან უნდა გახდეს მეფედ ფარატა,
ან ამ ოთახში მოვკვდე მარხული.“



ა 137.039

2. რამაკანა





თ ა ვ ი მ ე თ ხ ე

როცა დამთავრდა სამეფო ბჭობა
 და ხალხს აცნობეს ნაფიქრ-ნაწონი,
 მეფე შევიდა კეიკეისთან,
 სურდა ნანატრი ენახა ცოლი,
 მაგრამ არ დახვდა ჩვეულებრივად
 თვის სარეცელზე ნებივრად მწოლი.

გაოცდა მეტად დიდი ხელმწიფე,
 მყისვე დედოფლის იხმო ფარეში.
 ფარეშმა შიშით ძლიერ მოახსენა:
 „მეფევ, მზის დარო ყოველ მხარეში, —
 წყრომის ოთახში ზის დედოფალი,
 ჭკნება ყვავილი სიმწუხარეში.“

შეფე წარვიდა სწრაფად ნორჩ ცოლთან,
მწუხარებისგან პირდაღრეფილი,
და ნახა, ეგდო ძირს კეიკეი,
ვით ვარდის ნერგი ამოგლეფილი.
როგორც კინარებს, ჰქონდა ცრემლებით
მას დასეტყვილი წამწამთ ჯეჭილი.

შემოეძარცვა მთლად სამოსელი,
ოხრავდა მწარედ ცრემლ-მოციმე.
ვით სპილო ტყეში ხორთუმით ოვის ცალს,
შხამიან ისრით დაკოდილს მძიმედ,
ეალერსება, ისე დედოფალს
თავს ევლებოდა დიდი ხელმწიფე.

თან საყვარელ ცოლს ეტყოდა ზრუნვით:
„ო, მშვენიერო, მამცნე, მითხარი,
რატომ მრისხანებ განუკითხავად,
ჩემი დანახვა რად არ გიხარის?
ძირს ისე წევხარ, ისე ვალალებ,
თითქოს ეშმაკმა გიქცია მხარი.

„თუ ავადა ხარ, ვიხმობ მკურნალებს
მყისვე განგშორდნენ ივი ძალები.
გსურს, დაესჭი ვინმეს, ან შევივრდომებ,
იყავ თამამად, ნუ მეკრძალები.
მიბრძანე: მდიდარს ვაქცევ გლახაკად,
გლახაკს ავავსებ ოქრო-ლალებით.

„თავისუფლებას მივცემ პატიმარს,
არ გავახარო შენი თრგული.
თქვი და სურვილი აგისრულდება,
გთხოვ, კეიკეი, გამილო გული.
ვრცელი ქვეყანა ჩემია სრულად
ვარდ-ყვავილებით ირგვლივ მორგული.

„შიგ მაქვს საუნჯე აურაცხელი
და ვარ მდიდარი, როგორც ზღვა ქვიშით
ირჩიე, რაც გსურს, ოლონდ გამანდე
ჭმუნვის მიზეზი, ნუ გიპყრობს შიში.
მაშინ ვით თოვლი მზის შუქისაგან
გაპერება შენი დარღი და ვიში.“

კეიკეიმ თქვა: „ჩემო ხელმწიფევ,
ვინ გამიბედავს, ვიყო ურვილი.
არც ვისმე ცუდი უკადრებია,
მაქვს მხოლოდ გულში ერთი სურვილი.
თუ დასტურს მომცემ და ამისრულებ,
გეტყვი, რისიც მკლავს ასე წყურვილი.“

როგორც იჩემი, თავალერილი,
მირბის და გზაზე ვერ ამჩნევს მახეს,
ისე ხელმწიფე ენდო დედოფლის
მაცდურ სიტყვებსა და ლამაზ სახეს.
მისცა პირობა საბედისწერო
და უთხრა ტკბილად გულმოცახცახემ:

„ჩემს პირმშოს შემდეგ, რომ შენ შიყვარხა
ეს ყველასათვის ცხადზე-ცხადია.
და გეფიცები რამას, რომელიც
მამაცთა შორის მკლავ-ნაცადია,
ვინც რაქუს შტოა, მას გეფიცები,
თქვი, აგისრულო რაცა გწადია.“

და კეიკეიმ წარმოთქვა სწრაფად:
„დე, დამიფაროს, ჭირში უვიცი,
ოცდაცამეტმა ციურმა ლმერთმა.
მეფური სიტყვა მათ ესმით, ვიცი.
ესმოდეს ცასაც, მზესა და მთვარებ,
ვარსკვლავთა ხომლსაც ეგ შენი ფიცი-

„ესმოდეს დღესაც, ღამეს, სამყაროს,
ისმენდნენ ღმერთიც დარბაზისანი.

ისმენდნენ მიწის ავი სულები,
ყოველნი არსი მაღალ ცისანი,
ცყვნენ განზარვნიც მოწმედ იმისა,
რასაც მპირდება მეფე მისანი.

„გახსოვს, ხელმწიფევ, როცა ღმერთები
ეომებოდნენ ცბიერ აზურებს,
შენ შხამიანი ისარი გტყორცნეს,
დაჭრილს, მომაკვდავს, სისხლში ნაცურებს,
გარს გევლებოდი დღითა და ღამით
და გამხნევებდი თავმონაძულებს.

„გადაგარჩინე, ნაცვლად აღმითქვი,
ამისრულებდი ორ ღიდ სათხოვარს,
მაგრამ აქამდე არ მსურდა რამე,
ახლა გაგონებ სიტყვას სახსოვარს
და უფრო ადრე ვარჩევ აქ სიკვდილს,
ვიდრე დავთმობდე წალილს სასოვარს.

„პირველი არი: დღესვე ფარატას
გადასცე ტახტი თავის ამალით.
მეორე — რამა ხუთი და ცხრა წლით
დანდაკას ტყეში ჰყო დანამალი.“
ჩავარდა მეფე საგონებელში,
და შხამად ექცა ლხენის წამალი.

იდგა უძრავად. მაცდურ სიზმრებში
ეგონა თავი რაჭუს მოგვარეს.
გზაზე უეცრად ვეფხთან შეყრისას,
ვოთ შველს, მშვიდობის მუდამ მოყვარეს,
აიტანს თრთოლვა, ისე ხელმწიფეს
ჭალის სიტყვებმა შიში მოჰვარეს.

ბოლოს წარმოთქვა: „შენი გუმანი, როგორც მახვილი, გულზე დამეგო... ეგ რა მითხარი! ალბათ, ფარატა მიყვარს თუ არა, გსურდა გაგეგო. თვითონ მირჩევდი რამას მემკვიდრედ, შრომაზე მოხუცს ხელი ამეღო.

„ნუთუ ცბიერი იყო ეს რჩევა,
ჩემს მოსახიბლად საამოდ თქმული?
ნუთუ ამიტომ ცდილობდი მუდამ
ალერსით ჩემი მოგეგო გული?
გერ დავიჭერებ, მხოლოდ შენ ერთი
იყო ბეღნიერ რამას ორგული!

„ნუთუ მაცდურ უინს გინდა შეწირო,
რაც ჩვენს წინაპრებს წესად ჰქონიათ?
ო, კეიკეი, შენი სიტყვები
გულს არა ჭერა, ტყვილი მგონია!
რომ რამა გიყვარს ღვიძლი შვილივით,
თვით შენგან ხშირად გამიგონია.

„შენი სურვილის, შენი წადილის
მუდამ მორჩილი რამა ყოფილა.
ახლა რა მოხდა, რამ გაგარისხა,
შენსა გულს ღვარძლი მან რით მოჰყინა
და მძულვარებით თავისი ბედი
ასე უწყალოდ დაგაგმობინა?

„მას ყველა იცნობს, ვით სულით მაღალს,
ქვეყნად მზის შუქის დამფრქვეველია.
როგორც მტრებს ომში ხმლით იმორჩილებს,
ისე ხალხს გულით, რაღგან ქველია.
წყალობს ღატაკებს, მშობლებისთვისაც
მუდამ ვარამის გამქარველია.



„ვით დავიჯერო ასეთმა ზნისამ
მარტო შენ გიყო ცუდი და ავი?“
მწამს, ხუმრობ, მაგრამ თუ მე გიყვარვარ,
ანებე ამგვარ ხუმრობას თავი.“
პლავ კეიქეიმ შესძახა მეფეს:
„ვერ დამიჭირავ დღეს მაგ სადავით.

„რა მეხუმრება! ვითხოვ, ხელმწიფევ,
რომ ამისრულო მყის დანაპირი.
მოვკვდე მირჩევნის, ვიდრე ვნახავდე
ხვალ ქავზალიას მღიმარი პირით.
ნულა აყოვნებ, თორემ, ხომ ხედავ,
მეესება შხამით თასის ნაპირი.“

ავ კეიქეის ასეთ სიტყვებზე
რისხვით აენთო გული დაზარათს.
შესძახა: „ბილწო, მაგას რას ამბობ
ჩვენი სამეფო სახლის საზარად.
ო. უსირცხვილოვ, შენმა სურვილმა
ეს ჩემი გული სევდით დაცარა.

„თქვი, ვინ გირჩია, ვინ ჩაგინერგა
ეგ ქვენა აზრი, ჭუჭყში ნაფალი.
შენს განზრახვაში, ფლიდო, თავხედო,
ნათლად ჩანს მხოლოდ სული მდაბალი.
აქამდე თურმე ვერ გცნობილობდი,
აწ კი მოიცვა ნისლმა მთა-ბარი.

„ოი, ქალებო, ღვთისგან წყეულნო,
გული გაქვთ მავნე და ბიწიერი.
მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო
შენში ყოფილა შხამი ძლიერი.
ჩემს დასალუბად გველი შემირთავს,
მეფის ასულის სათნო იერით.

„რომ დღემდე მკერდზე გველი მყოლია,
 თვით არ მცოდნია მოსილს ჭალარით.
 ვით მონადირე ტყეში ცხოველებს
 იტყუებს ახლო ტკბილი ნალარით,
 ისე მომხიბლე, მაგრამ ამაოდ
 ვყოფილვარ თურმე გულგანახარი.

„ბედმა მარგუნა მე შენი თავი,
 ვატყობ, ჩემივე ტახტის მსახვრელად...
 როცა დევნილი იქნება რამა,
 ჩემი სასახლე იქცევა ხვრელად;
 როცა დადგება უაში მრისხანე
 ჩემი დიდების აღმოსაფხვრელად;

„როცა დამღუპავ ლაქშმანთან ერთად,
 შერცხვება ჩემი ბრწყინვალე გვარი;
 როდესაც სიტა და კავზალია
 დაიწვებიან დარღით, ვით კვარი;
 როცა ფარატას აიყვან ტახტზე, —
 მაშინ დაცხრები, ალბათ მზაკვარი.

„წაბილწულ პირში მიკვირს მაგ ენამ
 ასეთ რამის თქმა როგორ გაბედა.
 შენს სურვილს მაინც არ შევასრულებ
 თუგინდ ახლავე და უცაბედად
 გაშმაგებულმა ჩემი თვალის წინ
 მოიკლა თავი, იქცე აბედად.“

მეფის სიტყვებზე კეიკეიმ თქვა:
 „ამაოდ ანთხევ შხამსა და ნალველს,
 ვალად გდევს ფიცი რომ შეასრულო.“
 მაშინ უტიფარ ცოლის დამნახველს
 წერთვა ენა, ვით განწირული
 ველარ გაექცა ფიქრებს დამდალველს.

როს გაახსენდა თავისი აღთქმა,
კვლავ უხმოდ მდგარმა, დიდხანს იწუხა.
ბოლოს უეცრად, უჩვეულო ხმით,
„ვაი, რამაო“ — ერთი იქუხა
და ძირს, მიწაზე დაეცა ისე,
როგორც ქარისგან მოთხრილი მუხა.

არავინ არი ქვეყნის მბრძანებელს
რამე წამალი რომ მოუგონოს.
როგორც მთვრალი და ბანგდალეული,
კეიკეის წინ ეგდო უგონოდ.
იყო უძრავად, ვით ხვრელში გველი,
ვით მომაკვდავი იწვა უღონოდ.

ხოლო, როდესაც გონზე მოვიდა —
მიაპყრა მზერა ურჩ ცოლს ყველრებით.
შემდეგ სუსტი ხმით და მძიმე ოხვრით,
ვით უსუსურმა, უთხრა ველრებით:
„ო, კეიკეი, გთხოვ შემიბრალო,
ჩემს ჩრდილსაც უკვე ვეღარ ვედრები.

„ვდგევარ მოხუცი და გეაჯები
მაშორო ცოდვა, მასვა ნამი ცის.
შექმენ მფარგელად. ოვითონ განსაჯე,
ვით შემიძლია, მპყრობელმა მიწის,
უარვყო ახლა ჩემი ბრძანება,
როცა ის უკვე ქვეყანაშ იცის?

„ეგ იქნებოდა ხომ ისეთივე,
რომ მტერი ომში იხმო პირველად,
მაგრამ შეშინდე და უკუიქცე.
სურთ რამა ნახონ გაუჭირველად,
მე კი განვდევნო? ეს ყველა მთავარს
მოეჩვენება გასაკვირველად.“

„რტყვიან: ტახტზე დიღხანს ჯდომისგან
გახდაო ჩლუნგი მეფე გონებით.
რა ვუთხრა ბრძენებს და დარბაისელთ,
ვით ვიამაყო სიტყვის ქონებით?
ან კავზალიას როგორ ვაუწყო
ეგ აზრი შენგან ჩანაგონები.

„მეც ხომ დავიწვი და დავითერთლე,
როდესაც სიტა, როგორც კინარი,
ლაიწყებს წუხილს დევნილ რამაზე.
და ქვეყნისაგან დანაცინარი
იამას სახლში უნდა შევიდე
სამარადისო ძილით მძინარი.

„გსურს კავზალია დავთმო, უარვყო.
დავთმო სიცოცხლე, ტახტი სვიანი.
მაგრამ ვით ძალმიძს რამას მოვშორდე,
როცა ვჰევრეტ, არად მიჩანს ზიანი,
და თავს ვგრძნობ ისე მხნედ და ძლიერად,
როგორც ჭაბუკი სახე-მზიანი.

„შევეყანა უფრო გაძლებს უმშეოდ
და ბრინჯიც უწყლოდ მოვა ნახარი,
ვიდრე ურამოდ მე შევძლებ ყოფნას.
ნულა ჭიუტობ. მაქს დანახარი
შენს წინ, ვით მთხოველს მოწყალებისთვის,
თავი მოსილი ვერცხლით, ჭალარით.“

ასე შესთხოვდა ის კეიკეის,
მაგრამ კვლავ ცოლმა შესძახა მკვახედ:
„ადექ, მეფეო, ვით დამნაშავე
ძირს ნუ აგდიხარ, ნურცა ცახცახებ.
თუ ასრულება არ გინდა აღთქმის,
უარყავ ბარემ მეფისა სახეც.

„ნუღარც იკვეხი პირიანობით,
ან კი რას ეტყვი ნეტავ თავადებს?
ცქნება უთხრა, რომ არ გწამს ფიცი,
აღარ ასრულებ სიტყვას და ვადებს,
რომ ცოლს, რომელმაც დაგდო მალამო
ისრით დაჭრილსა და დანავადებს,

„ატყუებ, ტანჯავ, მაშინ, როდესაც
მას შენთვის გული ქვეშ გაუგია.
სიტყვის გადათქმა, დარღვევა აღთქმის,
ბავშვმაც კი იცის, რომ აუგია.
ასეთი რამე სხვა მეფისაგან
ჭერ კაცს ამქვეყნად არ გაუგია.


„გისაც პირი აქვს, ის დამიმოწმებს,
სიტყვის შენახვა მეფის ვალია.
საიავამ ხომ, პირობისამებრ,
ქორს მისცა გული, სული დალია.
ალარკმაც ბრამანს მისცა თვალები,
შენც არ ყოფილხარ დღემდე მხდალია.

„ზღვა — მდინარეთა დიდი ხელმწიფე,
მაშინაც, როცა ღელვას აპირებს,
რაღვან პირობა დიდებული აქვს,
არ გადალახავს თავის ნაპირებს.
პირს შენც ნუ გასტეხ, არ დაემსგავსო.
კაცს, ყველასაგან გადანაბირებს.

„მუდამ იყავი სიტყვის ერთგული,
ახლაც სიტყვის წინ თავი დახარე.
ნუღა ყოყმანობ, ჩემო მეფეო,
გახსენი წარბი, მეც გამახარე.
უკანასკნელად ვითხოვ, იცოდე,
ხგალვე განდევნო რამა სხვა მხარეს.“

რაკი დარწმუნდა მეფე დაზარათ
 ამაო იყო ხვეწნა, მუდარა,
 ისევ დაეცა ძირს ფერ-მიხდილი,
 ჭმუნვამ ისარი გულს გაუტარა,
 ჯაღოსნურ წრეში იწვა, ვით გველი,
 ვაღაეფარა თითქოს სუღარა.





თ ა ვ ი მ ე ს უ თ ე

მზის ამოსვლისას შექრბნენ მთავარნი,
მეფის მრჩეველნი, სარდლები ჯართა.
მოქალაქეთა წინამძღოლებიც
მსწრაფლ შეიყარნენ სასახლის კართან,
რათა ზეიმით ტახტზე დაესვათ
რამა, მომცენი სიამის ქართა.

მზე აღმობრწყინდა. ოქროს ჭურჭლებით
მოიღეს ზღვისა და განგას წყალი,
თაფლი, რძე, ზეთი, ბრინჯი და ხილი,
ქორფა ვარდები თეთრი, ფიქალი.
ხელმწიფის ტახტთან უბრწყინვალესი
დადგა რვა ტურფა ქალწული ქალი.

აღმართეს ქოლგა, ორი მარაოც
ტარმოოჭვილნი სპეტაკი ქვებით.
შემოიყვანეს მებრძოლი სპილო,
და ზებუ-ხარი მაღალი რქებით.
მესაკრავენი, მეფუნდრუკენი
და მომღერალნი რაქუს ძის ქებით.

ლოდინის შემდეგ დარბაზი ასკვნის:
 „ვაახლოთ მეფეს რჩეული სეფე,
 რომ მოახსენის, შევიკრიბენით,
 მზეც მაღლა არი შუქმოიეფე.
 ზეიმისათვის მზადა ვართ ყველა,
 მაგრამ ვერ ვხედავთ ჭერ თვითონ მეფეს!“

მეფის მეეტლემ ყრილობას უთხრა:
 „მე მოვახსენებ მყისვე თქვენს გუმანს
 ჩეც დიდ ხელმწიფეს. მოყვასთა ყადრი
 მან კარგად იცის, წალკოტში რგულმა.“
 და გაეშურა მყისვე სუმანტრა,
 დაუწყო ძგერა სიამით გულმა.

მისთვის კარლია დიდ სასახლეში
 შევიდა იგი, თავი დახარა
 და მეფეს ჰქადრა: „როგორც მზე დილით
 ქვეყანას პირველ სხივით ახარებს,
 ეგრევე შენი სხივები, მეფევ,
 ადამიანებს გადააყარე.

„ო, გაიღვიძე, ჩემო ხელმწიფევ,
 უკვე დრო არი შეუდგე გარჯას.
 როგორც მათალი, დიდებულ ინდრას,
 მოგიძლვნი გულით ხოტბას და აჯას.
 ჰყოს კურთხეული და უძლეველი
 შენი გვირგვინი და შენი მაჯა


„ცეცხლმა და წყალმა, მზემ და მთოვარემ,
 გიძლოდეს ინდრას წყალობის თვალი.
 დამე გავიდა, დგება ნეტარი
 დღე და ედება მიწას მზის ალი,
 ადექ, ხელმწიფევ, დიალი საქმის
 შესასრულებლად გეძახის ვალი.“


„დარბაზს შეყრილან. სხვადასხვა მხრიდან,
ქალი და კაცი, ყრმა და ხნიერი,
ყველა იქაა, შენს სამეფოში
ვინც არი ბრძენი, მქლავით ძლიერი,
დღებულ რაქუს შთამომავალო,
რათა იხილონ შენი იერი.“

შეფერ, სუმანტრას, ვისი ეტლითაც
სე-ბეღნიერად დიდხანს იარა,
უთხრა მწუხარედ: „არა ვარ ლირსი,
დღეს ლხინში შხამი შემეზიარა,
ახლა მაგ ქებით, ჩემო მეეტლევ,
უფრო მიწყლულებ მტკივან იარას.“

შეფის დამნახველ მონის თვალებმა
ლამის ცრემლები არ გადმოღვარეს.
კეიკეიმ თქვა: „რამაზე ფიქრით
ძილი გაუტყდა, შვილის მოყვარეს,
აძეტომაა ასე დაღლილი,
წადი და სწრაფად რამა მოჰვარე.“

მეეტლე ამბობს: „ნუთუ თვით მეფე
არას მიბრძანებს ღონემიხდილი?“
მაშინ ხელმწიფერ წამოიძახა:
„დიახ, მსურს ვნახო რამა ამ დილით!“
სუმანტრამ წამსვე თავი დახარა
და სასახლიდან გაპქრა ვით ჩრდილი.





თავი მენენა

ოქროს ეტლში მდგომს, მეფისწულს რამას,
სასახლისაკენ გეზი აეღო.
ხალხი ხედებოდა წინ აღტაცებით,
ჭრელი ნოხები გზებზე გაეგოთ.
მისი ხელმწიფედ კურთხევის ცნობა
მთელ სამეფოში ყველას გაეგო.

ხალხი ამბობდა: „რამა! გახსოვდეს
მამა-პაპათა მუდამ გზა-კვალი.
გვექმენი ბურჯად, არ მოადუნო
ქვეყნის დარაჯმა გმირული მქლავი.
და ბრძნული ქცევით, ტახტის მპყრობელმა,
უფრო აბრწყინე ჩვენი ვარსკვლავი.

„ვართ ბედნიერნი, რადგან დღეს ტახტზე
მეფედ გნახავენ ჩვენი თვალები!“
ყველგან, ბანებზე თუ სარკმელებთან
უცხოდ მორთულნი იდგნენ ქალები.
და აწვიმებდნენ ყვავილებს რამას,
ეტყოდნენ ქებას თან მოკრძალებით:

„ო, კაზზალიას, კეთოლ დედოფალს,
ბოროტი საქმის ყოველთვის მძრახველს,
ვით შეიძლება არ უხაროდეს
ამ საზეიმო გზაზე შენს მნახველს.
შენი იერი, მეფედ ქურთხევა,
სამარადისოდ გაუქრობს ნაღველს.

„მაგრამ ქალებში დღეს უფრო სიტა
ბედნიერია, შენს გვერდით რგული.
სათნო და ტურფა, ის ლირსი არი
შენი დიდებით იყოს შემჟული.
ჰყვაოდეს მუდამ თქვენი ცოლ-ქმრობა,
როგორც როპინის და სომას გული.“

ქლი და კაცი ხარბად უჭვრეტდნენ
რჩეულთა შორის, რჩეულ ფალავანს.
ვინც ვერ იხილა, გული წყდებოდა,
თავს აფარებდა მწუხრის ტალავარს.
ასე ამგვარად ვიდოდა რამა
და მიაღწია მთავარ გალავანს.

მან ეტლით განვლო სამი ჭიშკარი,
შემდეგ იარა ფეხით თამამად.
ბოლოს შევიდა ჰარამხანაში,
გარეთ დატოვა მთელი ამალა.
იქ დახვდა მამა და კეიკეი,
მათ წინ თაყვანით სახე დამალა.

მწუხარებისგან სახე ფერმკრთალმა
იყვირა მეფემ: „ო, რამა, რამა!“
და მყის დაღუმდა, დამუნჯდა სრულად.
რა ასეთ დღეში იხილა მამა,
მთავარმა, თითქოს გველს ჰქრა ფეხიო,
თვალები შიშით დაახამხამა.

და გაიფიქრა: „ნეტავ ხელმწიფემ
რატომ მიჩვენა სახე უხეში,
ჩქმთან შეცვლიდა რისხვას წყალობად,
დღემდე მე ვიყავ მისი ნუგეში.
აქლა არც მიცქერს, ალბათ, ალბრ სურს
შემაბას თავის მეფურ უღელში!“

მერმე მიმართა მან კეიკეის:
„ო, დედოფალო, გთხოვ დამდო ვალი,
და მითხრა: მეფეს. თუ რით შევცოდე,
ან რით აღვუნთე გულს რისხის ალი?
მამცნე მიზეზი, თან მომეხმარე
მომაპყრის მეფემ წყალობის თვალი.

„მეფე ყოველთვის იყო ჩემდამი
ალერსიანი, ნაზი, ძეთილი.
აქლა რატომ ზის აგრე დალრეჭით,
უძრავად, ვით ქვა გამოკვეთილი.
რამ დამუნჯა ენაწყლიანი,
რათა აქვს გული გამოკეტილი?“

„ო, მიმახვედრე ჩემს დანაშაულს,
მე მას სიკვდილით გამოვისყიდი.
იქნება მეფეს სხვა რამ აწუხებს,
ბელნიერების ჩაუტყდა ხიდი?“
და კეიკეიმ, შფოთის მოთავემ,
დაიწყო სიტყვა ურცხვი და ფლიდი:

„ხელმწიფეს მხოლოდ ერთი აწუხებს,
შენთვის იგია მიუწვდომელი —
ოდესლაც მომცა მან აღთქმის სიტყვა:
რისიც ვიქნები ქვეყნად მდომელი
მცის ამისრულებს, ახლა კი ნანობს,
აძიტომ გახდა ბედის მგმობელი.

„თუ წინ ხელმწიფეს არ აღუდგები
მე გეტყვი, რაც მას ვერ უთქვამს ენით.“
„როგორ იფიქრეთ, ეგ რა მითხარით,
— დედოფალს რამამ მიუგო წყენით —
მეფემ მიბრძანოს და უყოყმანოდ
შომაკვდინებელ შხამს შევსვამ ლხენით;

„შევხდები სიკვდილს თვალგახელილი
კოცონზე, ანდა მღელვარე ზღვაში.
ოღონდ მაუწყე მეფის სურვილი,
მითხარი სევდა რად უკრთის ხმაში
და ავასრულებ მყის იმის წადილს,
მერწმუნეთ მამას არ გავცვლი სხვაში.“

კეიკეიმ თქვა: „სისხლისმღვრელ ომში
მეფე დაიჭრა და გულით ურვილს
მე დავუბრუნე ჯანი და ძალა,
თან ვულვიძებდი სიცოცხლის წყურვილს.
აღის სანაცვლოდ მეფე დამპირდა
აღისრულებდა ორად-ორ სურვილს.


„ახლა მოვითხოვ: ჩემს შვილს გადასცეს
სამეფო ტახტი გაუხუნარი.
შენ გაგაძეოს დანდაკას ტყეში
ხუთი და ცხრა წლით. თუ გაქვს უნარი
ეს შეასრულო, მაშინ მამაშენს
სკე არ ექნება დასაწუნარი.“


მას უშფოთველად რამამ ეს უთხრა:
 „ეჭ, დედოფალო, კარგად იცოდე,
 რომ მე მიწიერ სარფას არ ვეძებ,
 მინდა ძველ ბრძენთა ცეცხლით ვიწოდე,
 ბავშვობიდანვე მათ კვალს მივყვები,
 ამიტომ ხალხიც სათხოს მიწოდებს.

„შვილის ვალია იყოს ყოველთვის
 მშობლებისათვის მსხვერპლის მწირველად—
 არ გადავუხვევ მე მამის სურვილს,
 გრძნ ეს ბევრს დარჩეს გასაკვირველად.
 მე წავიდოდი დანდაკას ტყეში
 თვით შენც რომ გეთქვა აღრე, პირველად—

„რად არ მაუწყე? ალბათ, გეგონა,
 მოგეპყრობოდი ურჩის დარადა.
 გაგზავნე ელჩი შენს სამშობლოში
 მოაყვანინე მალე ფარატა,
 ეკურთხოს მეფედ, მაგრამ ურჩიე
 მოხუც ხელმწიფეს ექმნეს ფარადა.

„მე კი დედაჩემს და სიტას მინდა
 გადავეხვიო უკანასკნელად“, —
 თქვა და მტირალემ მამას შეხედა,
 წამს განშორება ეჩვენა ძნელად,
 შემდეგ ორთავეს კვლავ თაყვანი სცა
 და დარბაზიდან გავიდა ნელა.





თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

რამას ბრწყინვალე ჰქონდა იური,
დარღს ვერ დაეჭინო ბალი და ყანა.
არ ეტყობოდა სევდისა კვალიც,
მცინარე პირით ხალხს ეთაყვანა.
უთხრა მეეტლეს — კავზალიასთან
დაუყოვნებლივ რომ წაეყვანა.

დედის დარბაზთან კარისკაცებმა
მაღლა ასწიეს ტახტის ალამი.
შესძახეს: „მარად შენი სიცოცხლე
ციური ცვარით იყოს ნალამი“.
მეორე კართან მდგომარე ბრამანთ
მან მოწიწებით მისცა სალამი.

ახლა მესამე კარში შემავალს
წინ მიეგებნენ ტურფა ქალები,
თან შეღალადეს: „ციური ცეცხლით
მარად ბრწყინავდნენ შენი თვალები“.
და გაემართნენ, დედისთვის ეთქვათ —
მოვიდა რამა მონაკრძალები.

მართვები
განვითარების

კავშირია კი ამ დროს მხურვალედ
თეთრ სამოსელში ღმერთზე მლოცველი შვილს ტკბილად ეტყვის: „ოვით ინდრა შენი შემწე და სიცოცხლის მცველი.
გძონოდეს ნიჭი სახელგანთქმული,
როგორც გვარი გაქვს ძველთაგან ძველი.

„დიდებულ რაქუს შთამომავალო,
ამიერიდან იმეფე მარად!“
რამა შეჩერდა. შემდეგ ოქვა: „დედავ,
უბედურებას დაუხვდი მყარად —
მეფე მაგზავნის ხუთი და ცხრა წლით
ტყეში, ხოლო ტახტს აძლევს ფარატას“:

რა გაიგონა ეს კავშირიამ,
ვით ხე მოჭრილი იქვე დაეცა.
რამამ ალერსით წამოაყენა,
ევედრებოდა რომ ხმა გაეცა.
მაგრამ კვლავ დიდხანს იღგა უსიტყვოდ,
ფიქრობდა შვილი როგორ დაეცა.

ბოლოს წარმოთქვა: „არა მგონია.
ჩემი მეტოქის სიტყვა უხეში
შენ დაიჯერო და უყოყმანოდ
გადაიხვეშო დანდაკას ტყეში.
დათმო ყოველი, დატოვო ცოლი
და მეც ჩამაგდო საშინელ დღეში.

„როგორც აქამდე, ახლაც დაიცავ
მოვალეობა წმინდათა-წმინდა —
პატივი მეცი, ვითა სცემ მამას,
სამარადისოდ თუ გსურს და გინდა —
ვით კასიავას მორჩილმა შვილმა —
სასუფეველში მიიღო ბინა.

„ნუ დამიმოკლებ დღეს მწუხარებით,
უშენოდ გაქრნენ ლხენის წამები.
არ გაძლევ ნებას უდაბურ ტყეში
მარტო დახუჭო ეგ წამწამები.
ურჩობისათვის, იცოდე, შვილო,
რომ ჯოჯონეთში ჩახვალ წამებით“.

რამამ მიუგო: „კვალად შეამკე
ლოცვებით წმინდა საკურთხეველი,
მე კი დღეიდან, ვით ნებავს მეფეს;
ვიქნები ტყეში ლამის მთეველი.
თვით კანდუ რიში, მამის ბრძანებით,
შეიქნა ძროხის სისხლის მთხეველი.

„რცი? საგარას სურვილისამებრ
მისმა შვილებმაც დაიდვეს ბრალი:
ძირს, ქვესკნელამდე მიწის გათხრისას
ყველა სულდგმული გაელიტეს ძალით.
მე ვით გავტედო ვეურჩო მამას,
არ მოვიხადო იმის წინ ვალი?

„ვით კეთილ მამას, ჩემთვის მუდამუამ
გახსნილი ჰქონდა გულისა კარი,
არცა სიავით და არცა შურით
ახლა ჩემს თავზე ტრიალებს ქარი.
ესაა მხოლოდ ბედის სურვილი,
და კეიპეიც უბრალო არი.

„ბედმა მიმუხთლა, მეფის გვირგვინი
უცებ ხელიდან რომ გამივარდა.
ვით დედას, ისე მე კეიპეის
პატივსა ვცემდი, გულით მიყვარდა.
ისიც ყოველთვის ფარატას გვერდით
მსახავდა თავის სიცოცხლის ვარდად.

„შეფეთა-მეფის ბრწყინვალე ცოლი,
ხელმწიფის შვილი, დიდებულ გვარით,
ნუთუ იმდენად დაეცემოდა,
აენთებოდა გულს შურის კვარი,
რომ ამ სიყვარულს მტრობად შესცვლიდა,
როგორც უბრალო, ვინმე მზაკვარი?

„მიუწვდომელი ბედისწერაა
ჩვენი ცხოვრების ჩარხის მბრუნველი.
იგი გვანიჭებს, იგი გვიწესებს -
ვცყოთ ტანჯული, ან უზრუნველი.
ისე ვიცოცხლებთ, ანდა მოვკვდებით,
როგორც იქნება ბედი მსურველი.

„როცა იმედი გაგვიქარწყლდება,
ესაა ბედის მსჯავრის ნაყოფი.
მსხვერპლით და ლოცვით უნდა ვეცადოთ,
ის იყოს ჩვენი ჭირის გამყოფი.
მისგან ცოდვაში ხშირად ვარდება
თვითონ ქურუმიც, წმინდად ნამყოფი.

„დედავ! ნუ დასდებ ბრალს კეიკეის,
ბედმა წამართვა ტახტი შემქული“.
ამდროს ლაქშმანა, იქვე მახლობლად
მდგარი, როგორც ხე, ამაყად რგული,
ხან მწუხარებით, ხანაც სიამით
ძმის სიტყვებს ღიღხანს უსმენდა გულით.

ბოლოს შეიკრა წარბები კუშტად,
შეირტყა ხმალი, მტრის სისხლისმღვრელი.
თვალთაგან ჰყრიდა ნაპერწკლებს, ლომებრ
გააფთრებული და შიშისმგვრელი.
ისე საზარლად სუნთქვდა ბრაზით,
როგორც სოროში მძვინვარე გველი.

შესძახა რამას: „ამაყ ქშატრიას,
ვით ეკადრება, რაც გავიგონე.
მოვალეობით თვალახვეული
ბედზე ჩივილით გულს ნუ იღონებ.
რადგან არ გჯერა კაცთ მაცდურება,
განდევნის მიზეზს თვითონ იგონებ.

„იცოდე, მეფის ორგულებს უნდათ
ჩაგიქრონ შუქი ჩაუქრობელი.
ცბიერს სწადია მხოლოდ ტკბილ ენით
მოვალეობის იყოს მკობელი.
რომ მტერი არა, დიდიხანია
შენ იქნებოდი ტახტის მპყრობელი.

„გთხოვ, მომიტევო, მაგრამ არ ძალმიძს
სხვა ვნახო ტახტზე შენმაგიერი,
სხვა ბრძანებლობდეს აიოდიას,
უღირსად ჰქონდეს მეფის იერი,
ვაი მაშინ მას! თვითონ ხალხისგან
თავს დაატყდება რისხვა ძლიერი.

„მძულს სწორედ იგი მოვალეობა,
რამაც წაგჩრთვა ვაჟკაცს გონება.
მოხუც ხელმწიფეს სიტყვა დასტყუჭს.
როგორც ძვირფასი განძი, ქონება.
და ნუთუ შენი ამაყი სული
აშ თვალთმაქცობას დაემონება?

„მაგ სულგრძელობით მტრებს გულს უხარებ,
ხოლო მეგობრებს ამწუხრებ რამა.
ვისაც ცუდი სურს, იგი მტერია,
თუ გინდა იყოს მშობელი მამა.
უარყავ მისი ავი სურვილი
და შეებრძოლე ვით მტერს თამამად.



„ებრძოლე ბედსაც, თუ იგი საფრთხეს
გძმზადებს, როგორც მტერი თავხედი.
მხოლოდ უღონოს და მხდალს შეჰქორის,
რომ მოიხაროს ბედის წინ ქედი.
მაგრამ ვინც არი მხნე და მამაცი
უნდა მოდრიკოს მან თვითონ ბედი.

„დღეს დავანახვებ მე მთელ ქვეყანას,
თუ ბედის ძალა ვით ვძლიო ძალით.
ძლიერ სულს ბედიც ემორჩილება,
ბასრ მახვილის წვეტს, ვით სპილო მწყრალია-
მეფედ კურთხევას ვერვინ დაგიშლის,
რკინაა ჩემი მკლავების ძვალი.

„ვისაც უნდოდა შენი განდევნა,
მას ტყეში თვითონ განვდევნი მყისვე.
ჩემგან ბოლივით განიფანტება
მტრების ოცნება ავი და მქისე.
როგორც იცავენ ზღვას ნაპირები
გფიცავ, სამეფო დაგიცვა ისე.

„ბრძანე და ახლავ მარტო მე ერთმა
დაგიმორჩილო ყველა მთავარი.
მე ამ ხელებით ქვა დამიფშვნია,
ხმალი მკიდია, არა ყავარი.
ან სამკაულად როდი მაქვს მშვილდი,
შენ ჩემი ისრის იცი ჭავარი.

„ამ საჭურველით ველზე გასული
გაოცებული დარჩეს ვინც მნახოს,
რა-გინდ ძლიერი არ იყოს მტერი
მახვილ ამოწვდილს ხელიც ვერ მახლოს.
აშ დროს თვით ინდრაც ცეცხლიან ისრით
ვერც კი გაბედავს მოვიდეს ახლოს.

„ჩემგან ნალეწი რკინის აბჭრები
განიბნევიან წვრილ ნატეხებად.
ფოლადის მახვილს, ანდა მშვილდ-ისარს,
როდესაც ჩემი ხელი ეხება,
ურიცხვი მტრები ძირს ეცემიან,
მათ მამაცობას ბოლო ეღება.

„ელვებრ გატყორცნილ ერთი ისრითა
ერთად განვგმირავ მრავალთა გულებს.
ან მრავალ ისარს ტყეს დავამსგავსებ
ერთი მეტოქის მკერდზე დარგულებს.
ჩემს ხელებს უყვართ ხელსაცხებელი,
ვარდებსაც კრეფენ მზით მოქარგულებს..

„უყვართ შემქობა ძვირფასი თვლებით,
ოქრო და ვერცხლის უხვად გაცემა.
მეგობართ შორის მჩქეფარე ღვინით
სავსე თასების ზეატაცება.
მაგრამ ახლა კი მათ ეკისრებათ
შენს წინ მუხლებზე მტრების დაცემა“..

მღელვარე ლაქშმანს რამამ მიუგო:
„დამშვიდდი, ძმაო და გამიგონე,
მე ვიცი კარგად, რომ ერთგული ხარ,
მახვილით მტერსაც მყის დაიმონებ,
მაგრამ ჩემს რჩევას თუ არ მიიღებ,
დღეს ამით უფრო გულს დამიღონებ.

„ბედნიერია, ვისი სურვილიც
მოვალეობას შეთანხმებია,
ვით მოყვარული დედა პირმშო შვილს....
ერთმანეთს თუ არ ეხმარებიან,
მაშინ სურვილი სჯობს ვალს შევსწიროთ,
რადგან უფესვოდ ხენი ხმებიან.

„საზიზლარია ვალს ვინც ივიწყებს,
ეძებს სარგებელს სურვილით მთვრალი.
მოვალეობა ყოველივეზე
მაღალი არი, ვერ შეწვდეს თვალი.
მიცემულ სიტყვის მყის შესრულება,
ესაა კაცის პირველი ვალი.

„მე მამის სიტყვას ვერ გარდაუვალ,
თუმც ვიცი მელის ცხოვრება ბნელი.
ტებილად თუ რისხვით, როდესაც ბრძანებს
მეფე, მთავარი, მამა, ან მწვრთნელი,
ჩვენ უნდა იგი მსწრაფლ შევასრულოთ
რა-გინდ რომ იყოს მძიმე და ძნელი.

„ვით სუვარჩალა მიჰყება მზის ღმერთს,
მეც მივდევ სიტყვას და სხვებსაც ვურჩევ:
მოვალეობას არ უღალატონ
და მტკიცედ იყვნენ ყოველთვის ბურჯებრ.
შორს მყოფი ღმერთი ვით მოგვცემს შვებას,
თუ ახლო მდგომელ მამას ვეურჩეთ.

„მე შევასრულებ სიტყვას მამისას,
დღეს კეიკეის პირით გაგონილს.
დაცხი, დამშვიდდი, ძვირფასო ძმაო,
გულს ნუ ენდობი, გრძნობას აყოლილს.
და დაუჭერე მხოლოდ გონებას
მოვალეობით მტკიცედ აკონილს“.

შემდეგ შიმართა დედას მუდარით:
„სჯობს დამრთო ნება, როგორც ხიზანი
წავიდე ტყეში და უქმად, ხეზე,
დავკიდო ჩემი ხმალი, ისარი,
ვიდრე ხანმოკლე ტახტს ვანაცვალო
მარადიული ლტოლვა, მიზანი.

„შენ კი, კეთილო, ჩემს იქ ყოფნაში
ეცი ნუგაში მოხუც ხელმწიფეს.
დარღით იქნებ ძირს უცბად დაეცეს,
როგორც ქარისგან ნაყოფი მწიფე.
ჩემზე წუხილი გადაავიწყე
და განუფანტე ფიქრები მძიმე.

„ღვთის მოშიშარის, მორწმუნე .ცოლის
მაინც ეშმაკი იქნება მცველი,
თუ თავის ქმარზე არ ზრუნავს მუდამ;
მაგრამ ერთგულ ცოლს სამოთხე ელის,
გინდ იგი ღმერთზე მხურვალე ლოცვით
არ იყოს ხშირად ცრემლების მღვრელი.

„მე შევასრულებ მეფის ბრძანებას
და დავბრუნდები თვალგანაბრწყენი,
როგორც ღმერთებთან იაიატი.
ნუღარ ახსენებ მამაჩემს წყენით,
მწამს, სიზმარივით გაივლის ჟამი
და ისევ თქვენთან ვიცხოვრებ ლხენით.

„მაშ, დედოფალო, ხვედრს დამორჩილდი
და დამილოცე გზა შორი, ძნელი“.
უსმინა დედამ და წმინდა წყალით
დაილბო ბაგე შვილის მკოცნელი.
და უთხრა ტკბილად: „წადი, ყოველთვის
ვიქნები ღმერთზე შენთვის მლოცველი.

„გუარვიდეს იგი მოვალეობა,
რომელსაც ასე ასრულებ, იცავ.
ღმერთმა, რომელიც გწამსა და გიყვარს
და მის წმინდანებს მსახურებ, პფიცავ,
გიშველოს ჭირსა და განსაცდელში,
ბალად გიქციოს უდაბნო მიწა.

„იცოცხლე დიდხანს, კეთილო სულო,
 გმირი ხარ ქებით შესამკობელი.
 მთანი და ზღვანი, უსაზღვრო სივრცე,
 ვარუნა — წყალთა მეფე, მფლობელი,
 ცა, დედამიწა და ცოომილები,
 და ქარიშხალი დაუნდობელი!

„ყველა ვარსკვლავი, ბრწყინვალე ცაზე,
 არსი, უსულო, თუ თვალხილული,
 და ის, რაც იძვრის, ისიც, რომელიც
 უძრავი არი და გაყინული —
 იჯვნენ მფარველნი შენი ყოველთვის,
 რომ მარტოდ მცხოვრებს მხედ გქონდეს გული

„ნუ შეგაშინებს ქაჯები, შვილო,
 და ნურც ბნელი ტყის დევი ძლიერი,
 შენს თავშესაფარს ვერ მიეკაროს
 ბუზი და ჭია, ვერც მორიელი.
 მგესლავმა ვველმა, ვერც სხვა ქვემძრომმა,
 ვერ შეგიცვალოს შხამით იერი.

„აგცდეს ვეფხის და ლომის ქბილები,
 სპილოს ეშვები, ცოფში ვლებული.
 ველურ ქამეჩის მოღერილი რქა,
 არ ყოფილიყო მისგან ვნებული.
 იყურთხოს შენი წასვლა და მოსვლა,
 მენახო შვებით დაბრუნებული.


„ბეღნიერება თან გახლდეს ყველგან,
 აგიხდეს, შვილო, ყველა სურვილი!“ —
 თქვა, ქავზალიამ და ტკბილ გალობით
 ლმერთებს უკმია წმინდა სურნელი,
 მერმე უხუცესს, ღირსეულ ქურუმს,
 მიაპყრა თვალი, ცრემლის მწურველი.

ანიშნა, მსხვერპლად რომ შეეწირა
 საღმრთო ბალახი, სუფთა, ცვრიანი,
 თან მდოგვის თესლი, თაფლი და ერბო,
 გარდთა გვირგვინი თეტრი, მზიანი.
 ბრამანმა ლოცვით შესწირა მსხვერპლი,
 უსურვა რამას ბედი სვიანი.

მსხვერპლის ნაშთი კი გადაუბნია
 უცხო ფრინველებს, მოფრენილთ ცითა.
 და ბრძანა ყველას მყის დაელოცათ
 ხელმწიფის შვილი თაფლით და რძითა.
 ბოლოს უბოძა ქურუმს წყალობა
 მეფის მეუღლემ, ამაყმა ძითა

და შვილს მიმართა: „კურთხევა ღმერთთა,
 რათა ბრძოლაში ათასთვალიანს
 მოეკლა ვერტრა... კურთხევა დედის,
 რათა გარუდას, მახვილ ალიანს,
 ჰეონოდა ძალა — ამრიტას შოვნით,
 დახმარებოდა მშობელს ვალიანს;

ადიტის ლოცვა, რათა მეხთმსროლელს
 მოეკლა დიტის შვილები ავი, —
 გადმოსულიყო შენზე უკლებლივ,
 წედი, გწყალობდეს ინდრა უკვდავი“.
 შემდეგ მიიკრა მკერდზე მან რამა
 და დაუკოცნა სახე და თავი.





თავი მერვე

სიტა ელოდა მთავარს მღიმარე,
გულს სიამაყე ფლობდა ფარული.
ფიქრობდა — მეფედ ნაკურთხი რამა
მოეხვეოდა ყელს სიყვარულით.
ემზადებოდა ქმრის შესახვედრად
და ღმერთს სწირავდა მსხვერპლს სიხარულით.

მაგრამ, როდესაც თვის სასახლეში
შევიდა რამა კრძალვით და რიდით,
სიტას მნახველმა ვეღარ შეიძლო,
რომ დაემალა ვარამი დიდი.
ვით მომაკვდავი გაფითორდა სრულად
და გადაეკრა თვალებზე ბინდი.

ქალს ელდა ეცა და ჰქიოხა თრთოლვით:
„თითქოს უცხო ხარ, პირველად გნახე.
დღეს შენი მეფედ კურთხევის დღეა,
მაშ ჭმუნვით რატომ თვალს ვეღარ ახელ?
რატომ ჩრდილს არ გფენს სამეფო ქოლგა
და არ გიგრილებს მარაო სახეს?

„რად არ გცხეს შუბლზე რძე ბრამანებმა,
მასმინე შენი სიტყვა ფრთოსანი.
მითხარ რა მოხდა, რომ წინ არ გიძლვის
არცა ეჯიბი, არცა მგოსანი.
რად არ მოგყვება ახალ ხელმწიფეს
ზეიმით ყრმა და ჭარმაგოსანი?“

„სად არი შენი ეტლი ოქროსი,
მერნები, ჭარებრ მონავარდენი;
საღაა სპილო სამეფო ნიშნით
და მოკაზმული თეთრი ვარდებით;
სად არი ტახტი ნაჩუქურთმევი,
ან შენ რატომ ხარ სავსე დარღებით?“

რამამ მიუგო: „უნდა გავუძლოთ
ბედისწერისგან ხვედრს დანატოვარს.
კეიკეისთვის ერთხელ ხელმწიფეს,
ყოველთვის უხვად წყალობის მთოვარს,
მტკიცედ აღუთქვამს, სურვილისმებრ
აუსრულებდა მყის ორ სათხოვარს.

„ქეიკეის სურს დღესვე ხელმწიფემ
საქმედ აქციოს, რაც სიტყვით დარგო.
აიოდიის ტახტი ბრწყინვალე
ამ აღთქმით მეფემ ფარატას არგო,
მე კი მიბრძანა დანდაკას ტყეში
ცხრა და ხუთი წლით გადავიკარგო.

„მოვედი, რათა გამოგეთხოვო,
ჩემს იქ ყოფნაში იცხოვრე წყნარად.
იზრუნე მუდამ ჩემს დედ-მამაზე,
მათ სამებლად და შესაწყნარად.
თან ფარატას წინ მოიქერ კრძალვით,
ეცადე იგი არ გყავდეს მწყრალად.“

„გთხოვ, ფარატასთან მე არ მახსენო,
დაჯერდი იმას, რაც გაბადია.
მორჭმულთ არ უყვართ სხვისი მქებელი,
მეფეთა გული ცვალებადია —
წყალობას იმათ მიანიჭებენ,
რომლებიც ტახტან ხოხვით დაღიან.

„სპილო ალერსით კაცს ასახიჩრებს,
კოცნისას კბენას არ იშლის გველი.
ხელმწიფე რისხვას ლიმილში მაღავს,
მოყვრისოვის არი ის შიშისმგვრელი.
ვინც პირფერია, გულში კი მტერი —
მისოვის სათნოა, უხვი და ქველი.

„იყავი ფრთხილად, ერიდე მეფეს.
ლროებით მის წინ მოხარე ქედი“.
სრტამ შესძახა: „შენ, ალბათ, ხუმრობ,
იმიტომ მკადრე სიტყვა თავხედი.
შშობელი, და-ძმა, შვილები, ყველა
თავისი გზა აქვთ და თავის ბედი.

„მაგრამ ცოლ-ქმარი განუყრელია,
ხამს ცოლმა ქმრის სვე გაიზიაროს.
ლელ-მამასა და შვილებზე უფრო
საყვარელ არსად ის აღიაროს.
სიცოცხლეში და სიკვდილის მერმეც
მეუღლის ქვალზე მუდამ იაროს.

„წამოვალ შენთან დანდაკას ტყეში,
დე, გასაჭირიც ჩვენ ერთად ვნახოთ,
როდესაც შეხვალ უდაბურ ტევრში
გზას გაგიკაფავ და ვაქცევ ახოდ.
ისე გატარებ ბნელ წყვდიაღშიაც,
არ მოგაკარებ ეკალ-ბარდს ახლოს.

„ძვირფას დარბაზებს, ცის ნეტარებას,
სჭობს ცოლს ერჩიოს მეუღლის ჩრდილი.
მე ვიცი ჩემი მოვალეობა,
მშობლებისაგან ასე ვარ ზრდილი.
ვით მამის სახლში თავს ვიგრძნობ ლალად,
როცა ბროლის ცვარს შეგასმევ დილით.

„ო, ბედნიერი ვიქნები, გფიცავ,
უდაბურ ტყეშიც შენს გვერდით, ახლოს.
და შევასრულებ ჩემს ვალს უწმინდესს,
მინდა მეც შენთან იქ დავესახლო.
სადაც შენა ხარ, რა შემაშინებს,
ან ვინ გაბედავს, რომ ხელი მახლოს.

„ნულა ყოყმანობ, თან წამიყვანე
და მომანიჭე სიმშვიდე სულის.
მასმინე ფოთოლთ შრიალი ნელი,
და საიდუმლო ხმა ნაკადულის.
იქ სწრაფად წავლენ დღეები, წლები,
უშენოდ ცაშიც ვერ გაძლებს გული.“

რამამ ცოლს უთხრა: „კეთილო სიტა,
დარჩი და მაგ ფიქრს ანებე თავი.
სიამის ნაცვლად ტყე მოგვარის სევდას,
შეგიპყრობს შიში სულის მხუთავი.
იქ ჩანჩქერების შხუილს თან ერთვის
ლომთა ღრიალი მძვინვარე, ავი.

„იქ ნიანგებით სავსეა მუდამ
მდინარეები მდორედ ნადენი.
ნაპირებზე კი სპილოებს უყვართ
მგზავრს დაუბნელონ ეშვით ნათელი.
ეკალ-ბარდებსა და ძეგნარს შორის
არ ჩანს ბილიკი, ფეხით ნათელი

„იქ გარეულ ხილს თუ შეჭამს კაცი
და ხმელ ფოთლებზე დაწვება ღამით.
მორიელებით და ქოლოებით
დაფარულია მინდორი, ხრამი.
ყცავილებიც კი მოწამლულია
მზეზე დაკლაკნილ გველების შხამით.

„საზარელია! იქ შენს ცხოვრებას
უსაზღვრო დარღის მოიცავს ხავსი!“
სიტამ თქვა: „ნეტავ, მამა ჯანაკა,
ვიდეპას მეფე, სიბრძნისა თასი,
რასა ფიქრობდა, როდესაც სიძედ
შენ აგირჩია, დიაცის მსგავსი?

„ხომ იკითხავენ: მამაცი რამა
რამ დაასუსტა ასე, ვით ცხვარი?
ან ცოლისადმი რატომ არ შერჩა
მას სიყვარულის თუნდ ერთი ცვარი?
რატომ გაუქრა ეს სიყვარული,
როგორც ბალახი, მზისგან დამწვარი?

„ასე ძლიერად, თქვი, რა გაშინებს,
რად გსურს დამაგდო აქ სხვათა კარად?
როგორც სავიტრა თავის ქმრისადმი
შენი ერთგული ვიქნები მარად.
ბედნიერად ვთვლი თავს მაშინ მხოლოდ,
როცა ჩემს გვერდით შენ გხედავ ფარად.

„თითქოს წინ მეგოს ძვირფასი ნოხი,
შორ გზაზე ვივლი დაუქანცველად.
ნაზ აბრეშუმად მივიჩნევ ძეძვნარს,
ეკლებს — ხავერდად, მოქსოვილს ძველად-
სანდლის სურნელად — მტვერსა და სილაშ-
ქრიშხლისაგან ავარდნილს ველად.

„სიამეს მომგვრის ღამე ლოგინად
ფართოდ გაშლილი ბალახი ლბილი.
ბევრი თუ ცოტა, ნაყოფი ტყისა,
თუ განდ სიმეავით მომკვეთოს ქბილი,
როცა მას შენი ხელით მომაწვდი,
ამრიტასავით იქნება ტკბილი.

„არ მოვიგონებ მშობლებს, სამშობლოს,
არც გაგაგონო სიტყვა არამი.
სადაც შენა ხარ — იქ სამოთხეა,
სადაც არა ხარ — შავი წკვარამი.
უშენოდ შხამი მომიღებს ბოლოს,
უშენოდ მომკლავს დარღი, ვარამი.

„ფიქრი იმაზე, რომ შენ დამტოვე,
თვით შხამზეც უფრო იქნება მწარი!“
ასეთ ჩივილით მივარდა რამას,
მიექრა მკერდზე, ბავშვივით მწყრალი,
ვით ნაპერწერი არნისა ხიდან
თვალთაგან წასკდა ანკარა წყალი.

რამაც მოეჭდო და უთხრა ტკბილად:
„უშენოდ არ მაქს სასუფეველი.
რადგან თვითონ გსურს, რომ ჩემთან იყო
დანდაკას ტყეში ლამის მთეველი,
ბეღნიერი ვარ, ამოიმშრალე
აწ ეგ თვალები, ცრემლის მფრქვეველი.

„მაშ მოემზადე ჩქარა სამგზავროდ,
ბრამანებს უხვად მიეცი ფული.
ჭირნახული კი — გლახაკებს სარჩოდ,
ხოლო სამოსი და სამკაული,
ყოველი ნივთი, მთელი ქონება,
რითაც კი ხარობს კაცისა გული —

„არ დაინანო, ეს ყველაფერი
გაუნაწილე ერთგულ მსახურებს“.
სატა გავიდა ქმრის მადლიერი,
თან სიხარულის ცრემლებს ასხურებს:
ყმებს და ბრამანებს აძლევს ქონებას,
სარჩოს — გლახაკებს და უსახურებს..

* *

ტყეში ცხოვრობდა ერთი ბრამანი,
ტრიჭატა ერქვა, გარგას ნაშიერს.
ბარით და კავით მუდამ მშრომელი
თავს ვერ აღწევდა გლახაკის იერს.
მივიდა ცოლი თავის შვილებით
და უთხრა წყნარად ნახევრად მშიერს:

„როგორც გირჩიო, ისე მოიქეც,
ბარი და კავი აღარ ეძიო.
წადი რამასთან, ის კეთილია,
ეველრე გულით — შენც შეგეწიოს“.
ძველი ფარაზა ჩაიცვა მყისვე,
საწადელს იქნებ მართლა ეწიოს!

და გაეშურა ხელმწიფის შვილთან,
თითქოს მუხლებში დგომოდეს ქარი:
მივიდა დარბაზს დაუბრკოლებლად,
შეალო ნელა მეხუთე კარი.
ეახლა რამას და მოახსენა:
„ჩემი საქმეა კავი და ბარი,


„ქედმოდრეკილი, ჩავცქერი მიწას,
სახე თფლით მაქვს მუდამ ნაპკური.
მაგრამ წვრილშვილის მამას და პატრონს
წლის სამყოფ სარჩოდ ვერ მომყავს პური.
დიდებულ რაქუს შთამომავალო,
მეც მოწყალებით მომაპყარ ყური“.


რამა ტრიჭატას, ვით შვილი შეხვდა,
კვლავ სიხარული კროთოდა მის ხმაში:
„მგონი კიდევ მყავს ათასი ძროხა,
თუ მაგ ჭოხს სტყორცნი იქამდე, მთაში,
სადაც ისინი ჩვილ ბალახს ძოვენ,
შენი იქნება ნახირი მაშინ.“

მან აიკვალთა ფარაჯა მყისვე,
მოულოდნელად იცვალა ნირი,
დაატრიალა ჭოხი ძლიერად,
მერმე ისროლა მთას დანაღირი,
და მართლაც ჭოხი იმ ადგილს მოხვდა,
სად ბალახს ძოვდა რამას ნახირი.

რამამ მიმართა ალერსით ბრამანს:
„ნუ მიწყენ, რაც დღეს ხუმრობით გჟადრე.
გყავდეს მწყემსებით ათასი ძროხა,
ახლა მთავარიც თავს გაგიყადრებს.
თუ კიდევ რამე გინდა, გჭირდება —
არ მომერიდო, მითხარი ადრე.“

მან უთხრა: „მსურს ღმერთს შევსწირო მსხვერპლი
და შეგავედრო, რომ არ გაგრიყოს.“
რამამ ალუთქვა: „თუ რამე დარჩა
გბრძანებ ახლავე შვაზე გაგიყონ“.
და ბრამანს მისცა, ძროხების გარდა,
რაც კი სამსხვერპლოდ საჭირო იყო.





თავი მეცხრე

მეფეს ეახლა ორი მაშაცი
და სიტაც, ნაზი, თვალმოციმციმე.
რამამ სუმანტრას მიმართა წყნარად:
„აცნობე ჩვენი მოსვლა ხელმწიფეს.“
მეეტლე მყისვე შევიდა დარბაზს,
მეფის წინ თავი დახარა მძიმედ.

და მოახსენა: „დიღო მეფეო,
შენს შვილს, მამაცზე უფრორე მამაცს,
დანდაკას ტყეში წასვლის წინ უნდა
დაგემშვიდობოს საყვარელ მამას.
ქარებთან იცდის. მიიღე იგი,
ნუ გააწილებ შენს ერთგულ რამას.

„როგორც მზე ცეცხლის შარავანდითა
იგი სიკეთით არი შეობილი“.

მეფემ შესძახა: „მომგვარე ჩქარა
უმართებულოდ ჩემგან გმობილი!“
და ადგა შვილის შესაგებებლად,
მაგრამ არ ეყო ძალა ხმობილი.

რამა მივიდა ხელდაქრეფილი,
დვლავ მორჩილება რომ აღიაროს:
„მშვიდობით, მამავ, მზად ვარ წავიდე,
თოთხმეტი წელი ტყე-ტყე ვიარო.
სიტაც, ლაქშმანაც თან მომყვებიან,
სურთ ჩემი ხვედრი გაიზიარონ.

„სურთ წამოვიდნენ დანდაკას ტყეში,
დღემდე სიამის მუდამ მნახველნი.
გვიბოძე ნება, რომ ერთად ვიყოთ
საშიშ საზღვრების გადამლახველნი.
მშვიდობით, მამავ, ვითარცა ფერფლი
განფანტულიყოს შენი ნაღველი.“

ღრმა მწუხარებით მეფემ მიუგო:
„მე ბრმა ვიყავი, ძვირფასო სულო,
როს კეიკეის აღთქმა მივეცი, —
შენ არ გდევს ვალად ის აასრულო.“
შემდეგ მიმართა მან კეიკეის:
„ქვეყნად დიდებულ მამის ასულო,

„გთხოვ, შეისმინო ჩემი ვედრება
და შემიცოდო მოხუცი ქმარი.
მაგ შენი ხელით მიეცი რამას
სამეფო ტახტი, ვით საჩუქარი.
გაშინ მთელ მიწას მოეფინება
შენი სახელის კეთილი ქარი.

„შეხედე სიტას, გებრალებოდეს
 ჯენაკას ქალი, მტრედებრ მფეთქავი.
 მისმა უმანკო ნუკრის თვალებმა
 რა დაგიშავეს, რათა ხარ ავი,
 ისიც ხომ უნდა წავიდეს ტყეში,
 ნუთუ ჭოჭოხეთს გსურს მისცე თავი?“

ასე შესთხოვდა მეფე დედოფალს,
 ცდილობდა რამა მისგან დაეცვა.
 მაგრამ ის იდგა გაქვავებული,
 ფიქრობდა ქმრისთვის ხმაც არ გაეცა.
 ღიდანს ელოდა პასუხს ხელმწიფე,
 ბოლოს უგონოდ პირქვე დაეცა.

სუმანტრა მკერდზე იცემდა მჯილებს,
 და მრისხანებით უძგერდა გული.
 ოხრავდა, კბილებს ალრჭიალებდა,
 ტკივილებს გვრიდა მეფისგან თქმული.
 შესძახა რისხვით მან კეიქეის:
 „მართლა ყოფილხარ უნდო, ორგული!

„ეით შეგიძლია იყო მდუმარედ,
 არ შეისმინო მეფის ხმა, აჯა.
 მეფის და მისი სახლის დაღუპვით
 იცოდე მკაცრი მოგელის განსჯა.
 ჩვენ ყველა წავალთ რამასთან ტყეში,
 არ გვინდა შენთან ცხოვრება, გარჯა.“

„იქ ბრამანებიც არ დარჩებიან,
 სადაც გექნება ბინა, კარავი,
 რადგან ისეთი რამ განგიზრახავს,
 რაც არ სმენია ქვეყნად არავის.
 საკვირველია, რომ ციდან წყევა,
 თავს არ გეცემა ცეცხლით მზარავი.“

„რად არ გასკდება ნეტავი მიწა,
თან არ ჩაგიტანს მკერდგანაყოფი.
ვინც ამრის ნაცვლად ნიმბის ხეს დარგავს,
მან ვერ იგემოს ტკბილი ნაყოფი.
არც თუ ნიმბის ხეს თაფლი ჩამოსწვეთს,
არც ბალი ვარგა იმით ნალობი.

„ცუდი დედის ზენ შენ მაშინც გქონდა,
როცა საშოში იყავ, გეძინა. —
ერთმა წმინდანმა მამაშენს ყველა
ცხოველთა ენის ცოდნა შესძინა.
ერთხელ, ბნელ ლამით თურმე მოესმა
მას ჯირიმფის ხმა და გაეცინა.

„ცოლმა შესძახა: — რატომ იცინი?
მეფემ მიუგო: სიკვდილის კარად
მყის მივიქცევი, რომ გაგიმჟღავნო! —
კვლავ დედაშენმა ცოფები ჰყარა:
— გინდა იცოცხლე და გინდა მოქვდი
ოლონდ მიზეზი მითხარი ჩქარა! —

„მაშინ ხელმწიფემ მიმართა წმინდანს
და უთხრა გულზე რაც ედვა ხუნდად.
მან კი ურჩია: — თუ არ გსურს მოკვდშ
ახლავე ცოლი განდევნო უნდა. —
ასეც მოიქცა და ამის შემდეგ
სულის სიმშვიდე კვლავ დაუბრუნდა.

„ვაჟი მამასა, ხოლო ასული
დედასა პგავსო — უთქვიათ ძველად.
მაგრამ ნუთუ გსურს შენ ეს ანდაზა
რომ გაამართლო ქმრის გულის მწველად.
დაპგმე დედის გზა, ცოდვებით სავსე,
ხალხს და ხელმწიფეს გაუხდი მცველად.

„უარყავ ბოროტ მრჩეველთა ნება,
მეფეზე მტერი არ გააცინო
და, დედოფალო, ეგ ავი ფიქრი
აჯობებს ჩაჰკლა და დააძინო,
თორემ იქნება დიდი სირცხვილი
მამა და შვილი რომ დააცილო.“

დედოფალს ასე ეუბნებოდა
სუმანტრა, მეფის მონა ერთგული.
ხანაც გესლიან, ხანაც ტკბილ სიტყვით
სურდა მოელბო იმისი გული.
მაგრამ მას, თითქოს, არც კი სმენოდეს
სუმანტრასაგან ხალხის წინ თქმული.

მეფემ ცრემლებით მეეტლეს უთხრა:
„შეპყარე ჩემი ოთხივე ჭარი,
აღჭურვე კარგად თავით-ფეხამდე,
შემდეგ გააღე ქალაქის კარი.
მდიდარ ვაჭრებმაც შეპკრიბონ სწრაფად
მონადირეთა დიდი ლაშქარი.

„ყველას, რომელთაც ჩემი რამასი
აქვთ სიყვარული მტკიცე, ნამდვილი,
მიეცი ჭილდო, თან გაჰყვნენ, რათა
ტყეში არ იყოს როგორც მარტვილი.
დაიქირავე გზების მცოდნენი —
ძნელი მგზავრობა — ჰქონდეს ადვილი.

„ჩემი ჭოგები, ბეღლებში ბრინჯი,
იარაღები ახალთ-ახლები,
ყველაფერი ის, რაც შეიძლება
დასჭირდეს ტყეში, თანვე აახლე;
ჩემივე ეტლით უდაბურ ადგილს
თვით მიიყვანე და დაასახლე.“

ქმრის ამ სიტყვებზე დედოფალს უცებ
დარღით გაუკრთა ფერი ნაქები:
„მეფეო, შენ გსურს, რომ ჩემმა შვილმა-
ლვინის ნაცვლად სვას მხოლოდ ნალექი..
გინდა გადაცე სამეფო, სადაც
არ იყოს ჭარი, არც მოქალაქე?“

მეფემ შესძახა: „ო, უნამუსოვ,
ხედავ ალარ მაქვს მხრები ძლიერი
და შენ მიმატებ უფრო მძიმე ტვირთს,
რომ მთლად დავკარგო კაცის იერი.
როგორ მიბედავ, თავის სახლიდან
განვდევნო რამა ხელცარიელი?“

ქმარს კეიქეიმ მძვინვარედ უთხრა:
„განა საგარა არ იყო მამა,
რომელმაც თავის პირმშო აზამანჯს
წაართვა ტახტი ისე თამამაღ?
შენც წინაპარის მსგავსად მოიქეც —
უმემკვიდრეოდ განდევნე რამა.“

„მეფემ იყვირა: ვაი, ვაიო!“
ცოლისგან უფრო შეიქნა მწყრალი.
კეიქეის ამ უკმეხ სიტყვებზე
ყველას მოედვა სირცხვილის ალი.
ამ დროს სიდარტამ, ბრძენმა ბრამანმა,
დედოფალს წყნარად მიაპყრო თვალი.

და თქვა: „აზამანჯს რატომ ადარებ
გულებეთილ რამას, სახე მცინარეს.
მან დაიჭირა გზაზე ბავშვები,
თვის გასართობად მისცა მღინარეს.
შეძრწუნებულნი მოქალაქენი
ეახლნენ მეფეს და უწინარეს



„მოსთხოვეს: — ან ჩვენ, ან აზამანჯი! ჩვენ შორის ერთი უნდა არჩიო. შენმა მექვიდღემ ჩვენი ბავშვები სარაუს წყალში ერთად დაახრჩო. — მეფემ განდევნა ბოროტი შვილი, მყისვე წაართვა ტახტი და სარჩო.

„მამის შემრცხვენმა აიღო აბგა და უგზო-უკვლოდ იწყო წახჭალი. რამამ ისეთი რა დააშავა, რომ მასზე მეფე იყოს გამწყრალი? ნუთუ იმდენად დავკარგეთ გონი, ვერ გავარჩიოთ ღვინო და წყალი?

„იმ კაცის დასჭა, რომელიც მუდამ სიმართლით ხვდება ყოველ განთიადს, ისეთი დიდი ცოდვა იქნება დააბნელებდა ინდრას შუქს დიადს. ო, დედოფალო, ერიდე ცოდვას, და კეთილ სახელს ნუ მისცემ წყვდიადს.“

ბოლოს ხელმწიფეს მიმართა რამამ:
„რად მინდა ტყეში ჯარი, სიმდიდრე,
რაში მჭირდება მოსართავები
სპილო და ცხენი სხვისია ვიღრე?
სამეფო ტახტი, თავისი განძით,
ფარატის მიეც და დაუმჯვიდრე.

„მე თან წავიღებ მხოლოდ მშვილდ-ისარს
და ხმალს ომებში ხშირად ნატარებს.
მადლობელი ვარ! დამშვიდდი, მეფევ,
ნუღარ აჩქეფებ ცრემლისა ღვარებს.
სად ძლიერია მოვალეობა,
იგ ანგარება ვერ გაიხარებს.



„ტყეში ხიფათი ჩვენ არ მოგველის,
არც მწუხარების სხვა რამ ხუნდები.
იქ ქურციქები ნორჩ ბალახს ძოვენ,
ტაბილად გალობენ ფრინველთ გუნდები.
როგორც ახლა ვარ მხენ და ჯანმრთელი
ტყიდანაც ასე დაგიბრუნდები.

„ნუ მიეცემი ჭმუნვას და დარდებს,
იყავი ისევ ლხინის მკობელი.
მამაცთა მეფევ, შენ თვითონ უნდა
სხვა ანუგეშო ჭირში მყოფელი.
გაბარებ დედას, შეუმსუბუქე
მძიმე ვარამი, განუყოფელი.

„მიხედე საწყალს. ნუ მოიშორებ
და იყოლიე მუდამ შენს ახლოს.“
ხელმწიფებ რამას ტირილით უთხრა:
„კვლავ ერთმანეთი მალე გვენახოს!
მშეიღობით, შვილო! საშიში გზები
დაუბრკოლებლად გადაგელახოს.“

შემდეგ მიმართა სუმანტრას ასე:
„მოჰვარე ეტლი. ჯილდოს მაგიერ
მამის სახლიდან კეთილი შვილი
უნდა დევნილი იყოს ამიერ.“
სუმანტრა ეტლში ცხენებს აბამდა,
თანაც სწყევლიდა სოფელს წამიერს.

* *

გამოსათხოვრად სიტა მიადგა
დედამთილის კოშქს, კეთილ ბურჯიანს.
კავშიამ რძალს პირზე აკოცა;
ცრემლმორეულმა გულით ურჩია:
„ცვალებადია ქალის ბუნება,
ის ხან კეთილი, ხანაც ურჩია.“

„როცა მეუღლე და მარჩენალი
 ხიფათს შეხვდება, სკე დაკარგული,
 ცოლს სიყვარული მყისვე უქრება,
 თან სიძულვილით ევსება გული,
 და ავიწყდება გასაჭირის დროს,
 ბედნიერება მასთან ნახული.

„ძნელია ქალის გულის მოგება,
 მას უცივდება ადვილად გრძნობა.
 ცოლი ვერ ხედავს ხშირად ქმრის სიბრძნეს,
 მისი ქველობის არ ძალუძს ცნობა,
 რადგანაც თვითონ ფუქსავატია,
 და უგნურივით იცის ანცობა.

„ხოლო კეთილი და სათნო ქალი
 მუდამ ზნეობის დამცველი არი,
 შენც ჩემი შვილი არ დაივიწყო
 და გქონდეს გული მისდამი მყარი.
 სკიანი იყოს თუ უბედური,
 ლვთაების სწორად იგულვე ქმარი“.

* *

ლაქშმანაც თავის დედას ეახლა,
 სურს ეამბოროს მის ფეხებს, კაბას.
 სუმიტრამ უთხრა: „ძვირფასო შვილო,
 გრთავ ნებას, ტყეში წაჰყევი რამას,
 რომ ჭირშიც იყო მის გვერდით, ახლოს,
 შენ მეგობრობა გავალებს ამას.

„მას ემსახურე, მასზე იზრუნე,
 ღარიბი იყოს, გინდა მდიდარი.
 სამს პატივი სცეს უმცროსმა უფროსს,
 გქონდეს სიკეთე მისთვის მდინარი,
 და დაიცავი გმირთ ჩვეულება,
 შენს გვარში მუდამ სხივთა მფინარია.



„ლმერთს მსხვერპლს სწირავდე, ომში მხეობდე
და მეგობრობის იყავ ერთგული.
უფროს ძმის, რამას, სახავდე მამად,
სიტასთვის შვილებრ გიძგერდეს გული.
მშვიდობით, შვილო, წადი შენც ტყეში,
მენახო მტერზე გამარჯვებული!“

* *

სუმანტრა გულზე ხელდაკრეფილი,
ინდრას წინაშე როგორც მათალი,
ეახლა რამას და მოახსენა:
„გწყალობდეს, გმირო, ინდრა მართალი.
ეტლი მზადაა, წაგიყვან სწრაფად,
სითაც მიბრძანებ, გმირი სარდალი.“

რამა, ლაქშმანა და ნაზი სიტა,
ემთხვივნენ კრძალვით მეფეს და მამას,
შემდეგ გარს მარჯვნივ შემოუარეს,
სიტა ავიდა ეტლზე თამამად,
ბოლოს ქალს გვერდით დაუდგნენ სწრაფად
მამაცი ძმანი — ლაქშმან და რამა.

ეტლში ელაგა სიტას სამოსი,
ძეირფასი თვლები, მაზლის ნაჩუქნი.
აგრეთვე ეწყო შიგ მშვილდ-ისრები,
ძმათა ფარ-ხმლები მზეებრ ნაშუქნი.
როცა მზად ნახა ყველა სუმანტრამ,
დასძრა ცხენები ფიცხნი, ჩაუქნი.

მაშინ აღშფოთდა სრულად ქალაქი:
როგორც მწყურვალმა ანკარა წყაროს,
ყრმამ და მოხუცმა ეტლს მიაშურა,
რამას მნახველი რამ დააწყნაროს!
შემოეხვია ხალხი ეტლს ირგვლივ
და მყის მეეტლეს შესძახეს მწყრალად:



„შესდეგ, სუმანტრავ, წელა, ნუ ჩქარობ,
დააყე ეტლი, მოსწი სადავეს,
რათა შეგვეძლოს ცოტახანს კიდევ
ვუცქიროთ რამას, სიბრძნის სათავეს.
ვახ, კავზალიას რა გული უძლებს,
დარღით სიცოცხლეს რად არ ათავებს!

„სვიანიმც იყავ, ქეთილო სიტავ,
რომ გყვარებია შენ ისე ქმარი,
არ გსურს მოშორდე, როგორც მზე მერუს!
გძირო, ლაქშმანა, ხარ სიბრძნის კვარი,
რადგან გწადია ძმას ემსახურო,
ლია იქნება შენთვის ცის კარი!“

რამა იძახის: „ჩქარა, სუმანტრავ!“
ხალხი კი ჰყვირის: „ნელა, ნუ მიჰქრი!“
გის დაუჭეროს ქველმა მეეტლემ?
ბოლოს რამას წინ იგი ქედს იხრის —
გარეკავს ცხენებს. რამას თან გაჰყვა
ხალხის ცრემლები, ლოცვა და ფიქრი.

მოხუცი მეფე იდგა უძრავად,
განგებ სიმშვიდე სურდა დაეცვა,
მაგრამ როდესაც მტვრის ბუღში ეტლი
თვალს მიეფარა, გული დაეწვა.
უეცრად ძალა გამოელია,
ცნობამიხდილი იქვე დაეცა.

ქმარს კავზალია მყის მიეშველა,
თან უსველებდა ცრემლები სახეს.
და კეიკეიც, წამომდგარ მეფეს,
მარცხნივ დაუდგა, მქლავზე ხელს ახებს,
მაგრამ, როდესაც მას დაინახავს,
მწუხარე მეფე შესძახებს მკვახედ:

„შორს ჩემგან, ბილწო, არ მომეკარო,
საიქიოშიც არ გნახო თვალით.


ცოლი კი არა, მტერი ხარ ჩემი,
შენის წყალობით მწვავს ჭირის ალი.
მსურს დაგივიწყო მე სამუდამოდ,
ვთ დაივიწყე შენ შენი ვალი.

„თუ შენმა შვილმა მიიღო ტახტი
და დაპგმო წესი მტკიცე და ძველი,
როცა ამ ქვეყნით წავალ, მისგან მსხვერპლს
არ შევიწყნარებ, სამოთხის მცველი.“
ეს სთქვა და შემდეგ ისევ განაგრძო
თვალცრემლიანმა სიტყვები მწველი:

„ეს ნაკვალევი იმ ეტლისაა,
რომელიც პირმშოს მაშორებს მამას.
ეს ნატერფალნი იმ ცხენებს დარჩათ,
მიაქროლებენ რომლებიც რამას.
ვეღარ ვიხილავ ჩემს სიცოცხლეში
მშობლების მორჩილს და მტრებთან თამამს.

„მის დედის სახლში აწ წამიყვანეთ,
სხვაგან ვერ გავძლებ, მტკიცა თან გული.“
და წააბძანეს კავზალიასთან
მეფე დარდისგან მთლად გათანგული.
დაწვა, უვლიდა მას კავზალია,
ჩამოსდიოდა ცრემლთ ნაკადული.





ତାଙ୍ଗ ମେଆଟୁ

ଜୀର୍ଣ୍ଣନେନ ପ୍ରେନେଦି, ଶ୍ରୀନ ସ୍ତର୍ଵେଦନେନ
ତ୍ୟେସ, ମିନ୍ଦବର୍ହେଦି, ସନ୍ତୁଲେଦି, ଯାନେଦି ଲା ଦାଲେଦି
ଲା ମିଳିଷେ ଧନଲାଲ ମଧ୍ୟବର୍ହେଦି
ଲିଙ୍ଗ ସିନ୍ଦିଯିଲ ଫିରୁଥିଲ ତ୍ରାଲ୍ଲେଦି.
ଏହି ଫାରିଶାବାନ୍ଦଗତା ଲା ଦାତିତା ଗୁଣିନ୍ଦି
ଅସ୍ତ୍ରେଦନେନ କେବିତ ତ୍ୟେସ ଲା ପିଲ ତାଲେଦି.

ଏହି ତାଙ୍ଗଦେଖନ୍ତା, ଏହି ମନ୍ଦିନାର୍ଜେଶତାନ
ଏହି ଶାକେଲମିଛିଫଲ ଶଲବାରି ଲା କିଲେ,
ରାମମେଲିଚ ମାନ୍ଦୁମ ମିଲିପା ତାଙ୍ଗିଲ ଶ୍ଵିଲ
ଶେବେରିଲ ମନମେଲିରେମ ଲା ଗାଲାମକିଲେମ.
ଶେହେରିଲା ଏତିଲି. ମାମାପୁମା ରାମାମ
ଶୁମାନତିରାଲ ଶୁତକରା: „ରାମିଲ-ଲା କିଲେବ.

„სარაუს მწვანე, ტყიან ნაპირზე
 ვინაღდირებ და შინ დავბრუნდები?
 ნადირობაა დიდად გამრთობი,
 როცა კაცს დაღლის შრომის ხუნდები.“
 შემდეგ გაჰქედა აიოდიას,
 თქვა: „შენ არასდროს არ გახუნდები.

„მშვენიერი ხარ ყველა ქალაქზე,
 შენზე ფიქრებმა ვით დამაძინონ.
 მშვიდობით, გტოვებ, ჩემო ქალაქო,
 გრძურვებ — მტრებმა ვერ დაგამცირონ.
 ღმერთებმა, შენგან შუქმოსილებმა,
 უბედურება კვლავ აგაცილონ.“

შემდეგ მან გლეხებს, რომლებიც მგზავრებს
 უკან მისდევლნენ მწუხარე გულით,
 ხელებგაპყრობით მიძართა ტკბილად:
 „ოქვენ დამიმტკიცეთ მე სიყვარული.
 ახლა შინ წადით, არ მოგქლებოდეთ
 ბედნიერება და სიხარული.“

გლეხებმა მარჯვნივ ეტლს მოუარეს,
 თან თვითეული თავს დაბლა ხრიდა.
 რამა, როგორც მზე დაღამების უამს,
 თვალს მიეფარა ყოველი მხრიდან.
 გმირი დაადგა კავზალას მიწას,
 რომელიც მნახველს სიამეს ჰგვრიდა.

მგზავრებმა განვლეს ბრინჯის ყანები,
 ამრას წალკოტნი, ტურფა ბალები.
 მწვანე ველები ცივ აუზებით,
 ჭოგებით სავსე იალაღები.
 იყვნენ ამ ქვეყნის მოქალაქენი
 ზნე-კეთილნი და გულით ლალები.

იდგა მრავალი საკურთხეველი,
ძეგლები, შუქით მოსილნი ციდან.
ხელმწიფის შვილმა ბოლოს იხილა
მღელვარე განგა ცივი და წმინდა.
რა დაინახა მისი ზვირთები
სუმანტრას უთხრა: „აქ შევდგე მინდა.

„აგერ, წყლისპირას ინგუდის ხე დგას,
მის ტოტების ქვეშ დავიდოთ ბინა.
ვუცემიროთ ერთხანს ღმერთთა მდინარეს,
რომელმაც ჩვენს გულს შუქი მოჰყინა.
იგი დემონთა, ყველა სულდგმულთა,
კაცთ სათაყვანო არის, ყოფილა“.

„თქვენი ნებაა,“ — უთხრა სუმანტრამ,
არ დააყოვნა წასვლა და გარჩა.
ჩამოხტნენ ხის ქვეშ. რამამ და სიტამ
ძირს ნეშვები დაიგეს ფარჩად.
ლაქშმანა ხეზე ზურგმიყრდნობილი,
ძმისა და რძალის გუშაგად დარჩა

და სუმანტრასთან ძმაზე საუბრით
არ მოუხუჭავს ერთხელაც თვალი.
დილაზე რამამ ლაქშმანას უთხრა:
„გავიდა ლამე და ცას მზის ალი
მოედვა. შავი კოკალა-ჩიტიც
ხმა-ტქბილად გალობს, ბუნებით მთვრალია.“

„და ტყიდან მამალ ფარშავანგების
ისმის ყივილი, ვით უცხო ჰანგი.
ნუ ვიგვიანებთ, წავიდეთ, დროა
გავცუროთ წმინდა ტალღები განგის.“
მდინარისაკენ წავიდნენ ძმები,
თან წაიყვანეს სიტა პირმანგი.

გზაზე სუმანტრა მათ დაეწია
და ჰყითხა რამას: „მე რა ვქნა ახლა?“
რამამ მიუგო: „უკან დაბრუნდი,
ქვეითად ვივლით, თუმც გველის დაღლა,
მშვიდობით იყავ.“ მეეტლე შედგა
და აქვითინდა უცებ ხმამაღლა.

მიმავალთ დიდხანს თვალს ადევნებდა,
ქვალად სდიოდა ცრემლი მდუღარე.
მგზავრებმა სწრაფად წინსვლა განაგრძეს,
სუმანტრა მარტოდ დარჩა მწუხარე.
განდევნილები მიაღვნენ ბოლოს
წმინდა მდინარეს, ტალღებმჭუხარეს.

იქვე ნაპირთან ნავს მოჰკრეს თვალი.
მყისვე შიგ ჩასხდნენ. კეთილმა რამამ,
როგორც უფროსმა, დიდხანს ილოცა.
შემდეგ წყალი სვეს, იპკურეს ნამად,
თან თაყვანი სცეს წმინდა მდინარეს
და გააცურეს ნავი თამამად.

როდესაც განგას გულში შევიდნენ,
სიტამ მდინარეს მიმართა წყნარად:
„ო, გაუფრთხილდი ხელმწიფის პირმშოს,
ხიფათისაგან იცავდე მარად.
როცა უვნებლად შინ დაგბრუნდებით —
მსხვერპლს შემოგწირავ ღმერთების დარად.

„ბრამას ქვეყნიდან მომდინარეო,
ციდან დაღვრილო მიწაზე ლალად,
გთხოვ, შეისმინო ჩემი ვეღრება.“
მგზავრნი გავიდნენ მდინარის გაღმა,
გაუდგნენ გზას და უკან დატოვეს
განგის მიდამო გაშლილი ბაღად.



მამაცმა რამამ ლაქუმანას უთხრა: ეროვნული
 „შენ წინ იარე, გაგვიძეს ველად.
 უკან მოგყვება სიტა, ხოლო მე
 სულ ბოლოს ვივლი ორთავეს მცველად.
 ჯერ კარგადა ვართ, მაგრამ აწ სიტა
 ტყეში ცხოვრებას იგემებს მწველად.

„ახლა შევდივართ უდაბურ ტყეში,
 აქ არ ჩანს კაცის კეთილი ქვალი,
 სადაც არაა ბალი ღა ყანა
 და არ გიზგიზებს კერაზე ალი.
 სადაც უჭალი ტყე არი მხოლოდ
 და ქარაფ კლდეებს ვერ წვდება თვალი.“

მოგუგუნესა და ხშირსა ტყეში
 განცვიფრებული სიტა თვალს ახელს,
 და თანაც კითხავს, მხნედ მიმავალი,
 მეულლეს უცნობ ყვავილთა სახელს.
 ხელმწიფის შვილიც განუმარტავდა
 და იქარვებდა მოწოლილ ნაღველს.

დიდი გზა განვლეს. უცებ, ანაზღად
 ერთ ლელვის ძირას იპოვეს წყარო.
 წყალი დალიეს, შემდეგ მახლობლად
 დაანთეს ცეცხლი მშვიდად და წყნარად.
 რამას ისარით მოკლული ტახის
 შეწვეს მწვალები დამდნარი ცვარად.

როცა დანაყრდნენ, ლელვის ტოტებქვეშ
 ველი ლოგინად გაიზიარეს.
 ერთი-მეორეს ედგნენ გუშაგად
 და იშუშებდნენ ძილში იარებს.
 მრავალი დღე და მრავალი ღამე
 ასე ათიეს, ასე იარეს.

ბევრი ხე ნახეს, უცნობი წინად,
 და გადალახეს ბევრი მდინარე.
 ბევრი ნადირი დახოცეს გზაზე.
 ბოლოს მიადგნენ, სხივებმფინარეს,
 ჩიტრაკუთის მთას და სიხარულით
 რამამ ძმას და ცოლს უთხრა მცინარემ:

„შეხედე, სიტა, კინსუქის იმ ხეს,
 მას გაზაფხულის გვირგვინი ამჟობს.
 აქვს ყვავილები მთლად ალისფერი,
 ცეცხლებრ ანათებს ნადირთა სამყოფს.
 აი, ვიღვას ხე, დახრილ ტოტებით,
 თითქო გვაწოდებს გულმწიფე ნაყოფს.

„ხედავ, ხეთაგან ნაწვეთი თაფლით,
 როგორ სველია ყველგან ალაგი.
 სადღაცა მწყერი იძახის ტკბილად,
 აქ ფარშავანგი ყივის ხმალად.
 დღეს ამ ტყის მხილველს აღარ მიზიდავს
 აღარც ტახტი და აღარც ქალაქი.

„შეხედე კარგად, ჩემო სიცოცხლევ,
 ამ ოვალუწვდენელ მთათა მწვერვალებს.
 ერთი მათგანი ვერცხლივით ბრწყინვას,
 ზოგიც სისხლივით წითლად ელვარებს.
 ზოგსაც გადაპერავს ბეუმენტის ფერი,
 ზოგიც ზურმუხტის ტალღებრ მღელვარებს.

„მათი ფერადი ქვების პრიალი,
 ბროლის სვეტები, უძრავნი მარად,
 თვალს ახარებენ სუთთა კამკამით
 ვარღებისა და ვარსკვლავთა დარად.
 აქ ქაცს არ ერჩის ვეფხი და დათვი,
 აქ ქურციკები დადიან ფარად.



„ყველა ფრინველი უშიშრად ცხოვრობს,
თავისუფლების მუდამ მსურველი.

აქ უხვადაა ჩრდილი და ხილი,
დგას ყვავილების ირგვლივ სურნელი.
ამ ქოლგასავით გაშლილ ლელვის ქვეშ
განიკურნება განუკურნელიც.

„აქ ჩვენ ვჭამთ ამრას და ჯამბუს ნაყოფს,
აქ ერთ ხეს თაფლი ჩამოდის ღვარად,
მეორეს — ზეთი, ხოლო სხვა ხენი
აკმევენ სურნელს, ყვავილთა გვარად.
კლდე, რომელზედაც ჩანჩქერი მოჩქეფს,
ბრწყინავს და მუდამ ანთია კვარად.

„ხეობებიდან უბერავს სიო,
მოაქვს სურნელი დამათრობელი,
ეს ყოველივე ვის არ მოხიბლავს,
აქ ვინ იქნება ბედის მგმობელი.
მზად ვარ ამ ტყეში, თქვენს გვერდით, მარად,
ვიყო ლოცვებით ინდრას მკობელი.“

შემდეგ მიმართა რამამ თავის ძმას:

„ავაგოთ ქოხი, ჩვენი მფარავი,
ამ კლდის მახლობლად, სადაც წყაროა.“
ლაქშმანა, მკლავით დაუზარავი,
მყისვე შეუდგა ხეების მოჭრას
და როცა დადგეს კლდესთან კარავი,

რამამ წარმოოქვა დინჯად და ნელა:

„ეს ჩვენი ქოხი ვაკურთხოთ ახლა,
რადგანაც იგი მრავალი წელი
როგორც დევნილებს გვექნება სახლად.
შევწიროთ წმინდა მსხვერპლი ზენაარს
და აღვავლინოთ ლოცვები მაღლა.“

ლაქშმანამ ისრით მოკლა ქურციე
 და დაღვა ცეცხლზე მთლად სისხლით სველი-
 რამამ სახეზე შეისხა წყალი,
 ვით იყო წესი, ადათი ძველი.
 შემდეგ შეუდგა მსხვერპლის შეწირვას,
 როგორც ბრამანი და სჭულის მცველი.

როდესაც მორჩა მსხვერპლის შეწირვას
 წარმოთქვა ვედა, ლოცვა ცხოველი.
 ბოლოს დააძლო ხორცით და ნილით
 ყველა სულდგმული, არსი ყოველი.
 და ქოხში რაქუს ჩამომავალებს
 თან შეჰყვათ სიტა შუქთა მთოველი.





თავი მეთერთმეტე

ერთხელ დაზარათ იყო მოწყენით,
მას კავზალიამ უთხრა მწუხარედ:
„ო, ხელმწიფეო, შენ კეთილი ხარ,
და გულს წყალობით ყველას უხარებ.
ამიტომ მუდამ სამ ქვეყანაში
შენი სახელი ქებით მქუხარებს.

„გითხარი, მეფევ, მეფეთა შორის,
შენი შვილები და ნაზი სიტა,
როდესაც უღრან ტყეში არიან,
მოელით საფრთხე მიწიდან, ციდან,
როგორლა ღუმხარ, ხმას რად არ იღებ,
და ყოველივეს ითმენ და იტან?

„ო, ჩემო სიტა, შავზილფანო,
იყავ სათუთი და ნებიერი,
ახლა დევნილმა უნდა იგემო
მძაფრი სიცხე და ყინვა ძლიერი.
ქარმა და ქაცვმა უნდა წაშალონ
შენი ლამაზი სახის იერი.

„მუდამ შერჩეულ საჭმელს ჩვეულმა
ველური ხილი დღეს უნდა ჭამო.
წინათ გართობდა საკრავთა ხმები,
სმენას გიტქბობდა გალობა ამო,
ახლა კი შიშით უნდა ითრთოლო
მხეცფა საზარელ ღმუილის გამო.

„სად არი ახლა და სად ზის რამა,
რომა მწუხარებით თავჩაქინდრული?
როდისლა მნახავს უბედურ დედას,
ლოტოსის სახით წალკოტში რგული.
მიკვირს, რომ დღემდე რად არ გასკდება
ათას ნაწილად ეს ჩემი გული.

„მითხარი, მეფევ, საყვარელ ჩემს შვილს
რატომ უქციე ცხოვრება შხამად,
დაბრუნდება კი ნეტავ ოდესმე
დანდაკას ტყიდან მამაცი რამა?
ან დაუბრუნებს ტახტს მას ფარატა?
ვერ დავიჩერებ ვერასდროს ამას!

„ზოგი ახლობელ ნათესავისთვის
ზეიმს და ნადიმს ხშირად აახლებს,
ნასუფრალზე კი ბრამანებს უხმობს
და მათ მასპინძლად ფარეშს აახლებს,
მაგრამ ამაყი აღამიანი
ამრიტას დათმობს, ხელსაც არ ახლებს,



„თუგინდ ეს წმინდა, უცხო საჭმელი
იყოს ნარჩენი თვითონ უფალის. პირველი
თავმომწონე კაცს სიკვდილი უჯობს,
ვიდრე მან ჭამოს სხვის ნასუფრალი.
მწამს, რამაც არჩევს დანდაკას ტყეში
დარჩეს, არ იყოს თავისუფალი,

„ვიდრე მიიღოს ტახტი, რომელიც
უმცროს ძმას ეპყრა, მისთვის დადგმული.
ვეფხი სხვის მოკლულ ნადირს არა ჭამს,
არც ღვინო ვარგა ძალდაკარგული.
ლმერთები მსხვერპლს არ შეიწირავენ
თუ მას არა აქვს სომა ნაპქური.

„შენ დაუკარგე შვილს სვიანობა,
და სამუდამოდ წაართვი ტახტი.
როგორც თევზი ნოქავს თავის ლიფსიტებს,
შენც შენი შვილის დამღუპი გახდი...
პირველი — ცოლის მფარველი არი
ქმარი და მისი ძლიერი ლახტი.

„მეორე — შვილი თავისი მკერდით,
მესამე — მამა, დედა მშობელი.
შენ ალარა ხარ ჩემი მფარველი,
რამა ტყეშია, ქვეყნის მკობელი,
ხოლო მშობლები მეტად შორს მყვანან
და მტანჯავს ბედი დაუნდობელი.“

მოხუცი მეფე გონზე მოვიდა,
ონერით მიაპყრო ცოლს მზერა, მშვიდი,
და მოაგონდა ცოდვა, რომელიც
მან ჩაიდინა სიყრმეში მშვილდით.
უფრო დამწუხრდა, სევდამ დაძალა,
და დაენანა ნანატრი შვილი.

თავი დახარა, ხელდაკრეფილი
 ეტყვის დედოფალს, დარღზე მყნობილი:
 „გთხოვ, კავშალია, რომ შემიბრალო,
 ხომ ხელავ ჭმუნვით ვარ შეპყრობილი.
 შენ განთქმული ხარ გულკეთილობით,
 მეც აგრე მკაცრად ნუ მომეპყრობი.

„გინდ კარგი იყოს, გინდ ცუდი ქმარი,
 კეთილი ცოლი უღელს გაუწევს,
 და ტანჯვაში მყოფს, ნუგეშის ნაცვლად,
 კიცხვას, საყვედურს მას არ დაუწყებს.
 ისედაც ტანჯულს, ნულარ დამტანჯავ,
 და შეისმინე, რასაც გაუწყებ.“

რა გაიგონა ეს კავშალიამ,
 მტირალი, მის ფერხთ შეეხო შუბლით,
 და კრძალვით უთხრა: „ჩემო ხელმწიფევ,
 ნუ შემიწყალებ, გამგირე შუბით.
 მე არ ვარ ღირსი შენი ცოლობის,
 ნულარ მატარებ აწ ცოდვილს უბით.

„დასაგმობია ცოლი, რომელიც
 კეთილ მეუღლეს აწვება ბარგად,
 არ უმსუბუქებს ხვედრს ჭირში მყოფელს,
 ნუგეშის სიტყვებს არ აძლევს ხარკად.
 განა არ გიცნობ! და წმინდა ჩემი
 მოვალეობაც მე ვიცი კარგად.

„მაგრამ ნაღველმა, რამაზე დარღმა
 დამაცდენინა სიტყვები მკაცრი.
 მწუხარებასა და დარღზე უფრო
 დაუნდობელ მტერს გაუძლებს კაცი.
 მტრისგან დაჭრილი განიკურნება,
 კაეშანი კი გულს ძალას აცლის.



„მხოლოდ ხუთი დღე არი, რაც რამა
წავიდა ჩვენგან, სიკეთის მცველი.
მაგრამ ეს ხუთი დღე მწუხარებით
ხუთ წელიწადზე უფროა გრძელი.
შვილზე ფიქრებით სევდით ვივსები —
მდინარეებით როგორც ზღვა ვრცელი.“

დადუმდა. მეტე ძილმა წაიღო
კავზალიასგან ნანუგეშარი.
მაგრამ დარდისგან მყის გაეღვიძა,
აწვალებს ფიქრი დაუგეშარი.
მეექვსე ღამეს კვლავ მოაგონდა
თავისი ცოდვა ნაუხეშარი.

მან კავზალიას მიმართა წყნარად:
„ჯერ თუ არ გძინავს, დამიგდე ყური, —
ამ ქვეყანაზე ვინც როგორ ცხოვრობს,
ვისაც როგორი აქვს ნამსახური,
სიცოცხლეშივე ის მიეზღვება:
კეთილს — სიჭეთე, ბოროტს კი შური.

„ვინც საქმეს იწყებს მოუფიქრებლად,
არ არი თავის საქმის მისანი,
და მან წინასწარ არ იცის კარგად
ბრძოლის და შრომის ბოლო, მიზანი,
ის უგნურ ბაგჟვს ჰგავს და სიკედილამდე
ივლის ამქვეყნად, როგორც ხიზანი.

„ზოგი ამრას ჭრის და ანადგურებს,
პალაზას ტოვებს, ჭკუაზე მცდარი,
რადგანაც ფიქრობს იმისი ხილი
მისივ ყვავილთა იქნება დარი.
მაგრამ ნაყოფის დამწიფებისას
მწარედ ინანებს მის ჩრდილში მჯდარი.

„მეც ამრა მოგჭერ, პალაზა დავრგე,
 ნაყოფი — ჩამას განდევნა არი.
 მრავალ წლის წინათ, ყმაწვილობის უამს,
 როცა არ ჩანდა თვალით მიზანი,
 კარგი მშვილდოსნის სახელის მსურმა
 ჩქამს დავუმიზნე, ვტყორცნე ისარი.

„როგორც სულსწრაფი, მწყურვალე ბავშვი
 აიღებს სასმისს, თუნდ სავსეს შხამით,
 ან როგორც კაცი, ბოროტი ძალით,
 განსაცდელისკენ მიიწევს ღამით, —
 აგრევე ჭირი თვით წავიკიდე
 პატივმოყვარემ უგნური წამით.

* *

„მაშინ, როდესაც ჭაბუკი ვიყავ,
 შენ კი — ქალწული, ტურფა იერით,
 დიდი წვიმების და ჩემი ლხინის
 დადგა წარმტაცი, დრო მშვენიერი.
 მჩე მიეფარა მკვდართა სამეფოს,
 სადაც იამა სუფევს ძლიერი.

„დაცხრა ზაფხულის თაკარა სწრაფად,
 მიწიდან ნამის ამომშრობელი.
 გამხიარულდა ჩიტი ჩათაკა,
 გაჩნდა ღრუბელი ცვარის მშობელი, —
 და ფარშავანგმაც გაშალა ბოლო,
 ცას შეხაროდა ყველა მშრომელი.

„ქარი არხევდა ტოტებს, რომლებზეც
 ისხდნენ ჩიტები, წვიმით სველები.
 მთიდან ამდგარი ნაკადულები
 ძირს ეშვებოდნენ, როგორც გველები
 და თან მიჰქონდათ ბალახი, ნეშო,
 სადაც გაშლილი იყო ველები.

„ასეთ ნეტარ ჟამს ავიღე მშვილდი,
ნორჩი ძალ-ღონით ვიყავ მოცული.
ჩაგვევ მდინარე სარაუს ნაპირს,
რომ წყლის სასმელად დამით მოსული
ველური სპილო, ანდა კამეჩი
ენახა ვისმეს ჩემგან მოსრული.

„დამის წყვდიაღში ერთგან, საითაც
ვერა წვდებოდა ვერაფერს თვალი,
რაღაც ხმაური მესმა უეცრად,
თითქოს კოკაში დიოდა წყალი.
მოვწიე მშვილდს და მჯეროდა ნადირს
მოხვდა ისარი ფრთადაუმცხრალი.

„ამ დროს ბნელაში იყვირა კაცმა:
„ — უდაბნოში ვარ, როგორც მისანი,
ვის რას ვუშვებ, რისთვის დამკოდეს,
წყალისთვის მოსულს ვინ მკრა ისარი?
უიარალო, ტყის ხილით ვცხოვრობ,
ჩემი საკვები მხოლოდ ის არი.

„ — განდეგილს, ისრით რატომ მდევნიან,
რას არგებს ვისმეს ჩემი სიკვდილი?
სიცოცხლეს ჩემსას სულაც არ ვნაღვლობ,
მაგრამ, როს მშობლებს ვერ ვნახავ დილით—
რა ეშველებათ ღონემიხდილებს,
რომელთა თვალებს ადგიათ ჩრდილი.

„ — მე ვაწოდებდი მათ წყალს და სარჩოს,
ახლა თვითონ ვარ ბედგანაწამი.
უძლურ მოხუცებს უჩემოდ ყოფნა
არ შეუძლიათ არც ერთი წამი.
ვინ არის იგი უღვთო, რომელმაც
ერთი ისარით განგმირა სამი? —

„რა გავიგონე ეს ყოველივე
ხელიდან მშვილდი გამისხლტა კრული.
მყის გავეშურე მისქენ, რომელიც
კვნესოდა ჩემგან მკერდდაისრული.
ვნახე ყმაწვილი, მდინარის პირის
იწვა და მწარედ სტანჯავდა წყლული.

„გრძელი, ხუჭუჭა თმა დაფანტოდა
და შეღებოდა სისხლით სხეული.
რა შემომხედა, თრთოლვამ შემიძყრო,
იმის თვალთაგან გავხდი ძლეული:
— რა დაგიშავე, ხელმწიფის შვილო,
რისთვის მომკალი ბეჭით ეული?!

„ — მისთვის ხომ არა, ამ მდინარიდან
წყალის წაღების მქონდა სურვილი?
რად გაუმწარე ჩემს მშობლებს ყოფნა,
ისედაც მუდამ ბნელით ბურვილი.
ვიცი, მელიან რათა მოიკლან
ჩემგან მიტანილ წყალით წყურვილი.

„ — მაგრამ არ ძალმიძს, წამერთვა ღონე,
შველასაც უკვე ალარ მოველი.
ჩემი ლოცვა და ჩემი ვედრება —
ნუთუ ამაო იყო ყოველი
და ისე ვკვდები, არ მეღირსება
მშობლებისაგან ცრემლი ცხოველი?

„ — აშ მამაჩემი რაღას მიშველის,
უკვე ისარმა გულს გამიარა.
მონაღირისგან დაკოდილ სპილოს
ვერ განუკურნავს სპილო იარას.
ხელმწიფის შვილო, წადი მამაჩემს
მყის ყველაფერი გაუზიარე.

„ — ոիշյարք, տորեմ օմիսօ հօսեցա
 թամոցցի՞ցա, զոտ ტպօն եանձարօ.
 առ, ծոլոյզօ, օցօ մօցուցանն,
 սաճաց ցըայքը ծօնագ մցուրք բաժարօ.
 չըր կօ օսարօ, սոյցուունուս մցըրելո,
 իցմօ մցըրդունան եղլա դասձարօ. —

„ ցանցեցուունուս Շցուուս եմաց ցըր ցայցօն:
 ցուցեյ եցսացօտ ծեց-դատարեցուուն,
 հաճցան զուուուն օսարտան ցրտագ
 ամոցցեծուուն բանչուուն սուուն.
 տուույուս մուցուուն, հաց մայոցնեծուուն,
 դա մեցնեծա մտլագ եմաթասուուն:

„ — սոյցուունուս սուուն առ մե՛տնօս,
 ացուուն բէցուուն ուրեմլ՛շ մհոնծուուն.
 ոյնեծ ցցոննօս, հոցորու ծրամանօ,
 զոյց ամյցուցնագ որչըլ մոծուուն?
 ծրմա մամահեմո — ցաօսուսա,
 ցըլա կօ սուուրա, մոնագ եմոնծուուն. —

„ ամոցապալու ցրտեօւունագ օսարօ,
 ցրտու Շեմեցու դա մոյցու մցուուն.
 մը առ զուուուն, տու հա մելոննա,
 ցայցացեծուուն վուլույուն օսցը.
 ծուուուս օցուուն, ժուուն, կոյց թյուլուտ
 դա նահցենեծ ցիս ցացուցու մյուսուն.

„ ցնաեց մուուցնօ, հոցորու ծարմիցնեծ
 օսեցնեն սմիշուու, ցուցեծուուուն.
 լաձարակոնցնեն Շցուունից ալուհուուտ,
 ցուուս ուուեծուուն տանաց ցըլրեծուուտ.
 հուու ցանցեցուուս ցյեխուս եմա ցըմա
 լաւուցնեծուուն մուուրա կցըլրեծուուտ:



„ — სად იყავ, შვილო, ნეტავ ამდენ ხანს? დაგვალევინე ჩქარა ეგ წყალი. ალბათ, მდინარის პირას გაერთე, დედა კი შენზე წუხდა საწყალი. შენ დავრძომილთა საყუდელი ხარ და ბრძათა ჩვენთა ნათელი თვალი.

„ — როდესაც ახლოს შენ გვეგულები ტანჯვას არა ვგრძხობთ, გული მხნედ არი, მაგრამ რად სღუმხარ? — ენა დამება, ვიყავ საბრალო შესახედარი. ბოლოს ვუთხარი: არ ვარ თქვენი ძე, მე ვარ დაზარათ მეფის მხედარი.

„როს მივდიოდი მდინარის პირას, ვით მონადირე დანათიცარი, მომესმა — თითქოს სპილო წყალს სვამდა და ალალბედზე ვტყორცნე ისარი. მაგრამ ჩემს ისარს განუგმირია თურმე თქვენი ძის გულისფიცარი.

„ის მოკვდა თქვენზე მწუხარებაში და მისი სული ცამ შეიწყნარა. თქვენ უფლება გაქვთ, წმინდა მოხუცო, ახლა, როგორც გსურთ, მომეპყრათ მწყრალად. — დავჩუმდი გულზე ხელდაკრეფილი მუნის განაჩენს ველოდი წყნარად.

„შვილის სიკვდილით მთლად შეძრწუნებულს წასკდა ცრემლები შეუშრობელი. ბოლოს ოხვრით თქვა: — ხელმწიფის შვილო, ან საშინელი ამბის მთხრობელი თვით რომ არ იყო, თავს გაგიპობდა მყის ჩემი წყევა დაუნდობელი.



„ — შენ უნებლიერ დაღვარე სისხლი, აშიტომ არ ხარ დასაძრახელი.

ჩვენ არას გერჩით, იყავ უვნებლად,
ცოცხლობდეს შენში რაქუს სახელი.

წავიძედ შვილთან, უკანასკნელად
გვინდა მის სხეულს შევახოთ ხელი. —

„და მივიყვანე მოხუცნი, საღაც
ესვენა გვამი, სისხლით ნალამი.

მშობლები შვილის ცხედარს დაემხვნენ,
მუნმა ღაიწყო მოთქმა-ვარამი:

— ო, შვილო ჩემო, ხმას რად არა მცემ,
რატომ არ გინდა მომცე სალამი?

„ — ნუთუ მიწყრები, ქეთილო შვილო,
რომ აქ, მიწაზე წევხარ უგონოდ?

თუ შენი მამა აწ ალარ გიყვარს,
დედაშენს მაინც, უძლურს, უღონოს,
ყელს მოეხვივ კვლავინდებურად,
და მის ვეღრებას გთხოვ გაუგონო.

„ — გვითხარი რამე, თუნდ ერთი სიტყვა,
შენი ხმით ისევ გვარგუნე ლხენა.

მაგ ხმით ყოველთვის წყნარ ღმევებში
ვედების კითხვით გვიტკბობდი სმენას.
დღეს რა მოგვსლია, ნუთუ დადუმდა
ეგ შენი ბაგე, ეგ შენი ენა?

„ — საღამოობით ვინდა მომაწვდის
აწ მე ნაკურთხ წყალს უბრალო თასით.

ვინდა დაანთებს ჩვენს ქოხში კერას,
აწ ვინ მაღირსოს ალერსი ნაზი,

ვინდა მოიტანს ტყიდან ველურ ხილს
და როგორც სტუმარს მომცემს თავაზით?


„ — მე უძლური ვარ, ბრმა და საპყარი,
საკუთარ თავის არ ძალმის კვება,
დედაშენისთვის ვით ვპოვო სარჩო,
ორთავესათვის შენ იყავ შვება.
ძვირფასო შვილო, ასე უმწეოდ,
რომ მიგვატოვო, არა გაქვს ნება.

„ — ჩვენც შენთან ერთად წამოვალთ დღესვე
და ვეახლებით იამას ძლიერს.
ვთხოვ სასოებით — მაჩუქოს შვილი,
უარს ვერ მეტყვის ბრმა მამას, ხნიერს,
და დავრდომილთა მანუგეშებელს
ძღლავ საკეთილოდ შეგიცვლის იერს.

„ — თუმც მართალია, რომ ამ ცოდვილმა
შენ უმიზეზოდ ჩრდილი მოგთინა,
მაგრამ ისიც ხომ მართალი არი —
სასუფეველი გექნება ბინად,
სადაც ცხოვრობენ გმირნი, რომელთაც
ომში ისარმა გულს გაურბინათ. —

„ასე მომთქმელი ფიჩხს აგროვებდა,
წელში მოხრილი, ვით ჩემი მშვილდი.
შეშის ზვინს თანაც წყალს აპკურებდა,
რომ შემდეგ ცეცხლზე დაეწვა შვილი.
ამ დროს სხივებში გამოჩნდა სული
და მშობლებს ესმათ სიტყვები მშვილი:

„ — მე ოქვენი მადლით ცაში მაქვს ბინა,
ჩემთან სუფევას ოქვენც დაიმკვიდრებთ. —
და უცებ სული გაფრინდა მალლა.
მე მუნმა მითხრა: — შენ წახვალ ვიდრე,
გთხოვთ მომკლა ისე, ხელმწიფის შვილო,
როგორც მოჰკალი ჩემი მემკვიდრე.



„— თუმც უნებლიერ წამართვი შვილი მომართვის
რომელიც მყავდა მსხვერპლის შემწირად,
შენ მაინც უნდა პასუხი აგო:
და მწუხარება, განდგომილს მწირად,
რაც შენ მარგუნე, იგივე ჭირი,
აღსასრულის ქამს მოგეგოს წილად! —

„მან ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ
დაანთო დიდი ფოცონი წმინდა.
ზედ დაასვენა პირმშოს ცხედარი,
თვითონაც ცოლით ცეცხლს დაეწინდა
და შვილთან ერთად გადიქცნენ ფერფლად,
მისთვის ლოცვებში გართულნი წინათ.

* *

„მე ეს ამბავი გონებას მირევს,
ვეღარ გაუძლოს განსაცდელს გულმა.
რამას განდევნის ჭმუნვით ვილევი,
იჩინა თავი ძველ ცოდვის წყლულმა —
და დღეს სრულდება ის წყევლა ჩემზე,
რომელიც მაშინ მე მითხრა მუნმა.“

ასე იტყოდა მტირალი მეფე
და სინანული უკრთოდა ხმაში:
„ო, კავზალია, შენ უკვე გძინავს?
ნეტავი რამა, ვარდებით თმაში,
მეფედ ნაკურთხი აქ იდგეს ახლა,
კვლავ ვინატრებდი სიცოცხლეს მაშინ.


„რისთვის დავტანჯე? შესაძლო არი
ულირსი შვილი განდევნოს მამამ,
რისთვისაც შვილი კიცხავს და ცდილობს
მშობელს უქციოს სიცოცხლე შხამად.
მაგრამ მე იგი უფრო მაწუხებს,
რომ საყვედურიც არ უთქვამს რამას.

„ჩემო მეუღლევ, თვალთ მიბნელდება
და მიჩლუნგდება გონება სალი,
მოვიდა ფამი აღსასრულისა,
ვაი, ვერ ვნახო აწ რამა ლალი.
ამოშრა გული და დაჭკნა დარდით,
მზის მხურვალებით ვითარცა ბალი.

„ვინც ელირსება კვლავ ნახოს მისი
ტურფად ელვარე სახის იერი,
კაცი კი არა, ღმერთი იქნება.
ვაჲმე, ჩერდება გული ხმიერი.
ვრძნობათა შორის კავშირი წყდება
და მიღუნდება მკლავი ძლიერი.

„გონებას უკვე თალზი ედება,
და რაც ჩემში და ჩემს გარეთ არი —
ჰქება ყოველი, თანდათანობით,
ზეთამომშრალი, როგორც ლამპარი.
უსაზღვრო სევდას თან მიაქვს ჭანი,
თითქოს იქცევა ლვარით ნაპრალი.

„სადა ხარ, რამა, ჩემო იმედო.
სუმიტრა მოდი, სიკვდილმა დამზრა.
შორს კეიქეი, სახლის შემრცხვენი,
და მოვლენილი ჩემდა საზარად.“ —
ასე გოდებით და მწუხარებით
მოკვდა მოხუცი მეფე დაზარათ.





თავი მეთორმეტე

გავიდა ლამე. ბნელი შეცვალა
დილამ, ბრწყინვალე სხივების ჩქეფით.
გზირნი, მგოსანნი გულმხიარულად
მყის მიეგებნენ ახალ დღეს ქებით.
თანდათანობით აიგსო სივრცე
გამოლვიძებულ ფრინველთა ხმებით.

ეახლნენ მეფეს პირისფარეშნი,
მიართვეს ტკბილი სასმელი დილის,
აგრეთვე წყალი ოქროს თასებით,
რომ მოიშოროს სახეზე ჩრდილი.
მზე ამოვიდა, მაგრამ ხელმწიფე
აღარ იღვიძებს, წევს ფერმიხდილი.

მსახურნი კრძალვით მივიღნენ ახლოს,
ნახეს ხელმწიფე უძრავად მწოლი,
შეკრთნენ, ქარისგან, როგორც ბალახი,


იწყეს ყვირილი შიშით და ძრტოლით..
მათ გლოვის ხმაზე უცებ მოვიდა
ხელმწიფის ორი უმცროსი ცოლი.

შესძახეს ცივად: „ვაი, მეფეო!
იყავი ჩვენი შენ ფუძე მყარი.“
გამოილვიძა კაგზალიამაც,
მის წინ ესვენა უსულოდ ქმარი,
ნახა დამქრალი ცეცხლი მგზნებარე,
ზღვა — დაშრეტილი, მზე — უშუქარი..

მძვდარს მოეხვია და კეიკეის
მიმართა ასე აღსავსემ წყენით:
„ჰა, გაიხარე, ავო, სასტიკო,
გსურს და იმეცე აწ მარტომ ლხენით.
რამა — უდაბნოს, ქმარი — ზეცაში,
ჩემი ვაება არ ითქმის ენით.

„დავრჩი უტომოდ და უპატრონოდ,
შეილმა მწუხარე ველარ დამკოცნოს.
ქმარი-ლა მყავდა, ისიც დავკარგე,
ცხოვრება არ მსურს და ალარც მომწონს.
საყვარელი ქმრის ცხედართან ერთად
ვიქცევი ფერფლად—თავს მივცემ კოცონს.“





ତାତୋ ମେତାମେତୀ

ମଧ୍ୟ ଲାମ୍ବେଶ, ଫାଲୁକ୍ ରାଜାଗରିତଥି ମୁଖ୍ୟ —
 ଭାରାତୀୟ, ମୁଦ୍ରାମ ସିଂହମିଶ୍ର ମନାକ୍ଷେତ୍ର,
 ପ୍ରଥମାନା ଅତ୍ୟ, ପ୍ରଶ୍ନାମ ସିଂହମାରୀ,
 ରାମମ୍ଭେଲସାମ ଶିଶୁତ ପ୍ରେରଣାକୁଳିତାନ ଅନ୍ତରେଲ୍ୟ,
 ଦା ମନୋଗନ୍ଧା ମନ୍ଦ୍ରମୁକ୍ତି ମାମା,
 ଉପ୍ରେଦ୍ଧ ମନ୍ଦ୍ରମୁକ୍ତି ଯୁଝରୀଶା ଦା ନାନ୍ଦଵେଲ୍ୟ.

ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀଙ୍କ ଉନ୍ନତ ପାରାମରିନ ନିଃଶ୍ଵର,
 ପ୍ରଥମମ୍ଭେନ ମେତ୍ରୀଙ୍କ ଶିଶୁତ ପ୍ରାରମ୍ଭା.
 ଦାନ୍ତିମ୍ଭେନ ପ୍ରେକ୍ଷା, ପ୍ରକଳ୍ପିତ ସିମ୍ବରୀ,
 ହିନ୍ଦୁଭେଦ ସିଂହାରମ୍ଭୀ ପରିଚାରିତ ମାରାଦା,
 ମାଗରାମ ପୁରୁଷୀ ମାତି ଲାଲନଦା
 ଶ୍ରୀମହିନ୍ଦେବେଲୀ ରହେବା ପ୍ରାରମ୍ଭା.

ପରିମା ମନ୍ଦିରିଲମା ଦା ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀଙ୍କ
 ପ୍ରାରମ୍ଭା ରାଜିତ ମନୀରିତା ମାନ୍ଦିନ:
 „ନୁହୁ ଗୁରୁତ୍ୱରେବି, କେବଳମୁହୂର୍ତ୍ତିରେ ଶିଶୁତି?
 ଗୁରୁତିକାରୀ: ହିନ୍ଦୁନ ମନ୍ଦିରୀ, ତାମାଶି
 ରାଜିତ ଆମ ମନ୍ଦିରିଲି କପଳାଗିନିର୍ଦ୍ଦେଶୁରାଦ,
 ଅନ ରାଜ ଗୁରୁତ ସେବଦା ତପାଲେବିଶି, କମାଶି?“



მან უპასუხა: „გეტყვი, მიხვდები
ჭმუნვა რად არი დღეს ჩემი წილი —
წუხელ სიზმარში მამა ვიხილე,
იდგა მწვერვალზე ის როგორც მწირი..
მაღლიდან უცებ ტბორში ჩავარდა
უგვირგვინო და ომაგაწეწილი.

„მყის ზეთად იქცა ჭაობის წყალი
და მამაჩემმა ის პეშვით შესვა,
შემდეგ ღიმილით შიგ ჩაიძირა.
კვლავ ვნახე მამა — ტანთ წითლად ეცვა,
და ვირებშებმულ ეტლზე, უეცრად,
საზარმა ქალმა სიცილით შესვა.

„ეტლი დაიძრა და წაიყვანა
სამხრეთისაკენ კაცი მთავარი.
მე მეშინია მამა არ მოკვდეს
და არ შეგვემთხვეს ჭირი მრავალი,
რადგან თუ ვინმე სიზმრად გვეზმანა
ვირებშებმული ეტლით მავალი,

„მის კოცონის ბოლს ვიხილავთ მალე,
აბიტომ მტანჯავს მე ეს სიზმარი,
და თქვენი მღერა, თქვენი ლალობა
რა ვქნა, რომ უცხო დღეს ჩემთვის არი...
ავ წინათგრძნობამ შემიკრა ბაგე,
დამიხშო სევდით სიამის კარი.“

ამ დროს მოვიდნენ კეიკეისგან
გამოგზავნილი ელჩი კარადა.
მგზავრობით დაღლილთ, მოსვლისთანავე
მათ მოუთმენლად ჰქითხავს ფარატა:
„როგორ ბრძანდება მეფე დაზარათ?
მხიარულია რამა მარადა?“

„ლაქშმიანა რას იქს? ან დედაჩემი
როგორა ცხოვრობს, რას მითვლის ნეტავ?“ გრაფიკითია
ელჩებმა ესრეთ მას უპასუხეს:
„ვინც მოიკითხეთ, თამამად ვძედავთ,
ყველანი კარგად იმყოფებიან,
დედათქვენი კი, რადგან ვერ გხედავთ

„მოწყენილია, სჯობს ნახოთ მყისვე,
გულით ვეღარ ძლებს უთქვენოდ, მარტოდ.“
„დღესვე წამოვალ!“ — ბრძანა ფარატამ
და პაპის კარი შეაღო ფართოდ,
უთხრა: „დედაჩემს სურს შინ დავბრუნდე
და რომ წავიდე, გთხოვთ, ნება დამრთოთ.“

კეპალების მეფემ ფარატა
დაკოცნა, მის წინ, ვით ალვა რგული,
და უპასუხა: „წადი, არ გიჭერ,
ხარ კეიკეის შვილი ერთგული,
დედას და მამას თაყვანი ეცი
და მომიკითხე ორთავე, გულით.“

წასვლისას მეფემ შვილიშვილს უძღვნა
ბეწვეულობა ახალთახლები,
მატყლის საბნები ფერადოვანი,
და სპილოები დიდნი, მაღლები,
ასი ტაიჭი, მრავალი ვირი
და შინაური ავი ძალები.

მაგრამ ფარატა იყო მოწყენით,
მამაზე დარდით გულჩაკეტილი.
ვერც კი შენიშნა, ფიქრში წასულმა,
ძვირფასი ძლვენი უხვი, კეთილი.
ის ისწრაფოდა მხოლოდ შინისკენ
და იდგა ეტლზე გამოჭვეთილი.



მეშვიდე დღეზე გამოჩნდა შორით
აიოდია, დიდი ქალაქი.
ფარატამ მყისვე მეეტლეს უთხრა:
„ვხედავ თეთრ სახლებს, მსგავსი ოლაგი
არა მგონია სხვა იყოს კიდევ,
მაგრამ რატომ სდუმს ტურფა და ლალი?

„წინათ ხმაური იდგა ქალაქში,
დღეს კი ცრემლშია თითქოს ნაცური.
ვით უწინ, ახლა ქალაქის კართან
არ ჩანს ეტლთა და მგზავრთა ფაცური.
ბალები, საღაც ლხინობდნენ მუდამ,
მოწყენილია და უკაცური.

„არ მესმის დაფის და ფანდურის ხმა,
რაღაც მომხდარა აქ საოცარი.
გული შიშით კრთის და სული შფოთავს,
მუდამ სვიანი არავინ არი.
უბედურებით იტანჯვის მეფეც,
როგორც ღარიბი თვის ქოხში მჯდარი.“

იგი ქალაქში როცა შევიდა
წამოიძახა უფრო მღელვარედ:
„როგორ მწუხარე არი ყოველი,
ნისლი ეხვევა კოშკთა მწვერვალებს.
ყნოსვას არ ატკბობს სურნელებანი,
გამქრალა ვარდის ფერი ელვარე.
“

„სადღაა ხალხი პირმოცინარი,
ცარიელია ქუჩა, ბაზარი.
შეუწყვეტიათ მსხვერპლის შეწირვა,
დახურულია ყველა ტაძარი.
აქ არსად ყრია დღეს თეთრი ბრინჯი,
ო, გულს მიკუმშავს ფიქრი საზარი.“

ფარატა დარბაზს სწრაფად მივიღა
 და დედას თავი დაუკრა მდაბლად.
 შვილს კეიკეიმ შუბლზე აკოცა
 და შეეკითხა, დალვრილი თაფლად:
 „რამდენ ხანს დაცყავ გზაში, ძვირფასო!
 მეტად დალლილი იქნები, ალბათ!

„როგორა ცხოვრობს ნეტავი მამა?
 ან ბიძაშენი უდაჭიტ ქველი?
 ხომ კარგად იყავ შორ ქვეყანაში?
 დიდიხანია გიცდი და გელი!“
 მან უპასუხა: „ექვს დღეს ვიმგზავრე,
 გზა გრძელი იყო, ნაღველის მგვრელი.

„სვიანი მეფე და უდაჭიტიც
 იმყოფებიან ორთავე კარგად.
 შინ წამოსვლისას მეფემ მრავალი
 ძვირფასი ნივთი ამკიდა ბარგად,
 მაგრამ ყოველი გზაში დავტოვე,
 რომ ზედმეტი დრო არ დამექარგა

„და სახლში ჩქარა მოვსულიყავი.
 ახლა კი, დედა, შენ მიპასუხე:
 სად არი მეფე? აქ ხშირად იყო,
 აქ იშორებდა დარდის მარწუხებს.
 იქნება არი კავზალიასთან?
 უნახველობა მისი მაწუხებს.“

თქვა კეიკეიმ: „მამაშენს ბოლოს
 ხვდა ქვეყნად ყველა სულდგმულის ხვედრი“.—
 დედის სიტყვებზე, ხელმწიფის შვილი,
 მოხუცი მამის ბედს მინახვედრი,—
 მყისვე მიწაზე დაეცა პირქვე,
 გულიდან ოხვრა აღმოხდა მკვეთრი.

დედამ შეჰქივლა: „ადექ, ფარატა!

შენი ქცევაა გასაკვირველი.

მან შეასრულა თავისი ვალი,

იყო გულუხვი, მსხვერპლის მწირველი,

ჰქონდა დაცული მტრისგან სამეფო,

რა გაქვს საღარდო და სატირელი?“

მაგრამ ფარატა ისევ კვნესოდა,

თვალებზე ცრემლი ეკიდა ნამად.

ბოლოს წამოდგა და ოქვა მწუხარედ:

„მოვისწრაფოდი — ვნახავდი მამას,

მეგონა, დიდის ზეიმით, ლხინით,

იგი ხელმწიფედ დასვამდა რამას.

„ნაცვლად რა ვნახე? მოხუცი მამა

აღარ დამიხვდა მოსულს ცოცხალი.

მითხარი მაინც — რა სენით მოკვდა?

ვინ მიაწოდა მწყურვალეს წყალი?

ან რას ამბობდა უკანასკნელ ჟამს,

ვინ დაუხუჭა მომაკვდავს თვალი?“

კვიპეიმ თქვა: „როცა კვდებოდა,

ასე ამბობდა იგი მეფურებ:

ნეტავი იმას, ვინაც ოდესმე

რამას, ლაქშმანას, ჩემგან ვნებულებს,

და სიტას, ჩემს რძალს, კვლავ დაინახავს

თვის სამშობლოში დაბრუნებულებს!“

შიშით ფარატამ იყვირა უცებ:

„სად არი რამა, ნაკურთხი ციდან,

ან მისი ცოლი, ანდა ლაქშმანა?“

კვიპეი კი კვლავ სიტყვებს ცრიდა:

„მეფემ განდევნა რამა, მას ტყეში

გაპყვა ლაქშმანა და თანაც სიტა.“

ზარდაცემული ფარატა ამბობს:
„იმან, რომელსაც არ ჰყავდა ტოლი,
ნუთუ სამეფო სახლი შებლალა?
დაჩაგრა სუსტი, ჰყო შენაძრწოლი?
ნუთუ ბრამანებს ჭართვა რამე,
ან შეურაცხვეყო მან სხვისი ცოლი?“

„რისთვის და რატომ, ვით კაცისმქულელი,
ის განიღევნა დანდაკას ტყეში?“
შვილს კეიძეი ეტყვის უტიფრად,
როგორ ჩაგდო რამა საფრთხეში:
„უბრალო არი შენი ძმა, ცუდი
არც უფიქრია მას თავის დღეში.“

„მე მოვითხოვე — მეფე დაზარათს
სამეფო შენთვის გადმოელოცა
რამა კი ტყეში განდევნილიყო.
რად სწუხარ, შვილო, რატომ გეოცა?
გამხიარულდი და სძლიე სევდას,
აიოდია ტახტით მოგეცა.“

მაგრამ ფარატამ რისხვით შესძახა:
„წყეულიმც იყოს აწ შენი კვალი!
შენ დაივიწყე, აღსავსემ შურით,
კეთილი ცოლის და დედის ვალი.
რა გიყო რამამ, რატომ განდევნე?
რა გიყო მეფემ, რისთვის მოჰკალი?“

„ჯოჯოხეთს ჩადი, იქ გქონდეს ბინა,
შენ შემარცხვინე, მომჰერი თავი.
აძიერილან, შენი წყალობით,
ხალხს ვეღარ უნდა ვენახვო თვალით.
დედა კი არა — მტერი ხარ ჩემი,
პატივმოყვარე, გულქვა და ავი!“

„ნუთუ გგონია, ბედითო მკვლელო,
ბრძენ ასვაპატის იყო ასული?

შენ — რაქშასი ხარ, მოხუცსა დედას
წაართვი შვილი, სიკეთით სრული.


შეკულიმც იყავ, რადგან მზაკვრობით
შენ ამოხადე მამაჩემს სული!

„ღმერთების რისხვა და ხალხის ზიზღი
დაიმსახურე ბოროტი გულით.

გინდ ჩამოიხრჩე თავი საბელით
გინდ იყავ ტყეში გადაკარგული,
გინდა იქეცი ფერფლად კოცონზე,
ხსნას ვერსად ჰპოებ, იქნები კრული!“

ესრედ მძვინვარე, ვით სპილო ტყეში
შხამიან ისრით მძიმედ დაჭრილი,
როგორც რომ გველი გაავებული
სივილით მალლა კისერ-აჩრილი, —
ხელმწიფის შვილი დედას ჰქიცხავდა,
პოლოს დაეცა ძირს, ვით აჩრდილი.





თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ვ

აშასობაში დარბაზს შემოკრბა
რჩეული ხალხი, მრავალი სეფე.
სუმანტრამ წყნარად უთხრა ფარატას:
„შამაზე ტკბილი ჩვენ გვყავდა მეფე,
მაგრამ ის ახლა ზეცაში არი,
რამა ტყეშია, შუქმოიეფე.

„ტახტის მემკვიდრედ შენ დარჩი მხოლოდ
ხელმწიფის შვილო, ქველო ფარატა,
გთხოვთ ჩაიბარო დღეს სახელმწიფო,
იმეფე ჩვენზე მამის დარადა,
რათა არ მოხდეს არეულობა,
ქცეუნად წესრიგი იყოს მარადა.

„სადაც ქვეყანას არ ჰყავს მმართველი, —
იქ მიწას მუდამ გვალვა ახურებს,
ლრუბლის და წვიმის დიდი მეუფე
დამჭერარ ჯეჯილებს ცვარს არ ასხურებს.
იქ ყველა შვილი მამის ურჩია,
ცოლი თავის ქმარს აღარ მსახურებს.

„სადაც ქვეყანას არ ჰყავს მმართველი, —
იქ არვინ არი ტაძრის ამგები.
არავინაა, რომ გააშენოს
ხეივნები და ტურფა ბალები.
არავინაა, რომ გაახაროს
მსხვერპლის შეწირვით ზეცის თაღები:

„და იქ არაა ლხინი, თამაში,
სიმხიარულე გამქრალი არი.
ტკბილად ლექსების მთქმელის გარშემო
არ იქრიბება მსმენელთა ჭარი,
ხეივნებს შორის აღარ გაისმის
ფილოსოფოსთა ქვლავ საუბარი.

„სადაც ქვეყანას არ ჰყავს მმართველი, —
დახურულია ბალების კარი
და შიგ ქალწულნი ალრ დადიან,
არც ასეირნებს ცოლს ეტლით ქმარი,
ეჟვნებს საამოდ ბებერ სპილოსაც
არ უჟღარუნებს ქუჩებში ჭარი.

„სადაც ქვეყანას არ ჰყავს მმართველი, —
მწყემსი მთაში და მუშაკი ბარის
ვერ დაიძინებს მოსვენებულად.
ვერ დადის შიშით იქ სოვდაგარიც.
მონი, რომელიც ტყეში ლოცულობს,
ისიც კი ასეთ ქვეყნიდან გარბის.

„სადაც ქვეყანას არ ჰყავს მმართველი, —
ალარ ვარჯიშობს იქ მშვილდოსანი,
გულადი ჭარი არ იცავს საზღვრებს,
მტრისკენ ისარი არ ჰქრის ფრთოსანი.
ვით ფარას მწყემსი, ხამს ქვეყანასაც
მართავდეს ბრძენი გვირგვინოსანი.



„სადაც ქვეყანას არ ჰყავს მმართველი, ფრთხოები
სხვისია კაცის ნაამაგარი,
იქ ძმა ძმასა სჭამს, როგორც თევზი თევზი,
ხოლო უფლება მტკიცე, მაგარი
თვით აგაზაგსაც გასტეხავს შიშით,
იქნება მის წინ ქელმონახარი.

„ვითარცა თვალი ტანს და გონებას,
მეცე მიუძღვის სიმართლეს დიალს,
და ზრუნავს მუდამ თავის ქვეყნისთვის.
რომ არ ფანტავდნენ მმართველნი წყვდიადს
მაშინ მიწაზე ვერ იხილავდა
აღამიანი მზიურ განთიადს.

„აშიტომ, ქველო, მიიღე ტახტი,
ქვეყნად მშვიდობა არსებობს ვიდრე-
ის მამამ და ძმამ გიბოძეს ნებით
და უყოყმანოდ დღეს დაიმკვიდრე.
ჩრდილო-სამხრეთით, აღმოსავლეთით
და დასავლეთით მოაქვთ სიმდიდრე.

„და გიცხადებენ სრულ მორჩილებას.
უკვე შემოკრბა ყველა რჩეული,
ელიან შენსა მეფედ კურთხევას,
ვითა წესია ძველი, ჩვეული.
იყავ თანახმა, მთელი ხალხისგან
შენ ხარ ხელმწიფედ დღეს მიჩნეული!“

ფარატამ ესრეთ უთხრა სუმანტრას:
„არ მსურს მეფობა და მეფის ვალი.
არ შემიძლია მივიღო ტახტი,
ვერ ვივლი დედის ცბიერი კვალით.
ძმების და სიტას ტყეში განდევნა
მც არ ვიცოდი, არც მაძევს ბრალი!

„ის უღირსია, ვისიც არ არი
წეგნების სწავლა შემამკობელი.
ვისაც ღმერთების არ ეშინია,
არ უყვარს გულით თავის მშობელი.
ის უღირსია, რომელიც ბრძენთა
დიად აზრების არი მგმობელი.

„უღირსი არი კაცი, რომელიც
დააფრთხობს ძროხას წყნარად მძინარეს.
უღირსი არი მეფე, რომელიც
არ იცავს თვის ერს, პირით მცინარე,
თან შემოსავლის მეექვესედს ართმევს,
ირგვლივ აჩქეფებს ცრემლთა მდინარეს.

„უღირსი არი ივი, რომელიც
სხვის საცხოვრებელს უკიდებს ხანძარს.
რომელიც ჭაში საწამლავს ჩაყრის,
ვინც ავხორცობას ეძლევა საზარს,
გასცემს მეგობრის იდუმალ ფიქრებს
და გაჭირვებულს გვერდს უვლის განზრახ.

„უღირსი არი, რომელმაც ბრამანს
არ შეუსრულა მყის დანაპირი.
ვინაც გაიქცა ბრძოლის ველიდან,
მეგობარს მზაკვრულ უშალა პირი.
რომელიც ცრუა, მიუნდობელი,
არც იცის წესი, მისი ნაპირი.


„მაგრამ ამაზე საზიზლარია,
რომელსაც რამას განდევნა გულით
არ ენანება და უხარია.
ის კაცთა შორის ხამს იყოს კრული.
უდაბურ ტყეში დაწანწალებდეს,
ენატრებოდეს ბინა და რული.


„ଗାନ୍ଧିରଙ୍ଗେବୁଲ୍ଲା ଓ ଉତ୍ତରିସ୍ତମନୀ
ସାମନ୍ଦରାଜ ମାଦାପ ଠାର୍ମିନ ହାତପ୍ରାସ.
ଗ୍ରେଟ କ୍ଷମଗଲ୍ଲ ଖୁବତି ଓ ନୀଯଗାର୍ମୁଲ୍ଲା,
ଫାଫରଫାମିଲ୍ଲ ଅଳାର ଶ୍ରେଷ୍ଠଗଲ୍ଲ ଓ ପାତ୍ରା.
ମନ୍ଦିରପ୍ରଦେଶ ତାନ୍ତ୍ରିକାଶି ଓ ମିଳିଲ କ୍ଷେତ୍ରାଳ୍ଲା
ନୂ ଏଲିନ୍ଦରିଶେବା କରିବନ୍ତେ ଲାଭିବା!“

ମେରମ୍ଭ ଉତ୍ତରାତ୍ମା କ୍ଷାଲକ୍ଷ୍ମୀ ଚିନ ପାର୍ଶ୍ଵଦିଗ୍ବା
ଓ ତଜ୍ଜ୍ଵା: „ରୋଦେଶାପ ମନ୍ଦିରପ୍ରଦେଶ ମାମା,
ଚିନ୍ଦିତ ବିନନ୍ଦିନା ତାକତୀର ମେମଦିନିର୍ଦ୍ଦର୍ଶ.
ତଜ୍ଜ୍ଵାନ ଶ୍ରେଷ୍ଠପ୍ରଦେଶି, ଗ୍ରେଟ୍ ପାତ୍ରା
ତୁ ଅମାରକ୍ଷେତ୍ରପ୍ରଦେଶ ଫଳେ ମେ କ୍ଷେତ୍ରମିତ୍ତିପ୍ରଦେଶ,
ମେତୁବନ୍ଦିଲ ମନ୍ଦିରପ୍ରଦେଶ ଲିନ୍ଦିନା ରାମା.

„ଶ୍ରେଷ୍ଠପ୍ରଦେଶ କୁରାଣ ଓ ଗାନ୍ଧିଶୁରନତ
ଲାମାସତାନ, ତ୍ୟାମି, ମନ୍ତ୍ରେଲୀ ଅମାଲିତ,
ଓ ଦାଵୁଦ୍ରାନ୍ତିନତ ବିଗି ସାମ୍ରାଜ୍ୟକ୍ଷେତ୍ର,
ବିତ କ୍ଷେତ୍ରାଳ୍ଲ ପ୍ରେପକ୍ଷି ଗାନ୍ଧାନାମାଲି.
ଶିଥା ଗାନ୍ଧାରିନାର୍ଜି, କ୍ଷେତ୍ରବିନ ମନ୍ଦିରକ,
ଏବଂ ଏଗଦିଲ ପ୍ରଶାଦ କ୍ଷେତ୍ରି ନାତାମାଲିପି. —

„ଏ ଗନ୍ଧିତ କ୍ଷାଲକ୍ଷ୍ମୀ ଶୁନିବା ଦାବରନ୍ତିନିଦେଶ
ମାମିବି ରାମା ମେତୁବନ୍ଦି ବେରିତ.<“
କ୍ଷାଲକ୍ଷ୍ମୀ ବ୍ୟାପିରା: „ଦାବରନ୍ତିନିଶ୍ଵାଲିନ,
ବ୍ୟାପି ମାରାଜ ସବେବେଦନିର୍ବିରି,
ରାଜଗାନାପ ଗିନିବା ସାମାରତଲିବାନାଜ
କ୍ଷେତ୍ରମିତ୍ତିପ୍ରଦେଶ ବ୍ୟାପି ରାମା କଲିନିରି!“





თავი მეთხუთმეტე

მთასა და ბარში დიღხანს მგზავრობით
დაღლილნი ისხდნენ სიტა და რამა.
მოდგა ლაქშმანა ნანადირევით,
მწვანე ბალახი სისხლმა დანამა.
ძმებმა ნაწილი ღმერთებს შესწირეს,
მერმე თვითონაც დაიწყეს ჭამა.

ამ დროს შორიდან გამოჩნდა მტვერი,
როგორც ღრუბელი, ნიალვრის მღვრელი.
მოულოდნელად გაისმა ირგვლივ
ზათქი, ხმაური, შიშისა მგვრელი.
ხმაურზე ხევში ვეფხს გაეღვიძა,
ვველებმა მყისვე მონახეს ხვრელი.

დაფრთხენ ფრინველნი, ცაში აფრინდნენ გარემოს უძინებელი
ნადირთ ჭოგები, ყოველი მხრიდან გარბიან, თითქოს ტყეს ცეცხლი ნოქავდეს,
ზანტი კამეჩიც თავს გვერდზე ხრიდა.
ლომმა ღმუილით დასტოვა ქვაბი
და ჩამოცოცდა ძირს დათვი ხიდან.

რამას რა ესმა შფოთი, ხმაური
ლაქშმანას ჰკითხა: „ნეტავ რა არი?
მცხისებური რა ჭექა ისმის?
ტყე რატომ ბორგავს მშვიდი, მძინარი?
იქნებ დაფეთდა სპილოების ხრო,
ან კამეჩების ჭოგი მძვინვარი.

„იქნება ირმებს მიერეკება
ლომი, თვალთაგან ცეცხლის მთოველი?
იქნებ მოვიდა ვინმე მთავარი
აქ სანადიროდ, ბედზე მგლოველი?
ფრინველნი შიშით რარიგ ჰკივიან!
ნახე, რას ნიშნავს ესე ყოველი?!“

ლაქშმანა მყისვე ავიდა ხეზე.
რა მიმოავლო მიდამოს თვალი,
მაშინვე რამას ძირს ჩამოსძახა:
„ცეცხლი დააქრე, არ ჩანდეს კვალი,
სიტა დამალე გამოქვაბულში
და შემოირტყი სასწრაფოდ ხმალი!

„ჩრდილოეთიდან მოდის ლაშქარი
უწყვეტად, როგორც ტალღაზე ტალღა.
ზოგი ცხენზე ზის, სხვა ქვეითად ჩანს,
და ფრიალებენ დროშები მაღლა.
ეტლებს მოსდევენ ბრგე სპილოები,
ჭარს არ ეტყობა მგზავრობით დაღლა.“

რამამ ძმას ჰქითხა: „ვერ შეამჩნიე
ვისი ჯარია ესდენ ურიცხვი?“
ლაქშმანა ყვირის: „ფარატა მოდის!
ბოროტ განზრახვით ლაშქარს მოუძღვის;
ალბათ, ჰგონია დაგვხოცს და შემდეგ
უფრო უშიშრად იმეფებს ურცხვი.

„იმის დროშაზე, დიდად დახატულს,
ვხედავ კოვიდარს. ვერაგი მტერი! -
ახლა სად წავა? ბევრ ჭირს წაგვებიდა.
გადაგვაყარა ძმებს თავზე მტვერი.
მან შენ წაგართვა ტახტი, სამეფო,
მადლად ჩამითვლის მის მოკვლას ერი.

„როგორც სპილოსგან მოთხრილი მუხა
ის დაეცემა ამ ჩემი ხელით!
მაშ, კეიკეი! ძრწოდე, ცბიერო,
აფრქვეუ შენს შვილს ცრემლები ცხელი.
გაგთელს შენივე მეგობრების ბრძო,
გელის სიკვდილი სწრაფი, ფიცხელი!


„უწმინდეს მიწას გავწმინდავ თქვენგან,
დღესვე თქვენს ლაშქარს შევმუსრავ რისხვით,
როგორც გამხმარ ფიჩხს მგზნებარე ცეცხლი-
დავღვრი მთა-ბარად მტრების სისხლს ისრით
და ტყის ნადირებს მივცემ საჭმელად
გულგანგმირულებს, უთვალავს რიცხვით!“


რამამ მიუგო ძმას დამშვიდებით:
„რად მინდა ვიყო ხმლით შეჭურვილი,
თუკი ძმა მოდის ჩემს სანახავად?
იქნება ფიქრობ, ტახტის სურვილი
ჩემივე ქვეყნის საკეთილდღეოდ,
მე ალმაგზნებდა შურის წყურვილით?!“



„მე უარვყოფდი თვით ღმერთების ტახტს, რომელიც
თუ ბოროტება მეხვევა ირგვლივ.
რა გაწყენინა ძმას ძმამ ისეთი,
რომ მის სახელსაც იგონებ გრგვინვით?
იქნება თვითონ გინდა მეფობა?
ვეტყვი ფარატას — დაგითმობს გვირგვინს.“

რამას სიტყვებზე ლაქშმანას შერცხვა
და თქვა: „იქნება შორეულ მხრიდან
შენს სანახავად მობრძანდა მამა?“
ძირს ჩამოვიდა მაშინვე ხილან,
და ხელდაკრეფით ძმის გვერდით დადგა,
თან ნირწამხდარი თავს დაბლა ხრიდა.





თავი მეთექვს მეტა

როგორც ტალღები მღელვარე ზღვისა,
უკან მოსდევდა ჯარი ფარატას,
და ვით ავდრის ჟამს კამარას ცისას,
მოეფინება ღრუბლები ფარად,
ესრედ მხედრობის ცხენი და სპილო
მჭიდრო მწყრივებით მიწას ფარავდა.

სუმანტრა დაღლილ ცხენებს მორეკავს,
ეტყვის მეეტლეს ფარატა წყნარი:
„აი, ლამაზი ჩიტრაკუთის მთა,
და მანდაკინი — ვერცხლებ მდინარი.
თანდათანობით ტყე შავი ხდება,
როგორც წვიმის წინ ღრუბლების ჯარი.

„და ქვეშ, მინდორზე, წვეთების ნაცვლად გარემონტის
მისაგან ცვივა ტურფა გარდები.
თვალწარმტაცია ეს არემარე,
გაგიქარვდება მნახველს დარდები,
იქნებ აქ ცხოვრობს მამაცი რამა?
ნახონ, წავიღნენ კაცნი მარდები.“

მყისვე მზვერავნი შევიღნენ ტყეში,
რა შეამჩნიეს კვამლი, თამამად
მობრუნდნენ და ოქვეს: „სადაც ცეცხლია,
იქ კაციცაა: აქ ცხოვრობს რამა!“
ფარატამ ბრძანა: „შეჩერდეს ჭარი,
წავალ სუმანტრას მარტო ამარა!“

გაპყვა ფარატას სუმანტრა იქით,
სად ბოლი იყო ცალ ანახარი.
როს ქედზე შედგნენ, უცებ გამოჩნდა
ძირს ნაკვერცხლები ზვინებრ ნაყარი.
ვით მეზღვაური, ცურვით დაღლილი,
ნაპირის ხილვით გულგანახარი,

იყვირებს: „მიწა!“ — ესრედ ფარატამ
წამოიძახა: „რამა აქ არი!“
და ქველი რამა, გმირ ლაქშმანათი,
წინ სუმანტრათი ფარატა მდგარი, —
ერთმანეთს შეხვდნენ, ვით მზე სუკრათი
და ვერპასპატით მოვარე მშუქარი.

ფარატა მდაბლად რამას წინ დადრკა,
ხოლო ძმას შუბლზე აკოცა რამაშ
და მერმე ჰკითხა შემკრთალი გულით:
„როგორ ბრძანდება მოხუცი მამა?
შენს წამოსვლისას თავს როგორ გრძნობდა?“
ფარატამ უთხრა: „ცრემლების ნამად

„ის იღვრებოდა შენზე მწუხარე,
 ამ მწუხარებით დალია სული!
 უკანასკნელ ყამს შენ გიგონებდა
 სევდით და დარდით გულგაბასრული!“
 ლაქშმანასა და ცოლს ეტყვის რამა,
 ჭმუნვარებისგან ფერგადასული:

„სიტავ, ალარ გყავს აწ მამამთილი,
 და შენ, ლაქშმანავ, მამა ხნიერი,—
 გვამცნო ფარატამ ცუდი ამბავი.“
 სიტას ეცვალა სახის იერი,
 ხოლო ლაქშმანამ დაიწყო გლოვა,
 აღმოხდა კვნესა, ოხვრა ძლიერი.

როცა იხილა მათი ვაება
 რამამ, ნუგეშად ესრედ თქვა განგებ:
 „ძე სულიერი ამ ქვეყანაზე
 თავის სიცოცხლეს თვით ვერ განაგებს.
 გულცივი ბედი უჩინარ ხელით
 კაცის ცხოვრებას ანგრევს, ხან აგებს.

„ვერვინ მიაღწევს დაუბრკოლებლად
 დასახულ მიზანს, შორიდან სანდოს.
 დიდია ჩვენი უბედურება,
 მაგრამ ხამს ვძლიოთ სისუსტეს სათნოს.
 რაც მოგროვილი არი, ისევე
 უნდა განიბნეს და განიფანტოს.

„ამაღლებული უნდა დადაბლდეს,
 შეერთებული კვლავ გაიყაროს.
 ყველა სულდგმული, წესია, ბოლოს
 მოკვდეს, მოშორდეს ტომს და სამყაროს.
 ვით ხის ნაყოფი, ადამიანიც
 უახლოვდება სიკვდილის ხაროს.

„ან როგორც სახლი, მკვიდრად ნაგები,
ბოლოს ინგრევა დროით ძლეული,
ამგვარად კაციც ეცემა, კვდება
სიბერისაგან სუსტი, სნეული.
დღე-დღეზე მიდის, ქრება სიცოცხლე,
ვით მზეზე ნამი ორთქლად ქცეული.

„მარადისობას მიესწრაფება
არსებობის დრო, ვით ზღვას მდინარე.
ყველა ჩვენთაგანს სიკვდილი ახლავს
მაშინაც, როცა ვართ პირმცინარე,
და გვიმოკლდება გზა ცხოვრებისა
მაშინაც, როს ვართ ტკბილად მძინარე.

„როცა ჭალარა თმას გაერევა
და ნაოჭები დაფარცხავს სახეს,
ვის შეუძლია სიბერის გამო
იყოს ჩაუქი, გაექცეს მახეს?
ქნბის უძლვნიან დღის გათენებას,
და უხარიათ, მთვარე თუ ნახეს.

„არც კი ფიქრობენ, ამასობაში
თუ როგორ შრება სიცოცხლის წყარო.
შვებით ხვდებიან ტურფა გაზაფხულს,
თავს არიდებენ ფიქრს სამწუხაროს,
და ვერ ამჩნევენ უამთა მოქცევით
როგორ შორდება კაცი სამყაროს.

„ზღვაში ორ ნაფოტს, ერთად რომ ცურვენ,
გასთიშავს უცებ ტალღა მოსული.
ამდაგვარია ხვედრი ყოველთა,
ვინც მოყვასებით არი მოცული:
დღეს ცოლთანაა, შვილი ახარებს,
მარტოობაში ხვალ ხდება სული.

„როგორც ქარავანს უკან მიმყოლი
ვერ ასცილდება ქარავნის ხუნდებს,
ადამიანიც გვერდს ვერ აუვლის
მამა-პაპათა ხვედრსა და ზღუდეს.
მაშ, რაც აღსრულდა, მას ნუღარ ვწუხვართ.
სჯობს განვერიდოთ ვარამის ბუდეს.

„ვინ დაიბრუნებს კვლავ წარსულ დღეებს?
არ იმდინარებს აღმა მდინარე,
შევიანი არი ვინც საქმეს არ სდებს,
მყისვე აკეთებს და არ მძინარებს.
მამამან ჩვენმან გზა ცხოვრებისა
ღირსებით განვლო, პირით მცინარებ.

„ის ხალხს იცავდა და მფარველობდა,
დალხინებული ჰყავდა მთხოველიც.
მსხვერპლს სასოებით სწირავდა ღმერთებს,
ქვეყნად სიკეთე ჰქონდა ყოველი.
ახლა დატოვა უძლური გვამი,
იპოვა ბინა შუქთა მთოველი.

„მაშ, რად ვიტიროთ? ვინც ბრძენი არი
ღმერთების რწმენა აქვს დაუმცხალი,
იგი მათ ნებას ემორჩილება.
ნუ გოლებთ! ბედზე ნუღარ ხართ მწყრალი!
მყის მანდაკინის პირას ჩავიდეთ,
მამის საოხად ვაპკუროთ წყალი!“

და მანდაკინზე ჩავიდნენ სწრაფად,
ტურფა ნაპირი წყალს დაენამა,
ჰყვაოდა არე, ტყით დაფარული,
მეფის ძეთ მამა კვლავ დაენანათ.
პეშვებით წყალი მიმოაპკურეს
და ოქვეს: „ვასხურებთ წყალს შენთვის, მამავ!“

როცა მხედრებმა ეს გაიგონეს,
მყისვე ჩამოხტნეს ეტლით და ცხენით
და გაეშურნენ მდინარისაკენ,
სიღანაც ესმათ ხმა მონაწყენი.
სურთ ნახონ რამა, რომელიც, თითქოს,
არვის ეხილოს მრავალი წელი.

მისვლისთანავე რამას წინ დადრკნენ,
რამამ მათ მისცა გულით სალაში.
დაჭდა და ძმებიც გვერდით მოუსხდნენ,
ირგვლივ მრჩეველი დადგნენ ამალით.
ჩანდა სამი ძმა, ვით ქურუმთ წრეში
სამი გიზგიზა ცეცხლის ალამი.

დუმდნენ, ხმის დაძრას ვერვინ ბედავდა,
ბოლოს ფარატამ მიმართა რამას:
„გინ შეგედაროს ამ ქვეყანაზე?
უბედურებას ხვდები თამამად.
არც არაოდეს გიამაყნია
ბედნიერებით, ჩვენს შორის მამაცს.

„თუმც ჭაბუკი ხარ, მაგრამ მოხუცებს
სურთ იყონ შენი სიტყვის ანაბრად.
ცოცხლობ და თითქოს სოფლად არ იყო,
ყოფნა, არ ყოფნა — გიჩანს თანაბრად.
მძიმე განსაცდელს იოლად იტან,
გაქვს მუდამ სული სიკეთის აფრად.

„ვგმობ დედაჩემის სურვილს და საქმეს,
რაც მან შეგცოდა, გთხოვ, მე შემინდო.
შეილის ვალი მძევს, თორემ დავსჯიდი,
მაშაჩემს ბრალი დავსდო არ მინდა.
ვით მეფე, როგორც მსხვერპლის მწირველი
და მამა — არი ის ჩემთვის წმინდა.

„შაგრამ მაკვირვებს — კეთილმა მარად
რატომ გყო ესრედ გულგანაკაწრი.
ნუთუ მას სძლია ქალის სურვილმა,
მოგცა ამიტომ სასჯელი მკაცრი?
ალბათ, სწორია ხალხის ოქმულება:
ღრმა სიბერეში გონს კარგავს კაცი.

„ვალდებული ხარ, შვილმა მშობელის
გამოასწორო შეცდომა მწველი.
ტახტი ეკუთვნის უფროს შვილს ჭესით,
ეს წესი არი ჩვენს გვარში ძველი.
და შენ, მთავარო, უპირველესად,
ამ ჩვეულების ხამს იყო მცველი.

„მართე ქვეყანა მამური გულით,
ჩაიცვი, ძმაო, სამეფო ფარჩა.
მამაჩემს, მე და კეიიკეისაც
შეგვინდევ, გულში რაც ნაკად დაგრჩა.
ქშატრიას ტყეში იმ დროს რა გინდა,
როცა სჭირდება ხალხს შენი გარჯა?

„შენ ხომ მზად იყავ მუდამ, ყოველთვის
ქვეყნისთვის შრომა გეტვირთა მძიმე.
რა შეედრება მეფის ღვაწლს, ზრუნვას,
თუ სურს მიიღოს ნაყოფი მწიფე!
დიდო მთავარო, გასწი ქარივით
აიოდიის შენ ხარ ხელმწიფე.

„იქ გელოდება ოთხი წოდება,
და მოიხადე სამივე ვალი.
ნუ დააქვრივებ სამეფო მიწას,
დაატყვე კეთილ მეუღლის კვალი.
ხალხს შენი ნახვა სიამეს მოგვრის,
ამოუშრება სოველი თვალი.



„და მისი დარღი განიფანტება,
ვით მთვარის შუქით ღამისა ჩრდილი.
მეგობრები და კარის მრჩეველნი,
მე — ძმა, შენი ყმა, შენი გაზრდილი,
გთხოვთ — მეფობაზე უარს ნუ იტყვი,
მოგვინე ყველას ნათელი დილის.

* *

„უარს ნუ ეტყვი მრჩეველთ, რომელთაც
დიდ პატივს სცემდა ჩვენი მშობელი.
ნუ გაგვეყრები, ნუ მოგვიშორებ,
ჩვენი სურვილის იყავ მდომელი.“
შემდეგ რამას წინ მიწამდე დადრკა
ფარატა ენა დაუცხრომელი.

რამამ ფარატას ხელი მოჰკვია,
თქვა: „სიტყვაც გიჭრის ისედაც მამაცს,
მომწონს ეგ შენი მჭევრმეტყველება,
გულით პატივსმცემ, ვხედავ, ვით მამას.
მაგრამ სიმართლეს და თვალთმაქცობას
ერთმანეთს ურევ, გაუწყებ ამას.

„შენ ბოროტებაც თვალწინ გესახვის
გაშუქებული სიკეთის კვარით...
ზოგს მშობლებისგან მოსდევს სახელი,
ზოგი ხარისხით რჩეული არი.
მაგრამ თუ კაცი თვითონ არ ვარგა
ფუჭია მისი ხარისხი, გვარი.

„ადამიანი უნდა განვსაჭოთ
მხოლოდ ქცევისა და ღვაწლის დარად—
მე რომ უწმინდურს წმინდანის სახე
მივსცე და იგი ვაქციო ფარალ,
ან ჩემი ცოდვა, — მოვალეობის
შესამოსელით ვატარო მარად, —

სულერთი არი — ბრძნთა კიცხისგან
 ვერ იქნებოდა ტახტი დამცველი.
 ვერც ამაცილოს სამეფო ქოლგამ
 ღმერთების რისხვის ცეცხლი დამწველი.
 ქვეშევრდომთათვის კარგსა და ცუდში
 მცფეა მუდამ წასაბაძველი.

„სიკეთე, მტკიცე პირიანობა
 არს ხელმწიფების ზნეთა კრებული.
 მთელი სამყარო, ვრცელი, უსაზღვრო,
 სიმართლეზეა დამკვიდრებული.
 პირიანობა არი ნამდვილი
 და ერთადერთი მეფე ქებული.

„მხოლოდ მისაგან წარმოდინდება
 ყოველთა შორის მადლი ძლიერი.
 გონიერია ვინც სიტყვას იცავს,
 აქვს შეუცვლელი მუდამ იერი.
 ღმერთებისა და წინაპრებისგან
 მას მიეზღვება მყის მაგიერი.

„რაც დაზარათმა ბრძანა — მოხდება,
 მორჩილი შვილი, ვამაყობ მამით.
 და რაც აღუთქვა მან კეიკეის
 გარდუვალია, ვალს ვიხდი ამით.
 სასუფევლისკენ მამაჩემის გზას
 არ გადავუხვევ არც ერთი წამით.

„მე აქ დავრჩები ტყეში, ვადამდე,
 რათა ასრულდეს სიტყვა მშობელის.
 შენც გმართებს მამის კვალზე იარო,
 მიიღო ტახტი შემამკობელი.
 მენდე, უბრალოს ვერვინ გაგჭიცხავს,
 ნურც თვით იქნები დედის მგმობელი.



„რაც ყრმაზე დედას ღვაწლი მიუძღვის —
შვილმა ვერ უზღოს მას მაგიერი...
იქშვაკუს გვარში წესის დამცველებს
ბოლოს გვექნება სვე ბეღნიერი.
ამ ტყიდან ყავლზე როს დავბრუნდები,
მაშინ დამითმე ტახტი ძლიერი.

„მაშ, გაეშურე აიოდიას,
გვახსოვდეს მამის სიტყვა მჭუხარე:
ადამიანთა მეფედ შენ იყავ,
მე კი ვიუფლებ უკაცურ მხარეს.
შენ ხალხში პპოვე ნუგეში, ძმაო,
მე კი ამ ტყეში ვიყო მწუხარე.

„ყვითელი ქოლგა შუბლს გაგიგრილებს,
მე სიოს მომგვრის ტოტები ციდან.
შენ გვერდს მრჩეველნი გედგომებიან,
მე კი — ლაქშმანა და ნაზი სიტა...
ესრედ, თავ-თავის ხვედრს დავმორჩილდეთ,
დავიცვათ მამის ანდერძი წმინდა.“

ასე ამბობდა მამაცი რამა
და მწუხარებით, ხან სიხარულით,
იჩის ბრძნულ სიტყვებს ისმენდნენ ირგვლივ-
აქებდნენ გულში თან სიყვარულით,
მაგრამ ხმის დაძვრას ვერვინ ბედავდა,
ბოჭავდა ყველას ძალა ფარული.

ბოლოს ბრამანი ჯავალი წარსდგა,
დაიწყო სიტყვა ნელა და გაცრით:
„გაფრთხილდი, რაქუს ჩამომავალო,
მაგ ჭკუით გელის ცხოვრება მკაცრი.
თუმცა მოდგმით ხარ დიდგვაროვანი,
მსჯელობ კი როგორც მდაბიო კაცი.

„სხვას რად დაეძებ? ნეტავ რას გარებს
ან ნათესავი, ან მეგობარი?
კაცი შობილა მარტოდ და ბოლოს
მარტოდვე კვდება ბედის მგმობარი.
მხოლოდ სულელი შესწირავს მშობლებს
ხედრს და იქნება მათი მკობარი.

„მშობლების სახლი — შვილისთვის არი,
გამვლელ მგზავრისთვის, როგორც ქარვასლა-
რა გაიძულებს დათმო სიმდიდრე,
ტყეზე დიდების რატომ გსურს გაცვლა?
როგორც ქმარს ცოლი, ათოლია
გელის, იჩქარე აქედან წასვლა.

„წადი. ვით ინდრას სასუფეველი,
გულს გაგიხარებს მშობელი ერი.
თვითონ განსაჯე — დაზარათ იყო
ვითარცა თესლის მომცემი ღერი.
მხოლოდ სისხლით და ხორცით ეძლევათ
ადამიანებს სიცოცხლის ფერი.

„ვინც იბადება, ის უნდა მოკვდეს,
ყველასთვის ერთი გზა არი ძველი.
მეფე მოხუცდა, მოკვდა. ეს ხედრი
სულაც არაა გულდასაწველი.
ვაი მას, ვინაც მთელი სიცოცხლე
მოვალეობის იყო დამცველი.

„მან ვერ იგემოს სიამე სოფლის,
სიკვდილით გაჰქრეს ქვეყნად ყოველი.
ღმერთებს, წინაპრებს ხშირად მსხვერპლს სწირავს
უბირი კაცი, ცრემლით სოველი.
მაგრამ ფუჭია: ღმერთი, ან მკვდარი
როდის ყოფილა საჭმლის მთხოველი.

„უსარგებლოა ასეთი მსხვერპლი,
უვიცს ამშვიდებს მხოლოდ პირველად.
წიგნებში წერენ: დათრგუნე ხორცი,
იყავ უხვი და მსხვერპლის მწირველად —
ეს ყოველივე ქურუმთა მიერ
მოგონილია გასაკვირველად.

„ამიტომ, ბრძენო, რაც ნამდვილია,
რაც თვალშინ გიდევს, ის მიითვისე,
ხოლო უხილავს ანებე თავი,
სკობს დაუბრუნდე ქვეყანას ისევ.
უარყავ ფუჭი ფიქრი, ოცნება,
ფარატას რჩევა მიიღე მყისვე.“

რამამ ჯავალის მიუგო მკაცრად:
„მიკვირს, ვით იყავ მამის მრჩეველი.
გმობ სიმართლეს და მოვალეობას,
დგთის მორჩილებას შეუჩვეველი.
გულით ურწმუნო, ბრძენის თვალთაგან
იქნები მუდამ შეუმჩნეველი“.

ფარატამ რამას უთხრა: „არაა,
ძმაო, უსჯულო ჩვენი ჯავალი.
ეგრე იმიტომ გვეუბნებოდა,
რომ შინ დაბრუნდე, სხვა გზით მავალი.
დააშოშმინე შენი მოყვასნი,
ისმინე ხალხის ხვეწნა მრავალი.

„გინდა დამითმო ტახტი, სამეფო,
და გაახარო მტერი ცბიერი,
მაგრამ გიბრუნებ შენვე სამეფოს,
მას ამსახურე მქლავი ძლიერი.
ვის შეუძლია წინაპართ ტახტზე
შეგცვალოს, იყოს შენმაგიერი?“

„გის შეუძლია ან შენებრ მართოს
ჩვენი სამეფო ვრცელი, ქებული.
ხალხს გაუწიოს გულით მამობა,
გაფანტოს რისხვით მტრების კრებული?
მე შენს ადგილას დამლეწავს ზრუნვა,
როგორც ხიდს წყალი აღქაფებული.


„ვირს წინ გაუსწრებს მუდამ მერანი,
მერანს — არწივი, ცაში მცურველი.
ასეა, ძმაო, შენი ნაბიჯით
მე ვერ ვიარო, თუმც ვარ მსურველი.
ბედნიერია ქვეყნად ის მეფე,
რომელიც არი ხალხზე მზრუნველი.

„თუმცა მძიმეა იმისი ხვედრი,
ვინც სხვისთვისაა სულ ოფლის მღვრელი.
წალი შენს ხალხთან, ხელმწიფის შვილო!
დიდი გვალვის დროს, ვით მიწის მხვნელი,
მეხის მტყორცნელ ღვთის მადლს ელოდება,
აიოდია შენც ისე გელის.“

რამამ მიუგო: „ძვირფასო ძმაო,
შენც კარგად ძალგიძს სამეფო მართო!
მრჩეველთა წრეში, მეგობართ შორის
შენ არ იქნები არასდროს მარტო.
თუმც მძიმედ გიჩანს, იოლად შესძლებ
განაგო ტახტი, ქვეყანა ფართო.

„მე კი, მთავარო, თუ გინდ მთოვარემ
დაკარგოს შუქი, ბნელი ჩაიცვას,
ჰიმავათიდან გაპქრეს ყინული
და ის მგზნებარე ცეცხლით დაიწვას,
გრძდ ზღვამ წალეკოს მთლად დედამიწა,
ანდერძი მაინც უნდა დავიცვა.“

ဖွားရာတို့မ ဖွံ့ဖြိုးရာတွဲ မရိဘ္ဗာလျှော်း ဒီကိုတော်း
 „တို့ဘို့၊ တာင်းသံမာ နာရတ လာဖ ဗုံးနွား လာမား?“
 ဖွော်လာမ် မျော်စား၊ „ဘို့ဘို့ ဒေါ်တာနံမူးပို့တော်း၊
 လာ ဒေါ် အသာဖွော်နဲ့ ကျော်တွဲ ဂုံးပါး မာမာဖူး。“
 မာရို့ ဖွားရာတို့မ လာမား မိမာရတား
 „လွှာ၊ အာရုံ ဥယျာဉ်၊ မြောက်လွှာ ဂုဏ်ကွဲ အမားး
 „မူမဖူး စာဖိုးနွောတွဲ မျော်း နာမျှော်းပို့း
 ဒေါ်ဖွော် တို့ဘို့ နာကျားများရား。“
 လာမား နာမျှော်းပို့း ဖွားရာတို့း မိမားပြား၊
 တား မူမဖိုးနွေား စာဖိုးဖူး အများရား
 လာ အော်မျွော်းပို့း ဖွော်လွှာ အလျော်စိုး
 လာ ဂားပိုးနွေား ဗုံးကူး လှများရား。“



შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

1 გვ. აიოდიას კოშკ-სასახლეში

ა ი ო დ ი ა — აიოდია — მდ. გ ა ნ გ ი ს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის (კოშალას) ქალაქი (ინდოეთში).

ა ი ო დ ი ა ს თანამედროვე სახელშოდებაა — უ დ ი (Oude ქ. ბენარესის ჩრდილო-დასვლეთით). „რამაიანაში“ ა ი ო დ ი ა ითვლება. მეფე და ზარათ დიდის (იგივე: დასარათ, დაშარათ) საბრძანებლად.

იქვე. დაბრძანდა ტახტზე დაზარათ დიდი.

„რა მა ია ნა ს“ მიხედვით ა ი ო დ ი ა ს მეფე და ზარათ დიდი სამი ცოლი ჰყავს: კავზალია, კეიკე და სუმიტრა. ამათ გარდა, იგი მეპატრონეა დიდი ჰარამხანისა. ამისდა მიუწედავად, იგი ლამის უძროდ გადაეგოს. მეფე ღმერთებს მსხვერპლად ცხენსა სჭირავს და შვილიერებას შესთხოვს. ღმერთები მსხვერპლს შეიჭირავენ, დაზარათის ვედრებას შეიწყნარებენ და მას ეყოლება ოთხი ვაჟი: კავზალისაგან — რა მა („რამაიანას“ მთავარი გმირი), კეიკეისაგან — ფარატა (იგივე ბჲაზარატა) და სუმიტრასაგან — სატრუქნა და ლაქშმანა, რომელიც დიდს ერთგულებას გაუწევს რა მა ს, განდევნილებაში მყოფს.

2 გვ. მეფურ ქოლგის ქვემ.

ყვითელი ქოლგა ინდოეთში მეფის ღირსების ნიშანი იყო (ისე, როგორც, მაგ., სხვაგან სკიპტრა, გვირგვინი და სხვ.). ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მარაოს. შეადარეთ 48 გვ.

რატომ ჩრდილს არ გვენს სამეფო ქოლგა,
და არ გიგრილებს მარაო სახეს?

იქვე. გვირგვინი რამას უფრო შემვენის...

რა მა — მეფე და ზარათ ი ს-ძე და ტახტის კანონიერი მეჭვიდრე, პირველი ცოლისაგან (კავზალიასაგან) შობილი. იგი შემკულია მეფური ზნეობის ყველა ნიშით, რის გამო მოხუცი და არათი განიზრახავს თავის სიცოცხლეშივე გადასცეს ტახტი რა მა ს.

აქცე. ვით ინდრა სულით ის ძლიერია...

ი ნ დ რ ა—ინდური პანთეონის (ლვთაებათა სახლის) ერთი მთა-
ვარი ლვთაებათაგანი. ინდოეთის ლიტერატურის უძველეს ძევლებ-
ში ვედებში (ვედა—ინდურად ცოდნას ნიშნავს) ი ნ დ რ ა დიდის
პატივისცემით იხსენიება. განუწყვეტლივ აქებენ მის გამარჯვებას
დემონ ვ რ ი ტ რ ა ზ ე. ადრინდელ ფეოდალური წყობის დროს, რო-
დესაც ბატონობა ე შ ა ტ რ ი ა თ ა კასტამ (წოდებამ) ივდო ხელთ,
ინდრა-რაინდი და მებრძოლი განასახიერებდა ქმარის (მხედრის)
ყველა ზნეობას. მეფისწული რ ა მ ა, როგორც ამქვეყნიური უცბრო
რაინდი და მებრძოლი, შედარებულია ინდური პანთეონის მებრძოლ
ღვთაება ი ნ დ რ ა ს თ ა ნ. ი ნ დ რ ა ს თ ა ნ მეფის ასეთი შედარებები
„რამაიანაში“ ხშირია, მაგ.

იგი მათ შორის მოჩანდა ისე,
როგორც ღმერთებში ინდრა მჯდომელი.

4 გვ. იხმო სუმანტრა მაშინვე ახლოს...

სუმანტრა მეფე და ზ ა რ ა თ ი ს ერთგული და სანდო მეეტ-
ლეა. კარისკაცთა შორის მეფისათვის „მეეტლე ყველაზე დაახლოე-
ბულ პირად ითვლებოდა. ომის დროს მეფენი ეტლზე მდგომნი იბრ-
ძოდნენ.

იქვე. და მის ნინ მიწას პირი შეახო...

მორჩილების ნიშანს, რომ მეფის ბრძანებას შეასრულებს, სუ-
მანტრა თაყვანის ცემით, დედამიწაზე „პირის შეხებით“ გამოხა-
ტავს, ძველ ინდურ ჩვეულებისამებრ.

5 გვ. ვით კაილაზი ირგვლივ მთათ შორის.

კაილ ა ზ ი—ჰიმალაის (ინდოეთის მთების) უმაღლესი მწვერ-
ვალი.

6 გვ. შენ დამებადე პირველ ცოლისგან
დიდი ღმერთების მსხვერპლის მწირველად.

ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვა ერთ-ერთი ძირითადი ვალი
იყო ძველი ინდოსი. ინდური რწმენით, წინაპართა სულები ზეცას
ვერ ისადგურებდნენ, თუ ქვეყნად მათ მსხვერპლის მწირველი ჩამო-
მავალი არ ეყოლებოდათ.

7 გვ. როგორც ახარებთ ღმერთებს ამრიტა...

ა მ რ ი ტ ა—ღმერთების უკვდავმყოფელი საჭმელია, როგორც
ძველ ბერძნული მითოლოგით ამბროზია—ღმერთების საჭმელი—
მარადი სიჭაბუკისა და უკვდავების მიმნიჭებელი.



8 გვ. ნაზ კერვეის მონა მანთარამ...

მანთარა—ფარატის დედის—კეიკეის მხევლის (მსახურო ქალის) საკუთარი სახელია. ბოროტების განსახიერება—მანთარა ჰუშიანია.

10 გვ. მაგრამ ცხადია, რომ კავშიალიას
დღეს განაცვალებს მეცე ცბიერი.

კავშიალი—დაზარათ მეფის პირმშო შვილის—რამას დედის—
საკუთარი სახელია (იგივე კაუსალი).

იგვე. შენი ფარატა გაგზავნა სხვაგან...

ფარატა—იგივე ბაზარატა—დაზარათ მეფის მეორე (კე-
იკეის სთან ნაყოლ) შვილის საკუთარი სახელია. როდესაც დაზა-
რათ მეფე ტახტის რამასად მი გადაცემა გადაწყვიტა და ქვე-
შევრდომ მთავართაგან ამის დასტური მიღლო, ფარატა აღთდი-
აში არ იყო, იგი კეიკეის სამშობლოში იზრდებოდა.

11 გვ. და მხევალს მისცა ბეჭედი უცხო.

სასიხარულო ამბის პირველ მახარობელს საჩუქრად ქველად, ინ-
დური ჩევვის თანაბად, ბეჭედის მიართმევდნენ ხოლმე. ამ მხრივ სა-
ზურადლებოა „ვეფებისტყაოსნის“ გმირის ტარიელის მიერ ასმათისა-
დმი მირთმეული საჩუქრად ნესტან-დარეჯანის პირველ სამიჯნურო
წერილის მიტანის გამო:

ერთი აიღო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა; (ნახეთ საიუ-
ბილო გამოცემა, 1937 წ., 385 სტროფის მესამე სტრიქონი).

12 გვ. ხეალ მისი პირმო ბრამანთა ხელით
დატდება ტახტე...

ბრამანი, იგივე ბრამანი, უმაღლესი წოდების (ქურუმთა-
კასტის) წევრი. ბრამანი, ინდური რწმენით მიჩნეული იყო ორჯვერ
შობილად. პირველ ხორციელად (ბუნებრივად. დედ-მამისაგან) და მე-
ორედ—სულიერად სულიერ შობას მას ანიჭებდა ვე დების (საღ-
მოო წერილის) შესწავლა. ბრამან კ ნონით (დაბარმით) ევალებოდა
სწავლა და სწავლება, მსხვერპლის შეწირვა თავისა და სხვისთვის, მო-
წყალების გაცემა და შეკრება. მეფეთა ტახტზე დასმის ცერემონიალში
ბრამანები გარკვეულ მონაწილეობას დებულობდნენ.

14 გვ. ..როს აზურებთან

საომრად შეჭკრეს ღმერთებმა პირი...

აზურები, აზურანი, იგივე ასურანი—უძველესი ღმერთები
ვედიშმის—ინდოეთის უძველეს რელიგიური სისტემისა, რომელიც
შემდეგში, ინდოეთის ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების.

დროს, (როდესაც მიწის მოქმედთა კლასს დაუპირდაპირდა „კოტილ-შობილ“ „ქშატრითა—მხედართა“ კლასი), შეცვალა ბრამაშიზმა (9—10 საუკ. ქრისტემდე). უძველესი პერიოდის (გვაროვნული ჭყაბილების) ღმერთები—აზურები—რომლებიც განასახიერებდნენ პირ-ველყოფილ სასოფლო თემს—სასოფლო მეურნეობას და ბუნების სტიქიურ ძალებს, ებრძვიან ღვთაებათა ახალ მოდგმას—დევებს; აზურებს ცვლიან დევები, რომლებიც ახალ მებატონე კლასის ქშატრითა ნიშნებს ატარებენ. ამ დროს ინდური პანთეონის სათავეში ექცევა ი ნ დ რ ა —მებრძოლი ღმერთი, რაინდისა და მხედრის განსაზიქრება. მის გარშემო ჩნდებიან შესაფერისი თანამებრძოლნი—ფეოდალური ბატონის მცველ-მხლებლების მსგავსად.

იქვე. შენი მეუღლე მჩედ იხმო ინდრამ...

ძველსა და ახალ ღმერთთა ბრძოლაში უკანასკნელი მეშვეობად (მწედ) კაცთა მეფებს მიმართავდნენ ხოლმე, ამიტომ არის, რომ „რამაიანას“ მიხედვით, დაზარა ათ მეფე აზურთა წინააღმდეგ ბრძოლაში ი ნ დ რ ა ს ჰშველის. დაზარა ათ ს ი ნ დ რ ა სამხრეთისკენ ჰგავნის.

15. გვ. ამ დროს სამბარა...

სამ ბ ა რ ა აზურთა ქრის მეფეთაგანის საკუთარი სახელია. იგი დასახულია, როგორც ძველი ღმერთების წარმომადგენელი, ბნელის მსახურად და ებრძვის დაზარა ათ ს, რომელიც ქშატრიების ნათელ მფარველთა მხარეზეა.

იქვე. დანდაკას ტყეში, ბნელის მსახური,
იღგა თვის ქალაქ ვაიჭაიანტს.

დან დაკას ტყე—ინდოეთის ნახევარ კუნძულის ერთი ნაწილის (ნერბული ისა და სამხრეთის კონცხს შორის) სახელწოდებაა. ამ ადგილს შემდეგში განიდევნა რა მა. ვა ი ჯა ა ი ა ნ ტ ა —სა მ ბ ა რ ა მეფის საბრძანებელი მდებარეობდა დანდაკას ტყეში.

იქვე. უცებ დაესხნენ თავგზე რაქშასნი.

„ვ ე დ ე ბ ი ს“ მიხედვით რაქშასნი ადამიანთა მავნე, მოჩვენებით არსებებად (დემონებად) ითვლებიან; შემდეგში ისინი წარმოდგენილნი არიან, როგორც კაციჭამია გოლიათები ადამიანთა მდევნელი, ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვის დამშლელნი.

16 გვ. როგორც ზებუ-ხარს გიხდება კუზიც.

ზე ბ უ—მსხვილი რქოსანი საქონელი, რომელსაც ჯიდაოზე კუზია აქვს.

19 გვ. როგორც კინარებს, ჰქონდა ცრემლებით

მას დასეტყვილი წამნამთ ჭეჭილი.

ინდური მითოლოგით კინარები ითვლებიან სიმღილის
ღვთაების ქვეყნის ერთ-ერთ მცყრობელის, კუვერას მხობები
ლებად. კუვერა თავის მხევლებით ცხოვრობს ჰიმალაის კალ-
თებზე მდგარე უმშენეოებეს ქალაქ ალაზი ამ უკანასკნელის აღ-
წერილობა მოცემული აქვს ინდოეთის შესანიშნავ დრამატურგის (V
საუკ. ქრისტეს შემდეგ) კალიდასას, თავის ლირიკულ პოემა
„მაცნე-ღრუბელში“. არსებობს რუსული თარგმანი რიტერისა,
პროფ. ბუხესკულისადმი მიძღვნილ „კრებულში“ (Сборник в честь
проф. Бухескула). განრისხებული კუვერა თავის მხევლებს გან-
დევნის ხოლმე მიწაზე, კაცთა შორის, რის გამო კინარები ტი-
რიანი. მწუხარებით ცრემლის მღვრები კეიკე ი აქ შედარებულია
კინარის სახესთან. კინარი შემდევშიაც მწუხარების განმსახიერებ-
ლად არის წარმოდგენილი „რამაიანაში“ მაგ.

როდესაც სიტა, როგორც კინარი
დაიწყებს წესილს დევნილ რამაზე.

20 გვ. ვინც რაქუს შტოა, მას გეფიცები.

რაქუ—მეფე დაზარათის წინაპარი. რაქუს შტოს (ჩამომავლო-
ბის) გამგრძელებელია რამა, დაზარათის პირმშო.

21 გვ. იყვნენ განზარვნიც მონმედ იმისა,
რასაც მპირდები მეფე მისანი.

განზარვა, იგივე განდაზარვა—დაბალი ღვთაება, პირვე-
ლად (ვედებში) განდპარვები ტყეთა სულებად ითვლებოდნენ, შემ-
დევაში ინკუბებად (შინაური ქონების მფარველ სულებად), კლა-
სიკურ ეპოქაში—ზეციურ მემუსიკებად,—რომლებიც აპსარას ებ-
თან (ნიმუშებთან) ერთად ღმერთების დამატებობელ გამრთობებად
ჩვევლინებიან ცეკვით, სიმღერით და წარმოდგენებით. ასე, მაგ., ინ-
დრა თავის „სვარაგში“ (სამოთხეში), სხვა ოცდათორმეტ უმაღლეს
ღვთაებასთან ერთად, დროს საუკუნო ნეტარებაში ატარებს, ნან-
დანას გამამხიარულებელ ჭალაკთა და ზეციურ ქალაქის ამარა-
ვა ტიოს სასახლეთა შორის, ტკბება განდპარვებისა და აპსარასების
მუსიკითა და ცეკვით. ციურ ღვთაებათა შორის სულ ინდურ მითო-
ლოგით 33 ღვთაება ირიცხებოდა. შეადარე კეიკე ის ლოცვიდან.

დე, დამიტაროს ჭირში უვიცი
ოცდაცამეტ მა ციურმა ლმერთმა.

24 გვ. როცა დამღუპავ ლაქმშანთან ერთად.

ლაქშმანა—რამას ერთგული ძმა, დაზარათის ს-ძე, სუ-
მიტრასგან შობილი.

იქვე. როდესაც სიტა და კავშიალია
დაინცებან დარღით, ვით კვარი.

ს ი ტ ა—რამას ერთგული მეუღლე, ვიდების ქვეყნის მეფე ჭავანა-
კა ს ასული, იგი საყვარელ ქარს თან გაძლიერდა ლაქ შმანა ს თან
ერთად, დანდაკას ტყეში.

26 გვ. იამას სახლში უნდა შევიდე...

ი ა მ ა სიკვდილის ღმერთი, სამხრეთის მფლობელი, იგივე ითვ-
ლებოდა სიმართლის მეფედ. ი ა მ ა ს სახლში შესვლა—სიკვდილს
ნიშნავს.

27 გვ. საიავამ ხომ, პირობისამებრ,
ქორს მისცა გული, ხული დალია.

ს ა ი ა ვ ა მეუღმ—ქორისაგან დევნილი მტრები შეიფარა და მას
მფარველობა აღუთქვა. ქორმა უჩივლა მეფეს, რომ მას ნება არ აქვს
მოაკლოს ქორს შემოქმედისაგან მისთვის (ქორისათვის) გაჩენილი
საზრდო. მეფე აღიარა ქორის ჩივილის სამართლიანობა და, რომ
მტრებისადმი მიცემულ აღთქმას არ გადასულიყო, მის მფარველო-
ბაზე ხელი არ აედო, ქორს, მტრების მაგიერ, თავისი გული მისცა
საზრდოდ.

იქვე. ალარკმაც ბრამანს მისცა თვალები.

ალარკას ამბავი, აქ ალნიშნულის გარდა, ვრცლად ცნობილი არ
არის.

29 გვ. მოილეს ზღვისა და განგას წყალი.

გ ა ნ გ ა—ინდოეთის მეორე მდინარე (სიგრძით 2700 კმ., რომელ-
საც ინდონი წმინდად მიიჩნევენ. სათავე ჰიმალაის მთებში აქვს, ჩა-
დის ბენგალის ყურეში და წარმოშობს მსოფლიოში უდიდეს
შესართავშორისს (დელტას).

30 გვ. როგორც მათალი დიდებულ ინდრას.

მ ა თ ა ლ ი—ღვთაება ინდ ჩ ა ს მეტოდეა.

33 გვ. ჰეკაოდეს მუდამ თქვენი ცოლ-ქმრობა,
როგორც როჭინის და სომას გული.

ს ი მ ა—მთვარეა, ღამის მეუფე-მფლობელი. მას 27 ცოლი ჰყავს
და მათ შორის უსაყვარლესად მიჩნეულია რ თ ჲ ი ნ ი. ერთგულ და
უსაყვარლეს ცოლ-ქმრობის სასახავად სომა-როჭინის ცოლ-ქმრობაა
მიჩნეული და მასთან შედარებულია რ ა მ ა ს ი და ს ი ტ ა ს ცოლ-
ქმრობა.

36 გვ. მვილის ვალია იყოს ყოველ თვის

მშობლებისათვის მსხვერპლის მწირველი.

შეადარე განმარტება 6 გვ. სტრიქონთან:

შენ დამებადე პირველ ცოლისგან

დიდი ღმერთების მსხვერპლის მწირველად.

38 გვ. ვით კასიავას მორჩილმა შვილმა
სასუჯეველმი მიიღო ბინა.

აქ იგულისხმება კასიავას შვილი გარუდა, რომელმაც თავისი დედა ვინარა მოწობისაგან იხსნა.

39 თვით კანდუ რიში, მამის ბრძანებით
შეიქმნა ძროხის სასხლის მთხეველი.

კანდუ რიში (ანუ რიში) ვედათ შემთხველის სახელია. იგი განსახიერება მამისადმი მორჩილებისა. მამის ბრძანების შესასრულებლად იგი უზიდეს ცოდვასაც არ მოერიდება და ძროხას მოჰკულავს. ინდოთა რწმუნათ ძროხის მოკვლა ისეთივე დიდი ცოდვაა, როგორც ბრამანის მოკვლა.

39 იცა? საგარას სურვილისამებრ
მისმა შვილებმაც დაიდევს ბრალი.

საგარას სურვილი იყო ცხენის მსხვერპლად შეწირვა. სამსხვერპლო ცხენი მას ღვთაება ინდ რამ მოჰკარა. მის საქებნელად საგარამ გაგზავნა თავისი სამოციათასი შვილი. საგარას შვილები ცხენის ქებაში მიწის თხრით ქვესკნელამდის ჩავადნენ, და გზაში რაც ცხოველი დახვდათ, ყველა გაჟლიტეს, მათ ბრალი (ცოდვა) დაიდეს მამის სურვილისამებრ.

41 გვ.ამაყ ქშატრიას
ვათ ეკადრება, რაც გავიგონე.

ქშატრია—(„მხედრების“) მეორე კასტის (წოდების) წარმომადგენელი. ამ კასტაში ირიცხებოდნენ: მეფენი და უფლისწულნი, მოხელენი, მსაჯულნი და მხედრები. ქშატრიებს კანონით ევალებოდათ: სწავლა, მსხვერპლწირვა, მოწყალების გაცემა, სამხედრო საქმე და ცოცხალ არსებათა დაცვა.

44 გვ. ვით სუვარჩალა მიჭყვება მჩის ღმერთს.

სუვარჩალა—მჩის ღვთაების სურია—ერთი ცოლთაგანის სახელია.

45 გვ. და დავბრუნდები თვალგანაბრწყენი,
როგორც ღმერთებთან იაიატი.

იაიატი სახელია მეფის, რომელიც სიცოცხლით დამტკბარი,



ცოდვათა მონაწილებას მიეცა და ღვთაებათა სამყაროს ზილვის სრულისა და
გახდა.

46 გვ. ვარუნა—წყალთა მეუე, მფლობელი...

ვარუნა—ინდოეთის უძველესი რელიგიური სისტემის, —ვედიზ-
მის—პანთეონის ღვთაება, წყალთა მფლობელი. სულ ვედიზმით
ცნობილია რვა „ქვეყნის მცყრობელი“, რომელსაც ბრაჟმამ დავალა
ქვეყნის შექმნა და ყველა ქმნილების დაცვა, ესენი არიან: ინდრა,
იამა, ვარუნა, კუვე რა, აგნი, სურია, ვაიუ და სომა.
თითოეული მათგანი ჰყოლობს ქვეყნის ერთ-ერთ მხარეს: ინდრა—
აღმისავლეთს; იამა—სამხრეთს, სადაც მრთავს ბულია ჯოჯონების
ცეცხლოვანი ქალაქი; ვარუნა—დასავლეთს, სადაც ინდონი ათავ-
სებენ რევანეს; კუვე რა—ჩრდილოეთს, სადაც ოქროს საბადოები-
ანი მთებია.

47 გვ. რათა ბრძოლაში ათასთვალიანს

მოეკლა ვერტრა...

ათასთვალიანი—ღვთაება ინდრას ერთ-ერთი საჩელჭო-
დებათაგანია. ინდრას მიერ ავი სულის—ვერტრას მოყვლაზე
რამდენიმე ვერსია არსებობს.

იქვე. რათა გარუდას მახვილ ალიანს,
ჰქონდა ძალა—ამრიტას მოქნით
დახმარებოდა მშობელს ვალიანს.

აქ იგულისხმება (ინდური მითოლოგით) ვარუნის დედის—
ვინატას—განთავისულება ერთგული შვილის თავდადებული
შრომით. ვინატა და კადრუ კასიაპას ცოლები არიან.
კადრუ—გველთა მეუის დედა; ვინატა—ფრინველთა მეფის,
ვარუნასი. ვინატამ თავი წავი კადრუს თან სანაძლეო-
ში და კადრუს მონა გახდა, კადრუ ვინატას გაანთავისუფ-
ლებდა, თუ ვინატას შვილი ვარუ და გველებს ღმერთების სა-
ჭმელს—ამრიტას—უშოვნიდა და მიუტანდა. დედის გამოხსნა ვა-
რუ დამ თავს იდგა და დედისგან დალოცვილი, ამრიტას სა-
ძებნელად გაემზავრა.

იქვე. ადიტის ლოცვა, რათა მეხთმსროლელს
მოეკლა დიტის შვილები ავი.

ინდური მითოლოგით დიტი და ადიტი აგრეთვე კასია-
პას ცოლები არიან (ნახე წინა პერიოდი). ადიტი—დედა თორ-
მეტი ადიტიელის—(ღმერთის); დიტი დედა დიტიელებისა (ანუ
აზურათა); მშე—ადიტის ერთი შვილთაგანია. იგი ხშირად ადი-
ტიად—ე. ი. ადიტის შვილად იწოდება.

52 გვ. სიტამ თქვა: ნეტავ მამა ჭანაკა...

ჯანაკა—რამას სიმამრის, ვიდე ჰას ქვეყნის მფლობელის
საკუთარი სახელია.

იქვე. ვიდე ჰას მეფე. სიბრძნისა თასი.

ვიდე ჰას ქვეყანა (ახლანდელი სახელწოდებით ტირსუთი)
მდებარეობდა მდინარე განდაკისა (ახლ. გუნედუკი) და
კავშირის (ახლ. გოზი) შორის.

იქვე. ოოგორც სავიტრა თავის ქმრისადმი
შენი ერთგული ვიქები მარად.

სავიტრა—ცოლური ერთგულების განმსახიერებელი გმირი
ქალის სახელია. აქ მითითებულია სავიტრის ცნობილ ეპიზოდი
ზე („სავიტრა უპაქიანა“-ზე) შესანიშნავ ინდურ ეპოსში „მაჟაბპა-
რატა“-ში. მაჟაბპარატა—(ქართულად „დიდი ფარატიანი“)
ინდოეთის უძველესი და უდიდესი პოემაა, რომლის პირვანდელი
ამბავი „რამაიანაზე“ უძველესია, თუმცა მისი საბოლოო ჩედაქცია
„რამაიანას“ შემდეგ დასრულებულა.

სავიტრის ეპიზოდში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს
ქმრის თავისუფალი არჩევანის (მშობლების ჩარევის გარეშე) მოტივი.
მოტივი ქმრის თავისუფალ (სიყვარულის ნიადაგზე) არჩევანისა ფარ-
თოდ არის გამოყენებული ინდურ პოეზიაში. შეადარეთ აგრეთვე „ნა-
ლისა და დამაიანტი ის“ ეპიზოდი „მაჟაბპარატაზი“, რო-
მელიც ასე ეხმაურება, „ვეფე ის ტყაოს ნით“ ცნობილ ნესტა-
ნისა და თინათინის ქმართა (ტარიელ—ავთანდილის) თავისუ-
ფალ არჩევანს. ასეთი ქორწინების წესი ცნობილია „განდჲარ-
ვების ქორწინების წესად“. შეყვარებულთა ნებაზე დამ-
ყარებული ქორწინება (მშობლელთა ნებართვის გარეშე) ინდური
დრამის გახშირებული მოტივია, მაგალითად: ასეთი ქორწინებით
ირთავენ ერთმანეთს მეფე დუშიანტა და საკუნტალა, ინდო-
თა შესანიშნავი დრამატურგის კალიდასას დრამის „საკუნ-
ტალა“-ს მიხედვით. არსებობს რესული თარგმანი, ნახეთ:

Калидаса. Драмы. Перевод К. Бальмонта, со вступитель-
ным очерком С. Ольденбурга. Москва, Изд. М. и С. Сабаш-
никовых, 1916 г.

უცხო ენებზე თარგმანებიდან აღსანიშნავია:

1. Franz Toussaint, Sakountala d' après l' oeuvre indienne
de Kali dasa. L'édition d' art, Paris. 2. Sakuntala. Ein
indisches Schauspiel in sieben Akten von Kali dasa.
Ins Deutsche übertragen von Rolf Lautkner, Berlin.

53 გვ. ვით ნაპერნწყალი არნისა ხილან.

ა რ ნ ი ს ხ ე—მცირე ხანუნისაგან დეცხლგამჩენი ხე. (*premna zpinosa*).

54 გვ. ტყეში ცხოვრობდა ერთი ბრამანი,
ტრიკატა ერქვა, გარგას ნაშეერს.

ტ რ ი ჯა ტა ბრამას შვილიშვილის, გარგას-ძის სახელია გარე—ინდოეთის ბრძენი—ბრამას შვილი და ერთი უძველესი გარსკვლავთმრიცხველთაგანია.

59 გვ. ვინც ამრის ნაცვლად ნიმბის ხეს დარგავს,
მან ვერ იგემოს ტკბილი ნაყოფი.

ნიმბის ხე—მწარე ნაყოფის მომცემი ხეა.

იქვე. ერთხელ, ბნელ ღამით თურმე მოესმა
მას ფირიმფის ხმა და გაეცინა.

ঝ ন র ন ম ত ন—মন্তব্যের্বাদা, উস্বেশুল্লো সুল্লো.

60 გვ. შეკუარე ჩემი ოთხივე ჭარი.

ინდოეთის ჯარს ოთხი ნაშილი შეადგენდა: სპილოთმებრძოლი, ეტლითმებრძოლი, ცეკვისანი და ქვეითი ჯარი.

61 გვ. განა საგარა არ იყო მამა,
რომელმაც თავის პირმშო აზამანჭუ
წაართვა ტახტი, ისე თამამად.

საგარამ თავის პირმშო შეიღს, ტახტის მემკვიდრე—აზა-
მან ჯეს ტახტი წართვა იმ ბოროტებისათვის, რომელიც მან ჩაი-
დინა ქვეშვრდომების მიმართ.

შენმა მემკვიდრემ ჩვენი ბავშვები
სარაუს წყალში ერთად დაახრჩო.

მამის შემრცხვენი შვილი სასახლიდან განიღევნა.

64. გვ. სუმიტრამ უთხრა: ძვირფასო შვილო...

ს უ მ ი ტ რ ა —ლაქშმანას დედა, დაზარათის ერთ-ერთი ცოლთაგანი.

66 გვ. არ გსურს მომშორდე, როგორც მზე მერუს.

მურუ ს მთა, ინდურ მითოლოგით მთა მერუ მიწის შუა—
გულში დგას. მისი სიმაღლე 100 ათასი იოჯანის (ინდურ მილხ) უდ
რის. ამ მთის 84 ათასი იოჯანი მიწის ზედაპირზეა აწვდილი. 16—
ათასი—მიწის წიაღში. მერუ ს მთაზე ცხოვრობენ ღმერთები. ამ
მთას გარს ერტყმის, როგორც ყვავილის ბურკოს ფოთლები, ოთხი
(ზოგის თქმით—კი შვიდი) ქვეყნის გაშენებული მხარე (იყლიმი),
მათ შორის სამხრეთის მხარეს ჰქვიან ჯამ მ ბუდვი იპა — სადაც
ინდოეთი მდებარეობს. მზე, მთვარე და გარსკვლავები პატივსა
სცემენ წმინდა მთა მერუ ს და მას მარჯვნივ გარსშემოუვლიან.
როგორც ამ პოემიდან ჩანს, ვისიმე მარჯვნივ გარშემოვლა მის
პატივისცემას ნიშნავს).

მხე ჩადის, რომ მიწის ქვეშ მთა მერუ ს ნაწილიც გაანათოს.
ასე მერუ ს მთას არასოდეს (დღისით და ღამით) მზის სინათლე
არ აკლია. მხე მერუ ს არ შორდება.

68. გვ. დიდ სიანდიკის ფირუზის ტალღებს.

ს იან დ ი კ ი—ინდოეთის მდინარის სახელია.

იქვე. რომელიც მანუმ მისცა თავის შვილს.

მანუ—მზის შვილი, ლეგენდარული („ღვთაებრივი“) უძველესი
კანონმდებელი ინდოეთისა.

69 გვ. გმირი დააღგა კავშიალას მიწას.

კავშალას მიწა წა მდ. განგის ჩრდილოეთის მხარეს მდება-
რე, კოშალას მოსაზღვრე, ადგილის სახელწოდებაა.

იქვე. ამრას წალკოტნი...

ნახე 59 გვ. განმარტება.

71 გვ. ბრამას ქვეყნიდან მომდინარეო,

ციდან დაღვრილო მიწაზე ლალად.

ბრამა—იგივე ბრამა—ინდურ ეპოსში—სამყაროს შემოქმედი
და ყოვლის მპყრობელი ღვთაებათა მამა. შემდეგში მას გაუთანას-
წორდნენ შივა და ვიშნუ, რომლებთან ერთად ბრამა მ შექმნა-
ღვთაებრივი სამება.

73 გვ. ჩიტრაკუთის მთას...

ჩიტრაკუთ ი—რამას განდევნის ადგილას (დან დაკას ტყე-
ში) მდებარე ულამაზესი მთის სახელი.

75 გვ. წარმოთქვა ვედა, ღოცვა ცხოველი.

ინდოეთის ლიტერატურის უძველეს ძეგლებად „ვედები“ ითვლე-

ბა. ვედა ინდურად—„ცოდნას“ ნიშნავს. ასეთი სახელწოდებით ცნობილია ძველი ინდური ლირიკის და მათ განმარტებათა კრებულები („სამპიტა“). ვედური ლიტერატურის უძველესი ნაწილი წარმოდგენილია ოთხ კრებულში: რიგ-ვედა (ჰიმნთა ვედა), სამა-ვედა (საგალობელთა ვედა), იაჯურ-ვედა (მსხვერპლწირვის ვედა) და ათარგა ვედა (შელოცვათა, გრძნებათა ვედა). მათ შორის უძველესი—რიგ-ვედა—ერობელი ინდოლოგების აზრით—შექმნილია 2 ათასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდის. რიგ-ვედის 1028 ჰიმნი ჩვენამდის 10 წიგნად („მანდალად“) არის მოღწეული. რიგ-ვედის ჰიმნები და ლოცვები მიძღვნილი არიან ძველი ინდური პანთონის წარმომადგენლებისადმი, როგორიცაა: ჭექა-ჭუხილისა და ომის ღმერთი—ი ნ დ რ ა, ცეცხლის ღმერთი—ა ნ გ ი, ზეცის ღმერთები—ვ ა რ უ ნ ა, მ ზ ე—ს უ რ ი ა, მთვარე—ს ო მ ა; ქართა ღმერთები—მარუთები და სხვანი, რომლებიც ბუნების ძალთა განსახიერებას წარმოადგენენ. რიგ-ვედას ჰიმნები ძველ ინდოლებს გვაროვნული წყობის სტადიზე გვიჩატვენ.

78 გვ. ღმერთები მსხვერპლს არ შეინირავენ,
თუ მას არა აქვს სომა ნაცკური.

ს ო მ ა—წმინდა სამსხვერპლე სასმელია. მზადდება ერთგვარ მწარე მცენარის წევნისაგან, რომელსაც უზავებენ სამჯერ მიმატებულ შეიდი ძრობის ნაწველ რძეს. ვედიზმით ს ო მ ა ითვლებოდა ღვთაებრივ სასმელად და სულიერი კულტურის—(შემოქმედების) წყაროდ.

81 გვ. მზე მიეფარა მკვდართა სამეფოს,
სადაც იამა სუფევს ძლიერი.

ი ა მ ა—რიგ-ვედაში—ადამიანთა წინაპარი, მკვდრეთის მეფეა. დიდ ეპობეათა შექმნის პერიოდში, —ქვეყნის ერთ-ერთი მპყრობელთაგანი, სიკვდილისა და სიმართლის მრისხანე ღვთაება.

იქვე. გამხიარულდა ჩიტი ჩათავა,
გაჩნდა ღრუბელი ცვარის მშობელი.

ჩ ა თ ა გ ა—ფრინველია, რომელიც (ინდოთა რწმენით) წვიმის ცვარით იკვებება და რომელსაც წვიმიან ღრუბლების დანახვა ახარებს.

84 გვ. ბრმა მამაჩემი—ვაისიაა.

ვ ა ი ს ი ა—მესამე წოდების (კასტის) წარმომადგენელი. კანონით ვ ა ი ს ი ა ს ეგალებოდა: სწავლა, მსხვერპლწირვა, მოწყალების გაცემა, მიწათმოქმდება და ვაჭრობა.

იქვე. დედა კი—სუდრა მონადხმობილი.

ს უ დ რ ა—იგივე შუდრა—მეოთხე წოდების წარმომადგენელი.

ჭანონით ევალებოდა: ბრამანების (ორჯელშობილთა) მორჩილებაზე უფრო
ხელოსნობა, სიმღერა და თამაში სცენაზე.



85 გვ. მუნის განაჩენს ველოდი წყნარად.

მ უ ნ ი — განდეგილი — ბრძნი, მწირი.

91 გვ. ვიქცევი ფერფლად — თავს მივცემ კოცონს.

მოსიყვარულე ცოლი, ქმრის სიკვდილის შემთხვევაში, თავისი ნებით იყლავდა თავს კოცონზე დაწვით.

92 გვ. იმ ლამეს, ქალაქ, რაჭაგრიჭში მყოფს...

რაჯაგრი — იგივე გირი გირა ჯა კეკა ის ქვეყნის სატახტო ქალაქია. მდებარეობს ფენჯაბი აბის აღმოსავლეთ კუთხეში.

93 გვ. მყის ზეთად იქცა ჭაობის წყალი.

ინდონი მიცვალებულის გვამს (დაშვის წინ,) ზეთით ჭანბანდნენ ხოლმე. წინათმგრძნობელურ სიზმარში ზეთის ნახვა, დაზარათ მეფის ზეთის გუბეში ჩავარდნა, ფარატას აზრით, მამის სიკვდილს მოასწავებდა.

იქვე. კვლავ ენახე მამა — ტანთ წითლად ეცვა.

წითელი ფერი სიკვდილის ფერად ითვლებოდა.

იქვე. ეტლი დაიძრა და წაიყვანა
სამხრეთისაკენ კაცი მთავარი.

სამხრეთი — სიკვდილის ღვთაების იამა ს საბრძანებლად ითვლებოდა. ფარატას სიზმრით — ვირებშემული ეტლით მეფე დაზარათ ის სამხრეთისკენ — იამა ს საბრძანებლისკენ გამგზავრება, სხვა ნიშნებთან ერთად, მამის უქმედო სიკვდილს მოასწავებდა.

94 გვ. კეკაელების მეფემ ფარატა...

კეკაელების მეფე — ფარატას პაპა, კეირკე ის დედის მხრივ.

95 გვ. ან ბიძაშენი უდაჭიტ ქველი.

უდაჯიტი — ფარატას ბიძის სახელია.

99 გვ. ნუთუ ჰელია, ბედითო მკვლელო,
ბრძენ ასვაპატის იყო ასული.

ასგაპატი — იგულისხმება სახელგანთქმული ბრძენი ასგაპატი იკეთება.

იქვე. შენ რაქშასი ხარ...

რაქშასა — იხილე 15 გვ. განმარტება.

103 გვ. თან შემოსავლის მეექვსედს ართმევს.

უფლებისა და ზნეობის ძევლი ავტორიტეტის მანუს კანონიშის მიხედვით, მეფეს უფლება ჰქონდა ყმებისათვის ზოგიერთი—ზაფრონ მეექვსედი მოეთხოვნა, ზოგისაც—მეთორმეტედი და მეთხუთმეტედი—

107 გვ. იმის დროშაზე, დიდად დახატულს
ვხედავ კოვიდარს...

კოვიდარის ხე—(bauhinia variegata) (ფარატას დროშაზე ჰქონდა გამოხატული ემბლემად.) ყოველ გმირსა და მხედარომთავარს თავთავისი ნიშნიანი დროშა ჰქონდა, ეტლის თავზე ამართული. დროშაზე ჩვეულებრივ რომელიმე ცხოველსა და მცენარეს ჰაზარდნენ.

110 გვ. ერთმანეთს შეხვდნენ, ვით მზე სუკრათი
და ვერპასპატით მთვარე მშექარი.

ს უკრატა—ცდომილი გარსკვლავი—(პლანეტა ასპიროზი; ვენერა).

ვერპასპატი—ცდომილი გარსკვლავი—მუშაონი—(იუპიტერი), რამა—ლაქშმინისა და ფარატა—სუმანტრას ერთად შეყრა შედარებულია მზე—ვენერისა და მთვარე—იუპიტერის ერთად შეკრებასთან.

115 გვ. იქ გელოდება ოთხი წლდება.

იგულისხმება; ქვეშევრდომები ოთხ წლდებად (კასტად) დაყოფილნი: ბრაჟმანები, ქშატრიები, ვაჟი შიები და შუდრები. მათგან თითოეული მომდევნობები დაბადებით მაღლა მდგომად ითვლებოდა. ყველა კასტის ჭარმომადგენელს შუდრისა და ავაზაკის გარდა, ევალებოდა დამოწაფება, ვედათა სწავლა, ცეცხლის დაგზნება, შუდრას ევალებოდა სხვა კასტების მიმსახურება.

იქვე. და მოიხადე სამივე ვალი.

ამქვეყნად, ინდოთა რწმენით, ადამიანს სამი ვალი აქვს მოსახლეობი: 1. მსხვერპლშირვა—ვალი ღმერთების მიმართ, 2. ვედათა კითხვა—ვალი დიდ რშიების (ვედათა შემთხვევლების) მიმართ და 3. ჩამომავლობის გაგრძელება—შვილების შობა—ვალი ჭინაპართა მიმართ. ჭინაპართა სულები ზეცას ვერ ისადგურებდნენ, თუ ამქვეყნად მათ მსხვერპლის მწირეველის ჩამომავალი არ ეყოლებოდათ. თუ ეს სამივე ვალი კაცს მოხდილი ჰქონდა, მას შეეძლო საზოგადოებას განდგრმოდა ან და თავისი ნებით მოქსპო თავისი ამქვეყნიური სიცოცხლე.

118 გვ. იქვაკუს გვარში წესის დამცველებს...

იქ შვაკუ—დაზარათის ჭინაპარია, აიოდ ჰიას პირვე-

ლი მეფე. იქ შვაკუს გვარისანი არიან აგრეთვე რაქუს ჩამო-
მავალნი (ნახე 20 გვერდის შენიშვნა).



118 გვ. ბოლოს ბრამანი ჭავალი წარსდგა...

ჯავალი—იგივე ჯაბალი—დაზარათ ისერთ-ერთი მრჩევ-
ლის, ბრამანის სახელია, მწვალებლური და ნიპილისტური შეხედუ-
ლების წარმომადგენელია „რამაძანში“.

121 გვ. ჰიმავათიდან გაქრეს ყინული.

ჰიმავათი—ჰიმალაის მთები.

122 გვ. რამან ხამლები ფარატას მისცა.

ძველი ინდოელებს ჩვეულება ჰქონდათ—სიტყვის დასამტკიცებლად
სარწმუნო ნიშნად ხამლების (ჩვეულები) მიცემა. ესევე ჩვეულება ჰქონ-
დათ ებრაელებს (იხ. წიგნი რუთისი, თავი და, მუხლი ზ: „ესე სა-
მართალი იყო პირველი ისრაილსა შორის საშვილებელსა ზედა და
ცვალებასა ზედა, რომელ დაემტკიცოს ყოველი სიტყვა; და განიძარ-
ცვა კაცმან მან ხამლი თავისი და მისცა მოყვასსა მას თვისსა“.)

ს. 0 — ლი



რედაქტორი: გიორგი ლეონიძე

* *

ტექნიკური ტორი: შ. დემეტრაძე
კორექტორი თ. მგალობლიშვილი
კონტრ.—კორექტორი ნ. ლომაძე

* *

წელმდგრადი 21 VII 1951 წ., წიგნის
ზომა 6 × 10. სააღდიცხვა საგმითმცემლით ფირ-
მითმ ძალუნისა 10 გ. ტიკება 8,200
შეკვ. № 812 უკ 02690

* *

ტექნიკის თაგებით გრძელება გრძელება გრძე-
ლება „რამდენიმე“ ერთ-ერთი უმეტეს
ონლური გრძელების
ვარეული და თაგებური ცენტრ დაბატუმ შემოტკიცების

* *

ვარეულის „სამუშაოს“, სამუშაოს შემოტკიცების
ცენტრ, თბილისი, პლატონის, 181



РАМАЯНА
Индийский эпос
Перевод Р. Гветадзе
(На грузинском языке)
Из-во „Сабчота Мцерали“
Типография из-ва „Сабчота мцерали“
19 Тбилиси 51

